# არსენალი

№ 5 (48). 7 – 20 მარტი. 2008. „კვირის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## ნაღმსატყორცნი – იდეალური იარაღი საქართველოს პირობებში

## რუსული საბრძოლო ავიაცია საქართველოს საზღვრებთან

1425
2008

## ლეგენდარული „განფაიტერების“ ათეული

## ფული, პოლიტიკა და სპეცსამსახურები

## ასწლიანი ომი

„არსენალი“ თვეში ორჯერ გამოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა




საერთაშორისო ტერორიზმი დიდ ბიზნესად იქცა

10





რუსული საბრძოლო ავიაცია საქართველოს საზღვრებთან

6





როდეო

ისტორია, წესები, კურიოზები

34

ნაღმსატყორცნი — იდეალური იარაღი საქართველოს პირობებში

25







ასწლიანი ომი

46





ინდიელების სიამაყისა და კონკისტადორების პროფესიონალიზმის ნაზავი

50

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 უცხოური ამბები

**ექსპერტის აზრი**

6 უცხოური ამბები

**ბრძოლის ველიდან**

8 დასრულდება თუ არა ოპერაცია ,,მზე" მზის ჩასვლამდე...

**სპეცსამსახურები**

10 საერთაშორისო ტერორიზმი დიდ ბიზნესად იქცა

**სპეცსამსახურები**

12 ფული, პოლიტიკა და სპეცსამსახურები

**წერილი რედაქციას**

15 „ნადირობა მელაზე"

**სპეცსამსახურები**

16 სახელმწიფო შრომა და ომია, იარაღი კი ორივე შემთხვევაში აუცილებელია

**რეპორტაჟი პოლიგონიდან**

19 ნაღმმტყორცნელების წვრთნები

**ომგამოვლილი**

22 ქვეითთა შეუდარებელი დამხმარე

**იარაღი**

25 ნაღმსატყორცნი იდეალური იარაღი საქართველოს პირობებში

**ვესტერნი**

30 პრერიების მბრძანებელი COWBOY

**ვესტერნი**

34 როდეო

**საქართველოს ისტორია**

37 ციხესიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII სს საქართველოში

**ძველი დროის ფლოტები**

40 ფლოტები ძველი დროის ყველაზე მამაცი მეზღვაურები

**ძველი დროის ფლოტები**

42 კრეისერები და საკრეისერო ოპერაციები

**ომების მსოფლიო ისტორია**

46 ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

**ჩუბინი**

50 ინდიელების სიამაყისა და კონკისტადორების პროფესიონალიზმის საოცარი ნაზავი

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 LLAMA Comanche III ესპანური ექვსვაზნიანი რევოლვერი


საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

## რედაქტორის სვეტი

ქართველი ჟურნალისტის გატაცებით აფხაზმა სეპარატისტებმა კიდევ ერთხელ დაძაბეს სიტუაცია კონფლიქტის ზონაში. ამ ქმედებით მათ საქართველოს ხელისუფლება საპასუხო ნაბიჯების გადასადგმელად გამოიწვიეს. ნათლად ჩანს, რომ სეპარატისტები კვლავ კრემლის მორიგ დავალებას ასრულებენ საქართველოს ახალ ომში ჩასათრევად.

აპრილის დასაწყისში ბუქარესტში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი სამიტი გაიმართება. ეტყობა, მოსკოვში უნდათ ამ დროისთვის საქართველო შეიარაღებულ კონფლიქტში იყოს ჩათრეული, რაც ოფიციალურ თბილისს ძალზე გაურთულებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების სამოქმედო გეგმის მიღებას ბუქარესტის სამიტზე.

რუსეთის ხელისუფლების დიდი სურვილიც ის არის, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არ გაწევრდეს.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

**ყურადღება!**
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში, ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №59.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდმა ბრიტანეთმა ავღანეთში პრინცის მაგიერ TYPHOON-ები გაუშვა





დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალები ავღანეთში ახალი გამანადგურებლის, Typhoon-ების გადასროლას 2008 წლის ივლისისთვის აპირებს. ადრე ქვეყნის სამხედრო უწყებამ კონტრაქტი გააფორმა Rubb Building Systems-თან 8-10 ანგარის მიწოდებაზე, რომლებიც სპეციალურად გამანადგურებელ Typhoon-ებისთვის იყო აგებული. კონტრაქტის თანახმად, 2008 წლის მაისისთვის ანგარებს ავიაბაზა ყანდაღარში განათავსებენ. ანგარები აღჭურვილია კლიმატის გაკონტროლების თანამედროვე სისტემებით და ექვსი თვის მანძილზე გამანადგურებლების საექსპლუატაციო პირობებს უზრუნველყოფს. თვითმფრინავები დისლოცირებული იქნებიან დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-11 ესკადრილიაში, რომელმაც შარშან დაიწყო ავღანეთში გადასროლისათვის სამზადისი. ამჟამად დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალები ავღანეთში გამანადგურებელ Harrier Gr9-ებს იყენებს.

დიდი ბრიტანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე პრინცი ჰარი ავღანეთიდან დიდ ბრიტანეთში 1-ელ მარტს, დილაადრიან გაფრინდა. საქმე ის გახლავთ რომ ამერიკელმა ჟურნალისტმა მეტ ჯორჯმა თავის საიტზე გაახმაურა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ ნაწილში მსახურობდა 10 კვირის განმავლობაში ტახტის მემკვიდრე (პრინცს დამთავრებული აქვს სანდჰერსტის სამხედრო აკადემია და სამეფო დრაგუნთა პოლკში მსახურობს). თავიდან მას სამხედრო სამსახური ერაყში უნდა გაევლო, მაგრამ სპეცსამსახურებს ხელთ ჩაუვარდათ ინფორმაცია პრინცის გატაცებისა და მკვლელობის მზადების შესახებ და გადაწყდა მისი ავღანეთში გამწესება. უახლოეს მომავალში, ავღანეთში გაიგზავნება მისი უფროსი ძმა, უილიამი, რომელიც იმსახურებს ფრეგატზე ან ნაღმოსანზე. მან საბრძოლო ამოცანები, სულ ცოტა, 30 დღეს მაინც უნდა შეასრულოს.

# ბუნდესვერმა ახალი მანქანის გამოცდა დაასრულა




ბუნდესვერის შეიარაღებისა და სახმელეთო ძალების საბრძოლო მასალების გამოცდის ტექნიკურმა ცენტრმა გამოქვეყნა დისტანციურად მართვადი გამნაღმველი მანქანა MINI MineWolf-ის გამოცდის შედეგები. Mini MineWolf-ი მომცრო ზომის მუხლუხიანი შეჯავშნული მანქანაა ნაღმსაწინაღო დოლურით, რომელიც მანქანის წინა ნაწილზეა დამაგრებული. გამოცდისას მანქანამ გამოავლინა მაღალი ეფექტიანობა ნაღმსაწინაღო ადგილებისა და შვიდი სხვადასხვა ტიპის ტანკსაწინაღო ნაღმების განაღმვაში. გამოცდის შდეგების მიხედვით, MINI MineWolf-ი 13,5 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტ აფეთქებას უძლებს. ყველა დაზიანება, რომელიც მანქანამ მიიღო ნაღმების აფეთქებისას, საველე პირობებშივე მოწესრიგდა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია საბრძოლო პირობებში დანაღმული ადგილების განაღმვისას.

# რობოტები შეტევაზე მალე გადავლენ?..

შეფილდის უნივერსიტეტის პროფესორმა ნოელ შარკიმ მოხსენება გააკეთა რობოტიზებული სისტემების საფრთხის თაობაზე. როგორც ბრიტანელი მეცნიერი ამბობს, ამჟამად ბევრი ქვეყანა ამუშავებს საბრძოლო რობოტების შესაქმნელ ტექნოლოგიებს. ლიდერი ამ სფეროში აშშ-ია. პენტაგონის 2007-2013 წლებისთვის ავტონომიური სისტემების განვითარების გეგმის მიხედვით, აშშ 2010 წლამდე დაახლოებით 4 მლრდ დოლარით დააფინანსებს ამგვარი მოწყობილობების შექმნას. ამჟამად ერაყში განთავსებულია 4000 რობოტზე მეტი, რომელთა შორის ნოელ შარკი უპილოტო საფრენ აპარატებსაც მოიხსენიებს. ჯერჯერობით, ამ იარაღის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება ადამიანზეა დამოკიდებული, მომავალში კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. აშშ-ს უკვე აქვს პრიორიტეტად ავტონომიური საბრძოლო სისტემების შექმნა. ეს ნიშნავს, რომ რობოტები თავად განსაზღვრავენ, სად და ვინ გაანადგურონ. აშშ-ის გარდა, დისტანციურ საბრძოლო სისტემებზე მუშაობს რამდენიმე ევროპული ქვეყანა, ასევე, რუსეთი, კანადა, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, სინგაპური, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ისრაელი და ინდოეთი. შარკის აზრით, მთავარი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ერთხელ უკვე შემუშავებული სისტემის კოპირება იოლად შეიძლება გამოვიდეს კონტროლიდან. არსებობს მისი ტერორისტების ხელში მოხვედრის საფრთხეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ჩიტის დაცემა



23 თებერვალს, ექსპლუატაციის 15 წლის შემდეგ, ავარია განიცადა სტრატეგიულმა ბომბდამშენმა B-2-მა. ავარიის ნამდვილი მიზეზები დადგენილი არ არის. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიციალური განცხადებით, 23 თებერვალს ავიაბაზა „ანდერსენის" (კუნძული გუამი) აეროდრომიდან უნდა აფრენილიყო ოთხი თვითმფრინავი B-2, რომლებიც 4 თვის განმავლობაში კუნძულზე ბაზირებდნენ. B-2, რომელმაც ავარია განიცადა, რიგით მეორე აფრინდა. ავარიის შემდეგ პირველი თვითმფრინავის ეკიპაჟს, რომელიც უკვე ჰაერში იყო, ბაზაში დაბრუნება უბრძანეს. დანარჩენ ორს აფრენა აეკრძალა. ავარიის მიზეზების დადგენამდე სამივე ბომბდამშენი B-2 ბაზაში იქნება. დანარჩენი 20 B-2-ის ფრენებიც შეჩერებულია. როგორ თვითმხილველები ამბობენ, თვითმფრინავი ავიაბაზა „ანდერსენის" სადისპეტჩერო კოშკურის შორიახლოს აფეთქდა, თვითმფრინავი მთლიანად განადგურდა. ავარიას მიწაზე მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია. ორივე პილოტმა მოასწრო კატაპულტირება, მაგრამ მიწაზე დაშვებისას ტრავმები მიიღეს. ერთ-ერთ მათგანს ხერხემალი აქვს დაზიანებული. აფეთქებული თვითმფრინავის საბორტე ნომერია 8900127. მას მეტსახელიც ჰქონდა (როგორც წესი, აშშ-ის შტატის ერთ-ერთი სახელი – B-2 SPIRIT OF KANSAS („კანზასის სული"). ეს სახელი თვითმფრინავს 1995 წლის 13 მაისს მიანიჭეს საზეიმო ცერემონიაზე. პირველ თვითმფრინავს, რომელიც კუნძულ გუამიდან წარმატებით აფრინდა, „სამხრეთ კაროლინის სული" ერქვა (SPIRIT OF SOUTH CAROLINA). აფეთქებულ ბობდამშენ B-2-ს იყენებდნენ იუგოსლავიის, ავღანეთისა და ერაყის ბრძოლებში. 23 თებერვალს ბომბდამშენი B-2-ები ავიაბაზა „უაიტმენში" (მისისიპის შტატში) უნდა გადაფრენილიყვნენ, სადაც B-2-ების მუდმივი დისლოკაციის ადგილია. ფრენის დროს B-2-ის ბორტზე საბრძოლო მასალა არ ყოფილა. როტაციის გეგმის მიხედვით, B-2-ების ნაცვლად ავიაბაზა „ანდერსენში" ავიაბაზა „ბარკსდეილიდან" (ლუიზიანის შტატი) ბომბდამშენი B-52-ები უნდა ჩაფრენილიყვნენ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო მე-2 საავიაციო ფრთის 96-ე ბომბდამშენი ესკადრილიიდან. როგორც დადგინდა, B-2-ის ფორმამ, რომელიც ნაკლებშემჩნევადობით იყო ნაკარნახევი, თვითმფრინავის საფრენ თვისებებზე უარყოფითად იმოქმედა. B-იმართება ელექტროდისტანციური მართვის სქემით და მძლავრი DM-ით, რომელიც მანქანის მდგრადობას უზრუნველყოფს. B-2-ის ჩამოვარდნის ერთ-ერთ მიზეზად კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლას ასახელებენ.

# ისრაელმა ახალი დანადგარი შეიმუშავა




ისრაელის კომპანია ELBIT SYSTEMS-მა შეიმუშავა უპილოტო საფრენი აპარატ HERMES 450-ებისთვის ახალი როტორულ-დგუშური ძრავა. აქამდე ამ ტიპის აპარატები აღჭურვილი იყო 52 ცხ.ძ. სიმძლავრის R802 ძრავებით. წინამორბედ მოდელთან შედარებით R902(W)-ს აქვს გადიდებული მოცულობის წვის კამერა, რაც ეფექტიანი სიმძლავრის 70 ცხ.ძ.-მდე გაზრდის საშუალებას იძლევა. ძალური დანადგარის კომპლექტში შედის საწვავის ხარჯვის კონტროლის ელექტრონული სისტემა, ასევე სტარტერი და გენერატორი. ახალი ძრავას მასა 40 კილოგრამს უტოლდება. R902(W)-ის გამოყენება გაზრდის HERMES450-ის ფრენის ხანგრძლივობას 20 საათზე მეტით. ახალი ძალური დანადგარით აპარატის მოქმედების რადიუსი 200 კილომეტრით გაიზრდება. ახალი ძრავას კუთრი სიმძლავრე აღემატება ყველა შიდაწვის ძრავებს (როგორც დგუშურ, ასევე როტორულ-დგუშურს). ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების უპილოტო ავიაციის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ყველა იმ HERMES450-ზე ძრავების შეცვლას, რომლებიც ადრე მიღებული იყო შეიარაღებაში. HERMES450 მრავალმიზნობრივი საშუალო სიმაღლის ტაქტიკური უპილოტო აპარატია. აღჭურვილია ელექტროოპტიკური, ინფრაწითელი და ლაზერული გადამცემებით, ასევე მონაცემთა გადაცემის სისტემით, რომელსაც მართვის მიწისზედა პუნქტებში რეალური დროის რეჟიმში შეუძლია ინფორმაციის გადაცემა. HERMES450-ის მოქმედების რადიუსი შეადგენს 100 კილომეტრს, ფრენის მაქსიმალური ხანგრძლივობა 14 საათს აჭარბებს, კრეისერული სიჩქარე კი 130 კილომეტრს საათში.

# ინდოეთმა წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტა გამოცადა



ინდოეთმა წარმატებით გამოცადა წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტა K-15. რაკეტა საპორტო ქალაქ ვიშაკაპატნამის ახლოს, ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან გაუშვეს. რაკეტის გასაშვებად, პლატფორმის სახით, გამოიყენეს წყალში ჩაძირული პონტონი. ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს პრესმდივანმა დაადასტურა, რომ რაკეტის გაშვება წარმატებით დასრულდა. წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტა K-15 ინდოეთის თავდაცვითი კვლევისა და შემუშავების ორგანიზაციის სპეციალისტებმა შექმნეს. ამ ტიპის რაკეტებით, რომელთაც ბირთვული საბრძოლო ნაწილის 700 კმ მანძილზე წაღება შეუძლიათ, დაგეგმილია ახალი ინდური ატომური წყალქვეშა ნავის აღჭურვა.

# რუსული საბრძოლო ავიაცია საქართველოს საზღვრებთან

საქართველოსა და რუსეთის ხელისუფალთა შორის ურთიერთობის ერთგვარი დათბობა შეინიშნება. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ წელს, ისევე როგორც გასულ ან წინა წლებში, რუსული სამხედრო ავიაცია არ შემოიჭრება საქართველოს საჰაერო სივრცეში, მეტიც — არ დაბომბავს ქართულ მიწას.

„არსენალის“ მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ის მონაცემები, თუ რა სახის და რაოდენობის რუსული თვითმფრინავები და შვეულმფრენებია განთავსებული საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ახლოს და რომელ აეროდრომებზე. ჩვეულებისამებრ, ხომ სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის აეროდრომებიდან აფრენილი რუსული თვითმფრინავები იჭრებოდნენ ხოლმე ქართულ ცაში...

ჩრდილოეთ კავკასიაში დისლოცირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალების მე-4 არმია, რომელიც პირდაპირ ექვემდებარებოდა სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლობას.

ამ არმიის ძირითადი აეროდრომები განთავსებულია როსტოვთან (მე-4 არმიის შტაბი, საჰაერო თავდაცვის 51-ე კორპუსის შტაბი, 229-ე საავიაციო ბაზა), ბუდიონოვსკში (487-ე ცალკეული საშვეულმფრენო პოლკი და 1-ელ შერეულ საავიაციო დივიზიაში შემავალი 368-ე მოიერიშე საავიაციო პოლკი), კორენოვსკში (55-ე ცალკეული საშვეულმფრენო პოლკი), მარინოვკაში (მე-11 ცალკეული სადაზვერვო საავიაციო პოლკი), მოროზოვსკში (559-ე ბომბდამშენების პოლკი), კრასნოდარში (461-ე მოიერიშე პოლკი), ეისკში (959-ე ბომბდამშენების პოლკი), პრიმორსკო-ახტარსკში (960-ე მოიერიშე პოლკი), აგრეთვე საჰაერო თავდაცვის 51-ე კორპუსის გამანადგურებელთა სამი საავიაციო პოლკი (31-ე ზერნოგრადში, მე-19 — მილეროვოში და მე-3 — კრიმსკში). ჩრდილოეთ კავკასიაშია კაჩის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი თავისი 6 პოლკით, მაგრამ იგი ემორჩილება არა მე-4 არმიის მეთაურობას, არამედ სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლობას.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან სამ-ოთხი აეროდრომია, საიდანაც გამოფრენილმა რუსულმა ბომბდამშენმა და მოიერიშე თვითმფრინავებმა (Су-24М, Су-24МР, Су-25, Су-27, МиГ-29) და შვეულმფრენებმა (Ми-24, Ми-8МТ) გარკვეული როლი ითამაშეს საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკურ ოპერაციებში აფხაზეთის ომის დროს და შემდგომაც...

რუსეთის სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის მე-4 არმიაში 8 ათასზე მეტი სამხედრო მსახურობს. ის უზრუნველყოფს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის — СКВО-ს საჰაერო დაცვას.

ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში განთავსებული აეროდრომებიდან რუსული საფრონტო ავიაცია თავისუფლად შეიძლება მისწვდეს (მით უმეტეს, საწვავის დამატებითი ავზებით) საქართველოს ტერიტორიას. მაგალითად, ბუდიონოვსკიდან (სადაც თავის დროზე შამილ ბასაევმა გაილაშქრა) საქართველოს საზღვრამდე სულ 235 კმ-ია, თბილისამდე კი — 350. ბუდიონოვსკის აეროდრომზე განთავსებული 368-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის შეიარაღებაში 39 ცალი Су-25 მოიერიშე, 20 შვეულმფრენი Ми-8 და 54 დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-24-ია. ამავე აეროდრომზე მდგარ 487-ე ცალკეულ საშვეულმფრენო პოლკს კი 54 ცალი Ми-24 და 20 ერთეული Ми-8 ჰყავს.

კორენოვსკში, 55-ე ცალკეული საშვეულმფრენო პოლკის შეიარაღებაში 42 ცალი Ми-24 და 20 Ми-8-ა. კორენოვსკიდან ზემო აფხაზეთამდე 300 კმ-მდეა.

კრასნოდარში, 461-ე მოიერიშე საავიაციო პოლკში 24 ცალი Су-25-ია. გვაქვს ინფორმაციები, რომ გუდაუთის სამხედრო აეროდრომზე ამ პოლკიდან მივლინებული მოიერიშე Су-25-ები 1992-93 წლებში სისტემატურად ბომბავდნენ სოხუმს.

კრიმსკიდან, სადაც საჰაერო თავდაცვის 51-ე კორპუსის მე-3 გამანადგურებელთა საავიაციო პოლკია განთავსებული (56 გამანადგურებელი Су-27), აფხაზეთამდე მხოლოდ 250 კმ იქნება. ეს მანძილი Су-27-ის ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავებისთვის





















უმნიშვნელოა და ამიტომაც აქედან აფრენილმა რუსულმა გამანადგურებლებმა შეიძლება აფხაზეთის თავზე საათობით იდარაჯონ (როგორც ეს აფხაზეთის ომის დროს ხდებოდა), რათა არ დაუშვან ქართული საჰაერო დესანტის გამოჩენა.

მარინოვკის აეროდრომზე მე-11 ცალკეული სადაზვერვო საავიაციო პოლკია განთავსებული. მართალია მარინოვკიდან საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრამდე 650 კმ-ია, მაგრამ ეს მანძილი იოლი გადასალახია ამ პოლკის 26 სადაზვერვო Су-24МР-ებისთვის. მათ არაერთხელ დაუზვერავთ ჰაერიდან საქართველოს საზღვრისპირა რაიონები და კონფლიქტის ზონები. ნაწილობრივ სწორედ მათი მეშვეობით ახერხებს მოსკოვი იმის გაგებას, გაიზარდა თუ არა ქართული სამხედრო დანაყოფების რაოდენობა და აქტივობა ცხინვალის რეგიონში, ენგურის მარცხენა სანაპიროზე ან ზემო აფხაზეთში.

ეჭვობდნენ, რომ მოროზოვსკიდან აფრენილმა Су-24М-მა ჩამოაგდო 2007 წლის 6 აგვისტოს „ჰაერი-რადიოლოკატორის" ტიპის მართვადი რაკეტა სოფელ წითელუბანთან. მოროზოვსკში 559-ე ბომბდამშენთა საავიაციო პოლკია დისლოცირებული. პოლკის შემადგენლობაში Су-24М ტიპის 37 ბომბდამშენია. ამ რუსული აეროდრომიდან ზემო აფხაზეთამდე 550 კმ-ია. Су-24М-ის საბრძოლო მოქმედების რადიუსი, 3 ტონა ბომბით და ორი დამატებითი საწვავის ავზით, 600 კმ-ია.

პრიმორსკო-ახტარსკში, 960-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის შემადგენლობაში 24 ცალი მოიერიშე Су-25 ირიცხება. ამ აეროდრომიდან ფსოუმდე თითქმის 325 კმ-ია. Су-25-ის საბრძოლო მოქმედების რადიუსი, 4 დამატებითი ჩამოსაკიდი საწვავის ავზით (თითოეულში 800 ლ საავიაციო ნავთი ეტევა) და ნორმალური საბრძოლო დატვირთვით დაბალ სიმაღლეზე ფრენის დროს 750 კმ-ია, მაღალ სიმაღლეზე ფრენისას – 1250 კმ. დამატებითი ავზების გარეშე ეს მაჩვენებლები შესაბამისად 495 და 640-კმ-ია. აქედან გამომდინარე, პრიმორსკო-ახტარსკში განთავსებულ რუსულ Су-25-ებს თვალის დახამხამებაში შეუძლიათ ზემო აფხაზეთზე გალაშქრება.

სომხეთში, ერევნის სამხრეთით განთავსებულია რუსული 3624-ე საავიაციო ბაზა, რომელიც ექვემდებარება 102-ე რუსულ სამხედრო ბაზას, შემდეგ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის – ГРВЗ-ს სარდლობას და ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქ – СКВО-ს. ამ ბაზაში დღეისთვის 18 ერთეული МиГ-29 ტიპის გამანადგურებელია განთავსებული. იქიდან საქართველოს სამხრეთ საზღვრამდე 121 კმ-ია, ხოლო თბილისამდე – 175 კმ. МиГ-29 გამანადგურებლის საბრძოლო მოქმედების რადიუსი 700 კმ-ია.

სტატიაში მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, რომ საქართველოს ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრების ახლოს განთავსებული რუსული საბრძოლო ავიაციის მოქმედების ზონები ფარავს საქართველოს ტერიტორიას. ეს ფაქტორი მანამდე მოსკოვს არაერთხელ გამოუყენებია...

*ირაკლი ალადაშვილი*









ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასრულდება თუ არა ოპერაცია „მზე“ მზის ჩასვლამდე...



თურქეთი 1960 წლიდან ებრძვის საერთაშორისო, ეთნიკურ და სარწმუნოებრივ ტერორიზმს და თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან.



მას შემდეგ, რაც ისრაელმა გაახშირა ღაზას სექტორზე კონტროლი, ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია ძალზე დაიძაბა. თურქეთმა ბოლო ერთ კვირაში 25 სამხედრო დაკარგა ტერორისტებთან ბრძოლაში. ამის გამო სასწრაფოდ შეიკრიბა უშიშროების საბჭო, თურქეთის პრეზიდენტ გიულის ხელმძღვანელობით. ამასთან, თურქ პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ხელმძღვანელობით შედგა ბრიფინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქეთის გენერალური შტაბის მეთაური, არმიის გენერალი ჰილმი ოსქოქი, გენერალიტეტთან ერთად.

ბოლო პერიოდში შექმნილი ვითარების გამო, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს აშშ-ის ელჩი ანკარაში როს ვილსონი და ერაყის ელჩი ანკარაში საბაჰ უმრანი. თურქეთის მხარემ თავისი პოზიცია დააფიქსირა. აშშ-ის ელჩი ცალმხრივი ოპერაციების ჩატარების წინააღმდეგია და თურქეთს შესთავაზა, ოპერაციებში ამერიკელი და ერაყელი ჯარისკაცების მონაწილეობა. ეს, მისი აზრით, უფრო მომგებიანი იქნება.

კონდოლიზა რაიზის განცხადებით, ქურთ მუშათა პარტია მტერია როგორც აშშ-ის, თურქეთის, ასევე ერაყისა, მაგრამ მასთან ბრძოლისას არ უნდა დაირღვეს ქვეყნის სუვერენიტეტი და მთლიანობა.

ქურთ მუშათა პარტია, რომელიც დამოუკიდებელი ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძოდა, თურქების თქმით, კომუნისტური და მარქსისტური იდეებითაა განმსჭვალული. თურქეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მის მოწყობილ ტერორისტულ აქტებს დაახლოებით 5 ათასი კაცი შეეწირა. თურქეთის მთავრობის აზრით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები მოქალაქეები თურქი ხალხის განუყოფელი ნაწილია და ისინიც აქტიურად უნდა ჩაერთონ თურქეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში.




ქურთ მუშათა პარტიას ზოგიერთი ქვეყანა ფინანსურ დახმარებას უწევს, გარდა ამისა, ის ევროპაში არსებულ არალეგალურ ორგანიზაციებთანაც თანამშრომლობს, საიდანაც სოლიდურ დახმარებას იღებს.

თურქეთის მთავრობა 15 წლის მანძილზე ებრძოდა ქურთ მუშათა პარტიას, ბოლო წლებში მან მნიშვნელოვან შედეგსაც მიაღწია.



თურქეთის გავლენიან პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ სამხედრო ტექნიკა სრული ძალით უნდა გამოიყენონ. ამ აზრს იზიარებს თურქეთის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც გაალიზიანა აშშ თავისი გამოსვლით. მისი თქმით, ბოლო დროს ერაყში ქურთ მუშათა პარტიის გახშირებულ სამხედრო ოპერაციებს პასუხი უნდა გაეცეს. მეორე მხრივ, თურქეთის გენერალურმა შტაბმა მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო და სხვადასხვა ოპერაციის ჩატარებას გეგმავს.

21 თებერვალს თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა თურქეთ-ერაყის მოსაზღვრე ჰაქარის რეგიონიდან დაიწყეს შეჭრა. კომანდოს წარმომადგენლები ჩრდილო ერაყში, ლოიანის ტერიტორიაზე სტატიის დასაბეჭდად გაშვების მომენტში 25 კმ-იან მონაკვეთს



აკონტროლებდნენ. ოპერაცია, რომლის სახელწოდებაა „მზე“, ორი კვირით არის დაგეგმილი, ჯარის საერთო რაოდენობა 5000-დან 10000-მდე კაცს შეადგენს. 23 თებერვალს ოპერაცია უკვე ოთხი მიმართულებით დაიწყო. ტერორისტები კარგად არიან ეკიპირებულები, ისინი ჰაერსაწინაღო იარაღსა და მართვად ნაღმებს იყენებენ.

თურქეთის შეიარაღებული ძალები კანდილის მთის აღებიდან მეოთხე დღეს 2 კმ-ის რადიუსით მიუახლოვდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან მთა ზაპის, რომელიც ოთხივე მხრიდან ალყაშია მოქცეული ტანკებითა და მძიმე ტექნიკით. იმ შემთხვევაში, თუ მთას თურქეთის სახმელეთო ძალების ქვედანაყოფები ხელთ ჩაიგდებენ, მაშინ ქურთები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რადგან სურსათ-სანოვაგითა და აღჭურვილობით სწორედ იქიდან მარაგდებიან.

საბრძოლო შვეულმფრენებისა და არტილერიის მეშვეობით განადგურდა ტერორისტთა რამდენიმე თავშესაფარი და ინფრასტრუქტურა. ბრძოლაში იყენებდნენ თვითმფრინავ F-16-ებს, რაკეტებსა და შორ მანძილზე მოქმედ გამანადგურებელ იარაღს. ოპერაციის შედეგად მოკლულია 153 ტერორისტი, ხოლო თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს 20 სამხედრო მოსამსახურე.

24 თებერვალს შირნაკში არსებული 23-ე ჟანდარმერიის სასაზღვრო კორპუსს ეწვია თურქეთის სახმელეთო ძალების სარდალი, არმიის გენერალი ილქერ ბაშბუღი, რომელმაც სახმელეთო ოპერაციის კოორდინაციის ცენტრი დაათვალიერა.

სახმელეთო ოპერაციაში მონაწილეობენ ბორდოსფერბერეტიანები, ასევე სპეციალურად გაწრთვნილი კომანდოს ჯარი. თურქეთ-ერაყის საზღვარზე, რომელიც 280 კმ-ს შეადგენს, თავი მოუყარეს როგორც მსუბუქ, ასევე მძიმე ტექნიკას. ყველა გამსვლელი-შესასვლელ პუნქტს მკაცრად აკონტროლებენ. საზღვრის მთიან მონაკვეთზე განლაგებული არიან მესაზღვრეთა ქვედანაყოფები. ამჟამად თურქეთის სხვადასხვა ქვედანაყოფი ჩრდილო ერაყის 25 კმ-იან მონაკვეთს აკონტროლებს. მათ ხელთაა სოფლები შამქე, სინჯერი, ზევქე, სერნი, ბუზლუ, სიფანდერე, ნერვეჟური, ჯარმედა, ჰუსი, ბენისრა, ჰილე და ბენისტანი.

განადგურებულია ქურთების სამი ჰაერსაწინაღო ობიექტი, რომელიც საბრძოლო თვითმფინავებით გაანადგურეს. შვეულმფრენებით ,გადასროლილ იქნა ,ბორდოსფერბერეტიანთა და ჟანდარმერიის სპეციალური კომანდოს ჯგუფები.

თურქული საბრძოლო თვითმფრინავები ინტენსიურად ბომბავენ ნერვესა და რეკანის რეგიონებს. საბრძოლო ძალების შევსება ჰაქარიის სამთო და კომანდოს ბრიგადის, 21-ე სასაზღვრო ჟანდარმერიის ბრიგადისა და ჩუქურჯის პროვინციაში დისლოცირებული მე-3 სასაზღვრო ჟანდარმერიის ტექნიკური პოლკის ხარჯზე ხდება. ჩუქურჯის რეგიონში დაიწყო საველე ჰოსპიტლების განთავსება. ამასთან, ჩუქურჯის პროვინციაში არსებული ჟანდარმერიის სასაზღვრო-ტაქტიკური პოლკის ტერიტორიაზე საბრძოლველად მობილიზებულია 8 Cobra-ს ტიპისა და 2 UM-60 ტიპის შვეულმფრენი.

ამავდროულად, თურქეთის ქალაქ ვანში შეტაკება მოხდა თურქეთში მცხოვრებ ქურთებსა და პოლიციას შორის. დემონსტრანტები ჩრდილოეთი ერაყიდან თურქული არმიის გაყვანას მოითხოვენ. თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ოპერაცია მიზნად ისახავს ქურთ ტერორისტთა ბაზების განადგურებას.

ოპერაცია მზე-ს ჩატარებისას თურქეთის არმიის ერთმა Cobra-ს ტიპის საბრძოლო შვეულმფრენმა კატასტროფა განიცადა. არ არის გამორიცხული, რომ ის ქურთებმა ჩამოაგდეს.

P.S. 29 თებერვალს თურქეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბმა გააკეთა შემდეგი სახის განცხადება: „ოპერაციის მიზანი მიღწეულია. 29 თებერვალს თურქული სამხედრო დანაყოფები დაბრუნდნენ თავიანთ სამხედრო ნაწილებში“.

თურქეთის ოფიციალური პირები უარყოფენ, რომ თურქეთი აშშ-ის ხელმძღვანელობამ აიძულა, ჯარები რაც შეიძლება სწრაფად გამოეყვანა ჩრდილოეთი ერაყიდან. თუმცა ამ სამხედრო კამპანიის დაწყებისთანავე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მოუწოდა თურქეთის ხელისუფლებას, „რაც შეიძლება მალე დაემთავრებინათ ოპერაცია“, აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი კი სპეციალურად ჩაფრინდა ანკარაში.

თურქეთის ოფიციალური პირების მონაცემებით, თურქეთის სამხედრო დანაყოფებმა ჩრდილო ერაყში ერთი კვირის განმავლობაში „ქურთების მუშათა პარტიის“ 237 მებრძოლი გაანადგურეს, დარტყმები მიაყენეს ქურთების 290 საწყობს, 12 სამეთაურო პუნქტს, 11 კავშირგაბმულობის პუნქტს, 6 სავარჯიშო ბანაკს. თურქეთის არმიის დანაკარგებმა 24 ჯარისკაცი შეადგინა.

ანკარა არ გამორიცხავს, რომ საჭიროების შემთხვევაში გაიმეოროს ასეთივე სამხედრო ოპერაციები ჩრდილოეთ ერაყში.

თამუნა წითაძე


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ტერორიზმი დიდ ბიზნესად იქცა



**დღე არ გავა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შემაძრწუნებელი ტერაქტი არ მოხდეს, რომელსაც, ძირითადად, მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება. წლები გადის, მსოფლიოში მილიარდობით დოლარი იხარჯება ტერორიზმთან ბრძოლაში, მაგრამ შედეგი კი მაინც არ ჩანს. სახელმწიფოს ანტიტერორისტული ოპერაციების დაფინანსებას თუ დავამატებთ იმ თანხას, რაც დაზარალებულთა დაზღვევის კომპენსაციაზე იხარჯება, აღმოჩნდება, რომ საერთაშორისო ტერორიზმი უდიდეს ზარალს აყენებს კაცობრიობას.**

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებმა ძალზე დააზარალა მსოფლიო ეკონომიკა. კიდევ უფრო გაღრმავდა ეკონომიკური კრიზისი ცალკეულ ქვეყანსა და დარგში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, კრიზისი 70-იანი წლების შემდეგ არ ყოფილა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეისათვის კერძო პირებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის ხელთ არსებული ფინანსური, ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსები სავსებით საკმარისია საფონდო, სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე დისკრეციული პანიკის (მართვადი ქაოსის) შესაქმნელად, მაშინ გასაგებია, რა საშიშროების წინაშე დგას კაცობრიობა.

XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკის მთავარ საფრთხედ შეიძლება იქცეს გლობალური ეკონომიკური ტერორიზმი. ნავთობით ან გაზით მდიდარ სახელწიფოს არ გაუჭირდება ყოველწლიურად რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გამოყოს ტერორისტული ორგანიზაციების დასაფინანსებლად. გარდა ამისა, მოიძებნება ნედლეულის ფასების ხელოვნურად გაზრდის სხვა ხერხებიც.

მაგალითად, ირანის ბირთვული პროგრამა რუსეთ-ამერიკის პოლიტიკური ვაჭრობისა და ამერიკის შანტაჟირების იარაღი გახდა. რუსეთი ოფიციალურად ეთანხმება გაეროს ბირთვული იარაღის წარმოების აკრძალვის დადგენილებებს, კვერს უკრავს ამერიკას ირანის ბირთვული პოტენციალის გაფართოების საშიშროების შესახებ, სინამდვილეში კი თავად აქეზებს (პოლიტიკური მხარდაჭერითა და ტექნიკური დახმარებით) ირანის ზღვარგადასულ ჯიუტობას. უკვე მერამდენე წელია ირანი და რუსეთი შეხმატკბილებულად თამაშობენ ამ პინგ-პონგს. ამასობაში კი ირანი გამალებით მუშაობს ბირთვული იარაღის შექმნაზე, მისი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი კვლავ მწვავე და სახიფათო განცხადებებს აკეთებს. ამასობაში ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდა ყველა ისტორიულ რეკორდს ხსნის, ეს კი ვის აძლევს ხელს? — ისევ და ისევ ამ ორ ქვეყანას, რადგან დღევანდელ გაყინულ კონფლიქტსა და საერთაშორისო დაძაბულობას პოლიტიკურ დივიდენდებთან ერთად მოსკოვისთვის უდიდესი ფინანსური მოგებაც მოაქვს.

ორივე ქვეყანას ამგვარი პატური სიტუაციის შენარჩუნება განუსაზღვრელი დროით აწყობს, რადგანაც სწორედ ნავთობის ექსპორტია მათი ბიუჯეტის შევსების მთავარი წყარო.

დღეისათვის საერთაშორისო ტერორიზმი იდეური ბრძოლიდან პრაგმატულ სიბრტყეზე გადადის და ძალზე მომგებიან ბიზნესად იქცა. საერთაშორისო ტერორიზმის „ბაზარი" ჩვეულებრივი საბაზრო კანონებით მოქმედებს, — არის მოთხოვნა, მიწოდება, განისაზღვრება ფასი და ა.შ.

ათასობით კაცის უბედურების ხარჯზე მდიდრდებიან ტერაქტების ორგანიზატორები, რომლებსაც შეუძლიათ მსოფლიო საფონდო და სავალუტო ბაზრებზე სპეკულაციური გარიგებებით მილიონობით დოლარის შოვნა.

ტერაქტები სტაბილური შემოსავლის წყაროდ იქცა შემსრულებლებისთვისაც. „ალ-ქაიდა", „ჰეზბოლაჰი" და სხვა







ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერორისტულ და ექსტრემისტულ ჯგუფებში არსებული ნათესაური კავშირი და გადაწყვეტილებების მიმღები ხელმძღვანელი ჯგუფის მცირერიცხოვნობა საერთაშორისო ტერორიზმს კორპორაციულ, ჩაკეტილ ბიზნესად აქცევს.

ამერიკის დაზვერვის ერთ-ერთი ფსიქიატრი მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ აცხადებს, რომ „ალ-ქაიდას“ ტერორისტების 60%-ზე მეტი დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს, ხოლო 20% კი ნათესავები არიან. ცნობილი პალესტინელი ტერორისტის, აბუ-ნი-დალის, ორგანიზაციაში ტრადიციულად მხოლოდ ნათესავებს იღებდნენ. თავისი სურვილით იქ მისულს ტყვია არ აცდებოდა.

დადგენილია, რომ გადაწყვეტილებას საერთაშორისო ტერაქტების ჩატარებაზე 200-300 კაცისგან შემდგარი, ღრმად კონსპირაციული ჯგუფი იღებს, რომელსაც სულ რამდენიმე პირი აკონტროლებს.

სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახური უძლურია ფანატიკოს შაჰიდებთან ბრძოლაში. მით უფრო, რომ ბოლო დროს ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ყველაზე მიუღებელ ხერხს მიმართეს, – ტერაქტის მოსაწყობად ხეიბრებსა და გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანებს იყენებენ.

## რა ღირს ტერაქტის მოწყობა

სკოტლანდ-იარდელი გამომძიებლების ინფორმაციით, პაკისტანელი „თალიბების“ მეთაურმა ბათულა მეჰსუდმა პაკისტანის ოპოზიციის ლიდერ ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობაში სულ რაღაც 7 ათასი დოლარი გადაუხადა კილერ ჩოდრი აბდულა მაჯიდს. ამ ტერაქტმა კი, შესაძლოა, არა მარტო პაკისტანის უახლესი ისტორია შეცვალოს, არამედ მთელი აზიის მომავალზეც კი იმოქმედოს.

„შაჰიდების ქამრის“ ღირებულება 80-90 დოლარს არ აღემატება, ამას სხვა „ორგანიზაციული“ ხარჯებიც (მაგ. თაიგული ან ტორტი, რომელიც კამიკაძემ მსხვერპლს ვითომ უნდა მიართვას) ემატება და სულ 110-130 დოლარია საკმარისი ათეულობით კაცის მოსაკლავად.

ასე მოკლეს 1984 წელს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი, ხოლო მისი ვაჟი, რაჯივ განდი, 1991 წელს ტერორისტ-თვითმკვლელის მსხვერპლი გახდა.

აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ინფორმაციით, 11 სექტემბრის ტერაქტი „ალ-ქაიდას“ სულ რაღაც 500.000 დოლარი დაუჯდა. მას 3000 კაცი შეეწირა, ხოლო მატერიალურმა ზარალმა 135 მილიარდ დოლარს მიაღწია. საინტერესოა, რომ როცა ამ ტერაქტის შემდეგ აშშ-ის ხელისუფლებამ „ალ-ქაიდას“ საბანკო ანგარიშები დააყადაღა, ამ ტერორისტული ორგანიზაციის წევრების ლეგალურ საბანკო ანგარიშებზე 27 მილიარდი დოლარი აღმოჩნდა.

ამ მოვლენებმა რეალური საფუძველი მისცა ერთი შეხედვით სენსაციური ვერსიის გავრცელებას იმის შესახებ, რომ ტერაქტების ორგანიზატორებმა უდიდესი მოგება ნახეს აქციების, ძვირფასი ლითონებისა და ვალუტის სპეკულაციით. მართლაც, 11 სექტემბრის წინა დღეებში შეინიშნებოდა განსაკუთრებული აქტივობა საფონდო ბირჟებზე, – თავიდან იცილებდნენ სატრანსპორტო, ტურისტული და სადაზღვევო კომპანიების აქციებს. პარალელურად კი ყიდულობდნენ ნავთობის, გაზისა და ოქროს მომპოვებელი ფირმების ფასიან ქაღალდებს. ტერაქტის მეორე დღესვე სწორედ ნედლეულის მომპოვებელი კომპანიების აქციების ფასი გაიზარდა რეკორდულად.

2004 წელს მადრიდში მოწყობილი 13 ტერაქტი, რასაც 200 კაცი შეეწირა, სულ რაღაც 11.000 ევრო დაჯდა, ხოლო 2005 წლის ივლისში ლონდონში ტერაქტის მოწყობისთვის, რომელმაც რამდენიმე ათეული კაცის სიცოცხლე შეიწირა, სულ რაღაც 300 გირვანქა სტერლინგი დაიხარჯა.

ტერაქტები, რომლებიც კარგად დაცული ტერიტორიებისა და შენობების ასაფეთქებლად იგეგმება, გაცილებით ძვირი ჯდება. ალბათ, ჩვენ მკითხველს ახსოვს 1998 წელს თბილისში, ამერიკის საელჩოს წინ, ვეებერთელა კედელი რომ აღმართეს და საავტომობილო მოძრაობა გადაკეტეს. ეს ღონისძიება კენიასა და ტანზანიაში რამდენიმე კვირით ადრე აშშ-ის საელჩოების აფეთქებების გამოძახილი იყო. აფრიკის ორ ქვეყანაში მოწყობილი ტერაქტები „ალ-ქაიდას“ 50.000 დოლარი დაუჯდა.

ისრაელის საგარეო დაზვერვის „მოსადის“ ინფორმაციით, პალესტინურ ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰამასს“ ისრაელში ტერაქტის მოწყობა 3.500-50.000 დოლარამდე უჯდება. გაცილებით იაფია ტერაქტი რუსეთის ტერიტორიაზე. 2002 წლის დეკემბერში გროზნოში მთავრობის სახლის აფეთქებამ 70 კაცის სიცოცხლე შეიწირა, რაც სულ 400 დოლარი დაჯდა.

საერთაშორისო ტერორიზმი პოლიტიკური ზეწოლის იარაღადაც იქცა. 2006 წლის იანვარში რუსეთიდან გაზის მოწოდება სამი კვირით შეწყდა და ლამის მთელი საქართველო გაიყინა. რუსეთის ხელისუფლებამ ამის მიზეზად გაზსადენზე მომხდარი ტერაქტი დაასახელა და ვითომ გამოძიება დაიწყო. გაზსადენი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე აფეთქდა, სადაც თავმოყრილია რუსეთის არმიის გაძლიერებული სამხედრო დანაყოფები და იქ ჩიტიც კი ვერ შეფრინდება. რუსეთის გეგმა მაშინვე გაიშიფრა, – მას საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობისა და დესტაბილიზაციის გამოწვევა სურდა.

დღეს არის რეალური საშიშროება იმისა, რომ დიდი ფინანსური რესურსების წყალობით ტერორისტები გამოიყენებენ უახლეს სამხედრო ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის ბოლო მიღწევებს. უფრო დაიხვეწება მათი ორგანიზაციული ფორმა და სტრუქტურა. მოსალოდნელია ასევე ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენება. რომელიმე ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნის სათავეში რელიგიური ფანატიკოსების მოსვლის შემთხვევაში, არაა გამორიცხული სახელმწიფო ტერორიზმის საფრთხეც, რასაც გაცილებით მძიმე შედეგი ექნება.

*ბესიკ ალადაშვილი*







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფული, პოლიტიკა და სპეცსამსახურები

ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელი გარდაცვალება კარგა ხანს დარჩება ეჭვის საგნად. ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა თუ მოკლეს? _ ეს კითხვა ძალზე ბევრ ადამიანს აწუხებს. უეჭველია, დიდი ბრიტანეთის პოლიცია და სპეცსამსახურები ოლიგარქის გარდაცვალების მიზეზს სულ მალე დაადგენენ, მათ ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საბაბი ნამდვილად არ გვაქვს. რადიოაქტიური ნივთიერებით მოწამვლა უკვე გამოირიცხა, ამჟამად ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა მიმდინარეობს, რაც რამდენიმე კვირა კიდევ გაგრძელდება. თუმც ცხედარი გადმოასვენეს და დაკრძალეს, რაც ფაქტობრივად, გამორიცხავს ძალდატანებითი სიკვდილის ვერსიას.

ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს არაფრისდიდებით არ სურს გულის ინფარქტით გარდაცვალების ოფიციალური ვერსიის დაჯერება და პოლიტიკურ მკვლელობაზე მიანიშნებენ. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ „შეთქმულების თეორიის" სასტიკი მოწინააღმდეგე იყო, დღეს ოლიგარქის გარდაცვალებას სპეცსამსახურებს უკავშირებს.

## რას ეძებენ მილიარდერები პოლიტიკაში

ჭეშმარიტებაა, რომ დიდი ფული, განსაკუთრებით კი მედიამაგნატების ხელში, საბოლოოდ მაინც დიდი პოლიტიკისკენ მიილტვის, თუმცა არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ჩატარებულ თავისუფალ არჩევნებში, ჯერჯერობით, არც ერთ მილიარდერს არ გაუმარჯვია. ალბათ, ყველას ახსოვს ამ რამდენიმე წლის წინ ჯორჯ ბუში-უმცროსის ერთ-ერთი კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში ამერიკელი მილიარდერი როს პერო იყო, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და არჩევნებს გამოეთიშა.

XXI საუკუნე ინფორმაციული და ვირტუალური ტექნოლოგიების საუკუნეა და მედიასაშუალებების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება, რადგან ისინი საზოგადოების მანიპულირების მძლავრი იარაღია. მედიამაგნატებსა და ოლიგარქებს პოლიტიკაში იზიდავთ საჯარო ძალაუფლების მიღწევის და ამით ტკბობის „სურნელი", ხშირად პოლიტიკური მოღვაწეობა მათთვის ერთგვარი ხელშეუხებლობის გარანტი და სიმდიდრის თავშესაფარია, ზოგისთვის სხვადასხვა გზით ნაშოვნი ფულის „გაპრავების" გზაც. ხშირად პოლიტიკაში მოსვლის ძირითადი მიზანი კონკურენტების ჩაძირვა და ახალი მილიარდების შოვნაა.

ოლიგარქების ცხოვრება მხოლოდ შორიდან ჩანს უზრუნველი და ბედნიერი, სინამდვილეში კი იძულებული არიან უამრავ რამეს გაუწიონ ანგარიში. დიდი ბანკირები და მედიამაგნატები ყოველთვის იყვნენ სპეცსამსახურების დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტი. მეტიც, ხშირად მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და ოლიგარქებს რომელიმე ქვეყნის (ზოგჯერ ქვეყნების) სპეცსამსახურები მართავდნენ. ჭეშმარიტებაა, რომ ყველა შედარება პირობითია და პირდაპირი პარალელების ძიება არამართებულია. ამიტომ მკითხველს ვთხოვთ, ქვემოთ მოყვანილი ისტორიული ფაქტები პირდაპირ არ დაუკავშიროს რომელიმე ქართველი მილიარდერის ცხოვრებას.

## მილიარდერები და სპეცსამსახურები

სპეცსამსახურების ისტორიაში ბევრი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდნენ მდიდარი და ცნობილი პირები „გავლენის აგენტები". ზოგი მხოლოდ ერთი ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედებდა, ზოგი კი მრავალი ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში იყო მიღებული და კულუარულ ინფორმაციას თავისი ბიზნესის მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმზე „ცვლიდა". ბევრ მილიარდერზე არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ისინი საბჭოთა დაზვერვის „გავლენის აგენტები" იყვნენ და სანაცვლოდ ანაზღაუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას – მილიონობით დოლარს განსაკუთრებით ხელსაყრელი და ექსკლუზიური კონტრაქტებით იღებდნენ. ვიქტორ როტშილდი, არმანდ ჰამერი და რობერტ მაქსველი არიან გამორჩეულნი მილიარდერებისა და მულტიმილიონერების იმ დიდი სიიდან, რომელთა ბიზნესი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ლიდერებსა და სპეცსამსახურებთან კარგი კონტაქტის შედეგად აყვავდა. სანაცვლოდ, ისინიც თავს არ ზოგავდნენ კომუნისტური იმპერიისთვის დადებითი იმიჯის შესაქმნელად, ზოგჯერ კი განსაკუთრებით საიდუმლო დოკუმენტებსაც კი აწვდიდნენ კრემლს.


არმანდ ჰამერი მარტო ამერიკელებს კი არ ახუჭუჭუჭებდა საბჭოეთის სასარგებლოდ...

## „ამხანაგი მილიარდერი" კა-გე-ბეს აგენტი იყო

არმანდ ჰამერი 1898 წელს ამერიკაში, რუსი ებრაელის ოჯახში დაიბადა. 1921 წელს დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯი. არმანდის მამას, იულიუსს ჰამერს, რამდენიმე ფარმაცევტული ფირმა ჰქონდა და ახალგზრდა საბჭოთა რესპუბლიკას სამოქალაქო ომის დროს წამლებით ამარაგებდა. ბოლშევიკებმა მედიკამენტების ღირებულება არ გადაიხადეს და სწორედ ვალის (იმ დროისათვის ასტრონომიური თანხის – 150 ათასი დოლარის) დასაბრუნებლად ჩავიდა ახალგაზრდა არმანდი 1921 წელს მოსკოვში. ლენინთან შეხვედრის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ვალის დაბრუნებაზე უარი მიიღო, ჰამერი კმაყოფილი იყო. მათ ერთმანეთს, როგორც ორმა ბიზნესმენმა, კარგად გაუგეს. ლენინმა ამერიკელს ვალის სანაცვლოდ ძალზე ხელსაყრელი ვარიანტები შესთავაზა. რუსეთიდან ოქროს, ხე-ტყის, ხიზილალისა და ბეწვეულის შეუფერხებელი ექსპორტი ჰამერისთვის მართლაც ციდან მოვლენილი საჩუქარივით იყო. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი რუსეთის უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ II-ის ოჯახისა და რომანოვების დინასტიის ფერწერული ტილოებისა და ხელოვნების ნიმუშების კოლექციის ჩალის ფასად ხელში ჩაგდება აღმოჩნდა. ამ გზით 1921-1930 და 1961-1987 წლებში ჰამერმა მოახერხა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექციის შექმნა, რომელიც დროდადრო გამოიფინებოდა სხვადასხვა ქვეყანში (სხვათა შორის, 80-იანი წლებში თბილისშიც იყო წარმოდგენილი).

1924 წელს ჰამერის მონაწილეობით აშშ-ში შეიქმნა „ამტორგი" – საბჭოთა-ამერიკული სავაჭრო ორგანიზაცია. საბჭოთა კავშირში ბიზნესის წარმოებაში მას დიდ დახმარებას უწევდა ჩეკას თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკი. საფიქრებელია, რომ სწორედ მაშინ დაიწყო ჰამერის ოპერატიული დამუშავება. სარწმუნო ვერსიით, ახალგაზრდა ამერიკელს ჩეკამ ბოშური სიმღერების შემსრულებელი, ულამაზესი ოლგა ვადინა მიუგზავნა. 1927 წელს ისინი დაქორწინდნენ. ამერიკაში დაბრუნების შემდეგაც, დიდხანს, ჰამერი მეუღლის აშკარა გავლენის ქვეშ იყო.

იმ პერიოდში აშშ არ ცნობდა საბჭოთა კავშირს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ „ამტორგს" უნდა შეესრულებინა როგორც სავაჭრო, ასევე დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციები. ამავე დროს ეს ორგანიზაცია იყო ამერიკაში საბჭოთა დაზვერვის ერთადერთი ლეგალური „სახურავი", სადაც საელჩოს გახსნამდე თავს აფარებდნენ საბჭოთა მზვერავები და ოპერატიულ-აგენტურულ ოპერაციებს გეგმავდნენ.

თავის მხრივ, არმანდ ჰამერი მოსვენებას არ აძლევდა აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს და საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას სთხოვდა. მართლაც, 1933 წელს აშშ-მა საბჭოთა კავშირი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, აღიარა.

ჰამერმა ურთიერთობა ვერააწყო „დიდ ბელადთან" – სტალინთან, რის გამოც თითქმის ოცდაათი წელიწადს მოსკოვში არ ჩასულა. სამაგიეროდ, შორიდან არ აკლებდა ქება-დიდებას საბჭოთა იმპერიას. ხრუშჩოვის ე.წ. დათბობის წლებში არმანდ ჰამერს, როგორც რუსები იტყვიან, მეორე სუნთქვა გაეხსნა და ახალი ენერგიით შეუდგა კრემლის ლობირებას მთელ მსოფლიოში და არც მილიონების შოვნას ივიწყებდა. ბრეჟნევის პერიოდში მოსკოვი ცდილობდა ჰამერის შესაძლებლობები ახალი საბჭოთა ინიციატივის – „განაიარაღების პროგრამის" შესასრულებლად, კრედიტების მისაღებად და აშშ-ში საბჭოთა ექსპორტის გასაფართოებლად გამოეყენებინა. 1978 წელს „ამხანაგი მილიარდერი", ასე ეძახდნენ ჰამერს პარტიული ბოსები, დიდი ზარ-ზეიმით დააჯილდოეს „ხალხთა მეგობრობის" ორდენით. შემდგომ წლებშიც, განსაკუთრებით კი გორბაჩოვის დროს, ჰამერი დაუღალავად ასრულებდა „მთავარი საბჭოთა ლობისტის" მოვალეობას. ის 1990 წლის 10 დეკემბერს, ოთხმოცდათორმეტი წლისა გარდაიცვალა. მემკვიდრეები მოუთმენლად ელოდნენ ანდერძის გახსნას. მათდა გასაკვირად, ჰამერის ვალები ბევრად აჭარბებდა მის ქონებას. იმედგაცრუებული უახლოესი ნათესავები დაკრძალვასაც კი არ დასწრებიან.

## ლონდონი ოდითგანვე შპიონთა ქალაქია

ლონდონი დიდი ხანია მსოფლიოს საფინანსო ცენტრია, თანაც უკანასკნელ წლებში მილიარდერ პოლიტემიგრანტთა თავშესაფრადაც იქცა, – ბერეზოვსკი, აბრამოვიჩი, პატარკაციშვილი. ალბათ, ამიტომაცაა საინტერესო დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი მრავალი ქვეყნის სპეცსამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურისთვის.

დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვა (მი-5) აქტიურად მუშაობს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების აქტიურობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ხშირად მარცხდება (თუნდაც ლიტვინენკოს მკვლელობა გავიხსენოთ).



ვიქტორ როტშილდი

ყველაზე დიდი მარცხი მი-5-მა გასული საუკუნის 30-იან წლებში განიცადა, რაც დღესაც მწარედ ახსოვთ.

30-იანი წლების დასაწყისში ლონდონის კემბრიჯის უნივერსიტეტი და მისი თრინითი-კოლეჯი, ისევე როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტი, საბჭოთა აგენტების „სამჭედლო" გახდა. ეს უმაღლესი სასწავლებლები შემთხვევით არ შეურჩევიათ, – იქ განათლებას იღებდნენ დიდი ბრიტანეთის მომავალი პოლიტელიტა და მილიარდერები,დიპლომატიური კორპუსი და სპეცსამსახურების „ჯეიმს ბონდები". ინგლისის საკადრო პოლიტიკის ღრმა ანალიზის შედეგად საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მომავალი აგენტურის მოსაძებნად კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტი საუკეთესო ვარიანტი იყო.

1934 წლის თებერვალში საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი თანამშრომელი, 30 წლის არნოლდ დეიჩი (კა-გე-ბეს კადრების სამმართველოში აღრიცხული იყო როგორც სტეფან ლანგი, ავსტრიელი ებრაელი, ოპერატიული ფსევდონიმები „ოტო", „სტეფანი") საიდუმლო სადაზვერვო დავალებით ლონდონში ჩავიდა. მის წინაშე მეტად რთული ოპერატიული ამოცანა იდგა – დიდი ბრიტანეთის არისტოკრატთა, მეცნიერთა და ბანკირთა ფენებში უნდა შეერჩია „კომუნისტური ინტერნაციონალის" საფარქვეშ აგენტურული მუშაობისათვის საჭირო კანდიდატები. ერთი შეხედვით, არისტროკრატიულ და კონსერვატორულ ინგლისში ამ ამოცანის შესრულება აბსურდული ჩანდა, მაგრამ დეიჩმა დიდი ნიჭი და ალღო გამოავლინა და წარმატებასაც მიაღწია.

სამეცნიერო და სტუდენტური სფეროს უკეთ შესწავლის მიზნით, პირველ ეტაპზე, საბჭოთა აგენტი ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მსმენელად ჩაირიცხა, ხოლო 1936 წელს უკვე ფსიქოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, რის შემდეგ უკვე თავად კითხულობდა ლექციებს. სულ ორ-სამ წელიწადში დეიჩმა გადმოიბირა 20-ზე მეტი აგენტი (მათ შორის საბჭოთა დაზვერვის „მარგალიტები" – კემბრიჯის „შესანიშნავი ხუთეული": ბერჯესი, მაქკინლი, ბლანტი, ფილბი და კერნქროსი). გარდა ამისა, ინგლისში საბჭოთა დაზვერვის არალეგალურ რეზიდენტ თეოდორ მალისთან ერთად „ნაყოფიერად იმუშავა" დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების მეორე ცენტრში – ოქსფორდში, სადაც მათ ლექტორებისა და სტუდენტებისაგან შექმნეს საბჭოთა აგენტების („თხუნელების") იმდენად ღრმად კონსპირაციული ქსელი, რომ მათი ვინაობა დღესაც უცნობია.

უმაღლესი განათლების წრეში მუდმივი ტრიალი საბჭოთა აგენტებს საშუალებას აძლევდა, ახლოს გაეცნოთ სტუდენტები და ლექტორები, დაეფიქსირებინათ მათი სისუსტეები და მავნე ჩვევები (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი და ა.შ.), რაც ძალზე ძლიერი იარაღი იყო მათი შანტაჟირებისათვის და გადმოსაბირებლად. უპირველესად, საბჭოთა დაზვერვის ინტერესს იწვევდნენ ყველაზე ნიჭიერი და გამორჩეული სტუდენტები და ლექტორები, რომლებიც მომავალში შესაძლებელია ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულიყვნენ.

„კემბრიჯის ხუთეულმა" 4-5 წელიწადში უმნიშვნელოვანესი საკვანძო პოსტები დაიკავა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში – საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებში. მათ კარიერულ წინსვლას გეგმავდა და მაქსიმალურად ხელს უწყობდა საბჭოთა დაზვერვა. ეს აგენტები 20-30 წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ კრემლისთვის, რომელსაც 25 ათასზე მეტი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი მიაწოდეს. სპეცსამსახურების ისტორიკოსთა მტკიცებით, ამ ხუთეულის გარდა კრემლის „გავლენის აგენტი" იყო როტშილდების უმდიდრესი გვარის შთამომავალი ვიქტორ როტშილდი, რომელიც მფარველობდა და გარკვეულწილად აფინანსებდა კიდეც „კემბრიჯის ხუთეულს".

## ვიქტორ როტშილდი კრემლის სამსახურში

ვის არ სმენია როტშილდების საბანკო სახლის შესახებ, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეში გამდიდრდნენ ომების დაფინანსებითა და სუეცის არხის აქციებით სპეკულაციით? სწორედ როტშილდთა საბაკო სახლის ინგლისური შტოს შთამომავალი იყო ლორდი ნათანიელ მეიერ ვიქტორ როტშილდი (1910-1990წწ.). ის 1930 წლიდან სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, 1932 წელს კი გახდა კომპარტიის ფარული წევრი.

1934 წელს ახალგაზრდა ვიქტორი საბჭოთა დაზვერვამ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით გადაიბირა. მეგობრობდა უინსტონ ჩერჩილთან, რაც საშუალებას აძლევდა, ყოფილიყო დიდი ბრიტანეთის ბევრი საიდუმლო დოკუმენტის თვითმხილველი. ამავე დროს ვიქტორი აქტიურად მონაწილეობდა სიონისტურ მოძრაობაში და დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა პალესტინაში მცხოვრებ ებრაელებს.

მეორე მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე როტშილდი ჩაირიცხა ინგლისის კონტრდაზვერვაში, სადაც კურირებდა ეკონომიკურ კონტრშპიონაჟს. 1940 წელს დაინიშნა საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსად და ხელი მიუწვდებოდა დიდი ბრიტანეთის ყველაზე საიდუმლო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, მათ შორის, ატომურ კვლევებზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში.

1951 წელს, როდესაც საბჭოთა აგენტები მაკკინლი და ბერჯესი მოსკოვში გაიქცნენ, ლორდი როტშილდი მი-5-ის ეჭვის ქვეშ მოხვდა, თუმცა არ დაუკითხავთ. 1963 წელს კიმ ფილბი, მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და საბჭოთა აგენტი მოსკოვში გაიქცა, თუმცა ლორდი კვლავ მშრალი ამოვიდა წყლიდან. შემდგომ წლებში ეკავა ძალზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები, პარალელურად ხელმძღვანელობდა როტშილდთა საგვარეულო ბანკს.

იყო თუ არა, მილიარდერი ლორდი საბჭოთა აგენტი? – ეს დღესაც საიდუმლო თემაა, რადგანაც რუსეთის სპეცსამსახურების არქივები კვლავ დუმან.

„არსენალის" შემდეგ ნომერში მოგითხრობთ ცნობილი მედიამაგნატისა და მილიარდერის, რობერტ მაქსველის, შესახებ, მის კავშირზე სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან და იდუმალ გარდაცვალებაზე.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ რედაქციას*
*11 თებერვალი, 2008წ.*

# „ნადირობა მელაზე“




თქვენს ჟურნალში (№2, 2008წ.) გამოქვეყნებულმა სტატიამ, რადიოგადამცემის სიხშირის მუდმივი ცვლილებით დახურული რადიოკავშირის მიღწევის თაობაზე, უნებლიეთ მომაგონა ახალგაზრდობაში ჩემი გატაცება რადიოტექნიკური სპორტით.

რადიოტექნიკური სპორტის შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით გიგზავნით 47 წლის წინ ქუთაისში გამომავალ გაზეთ „სტალინელში“ (№165, 22 აგვისტო, 1961წ.) გამოქვეყნებული სტატიის („პირველი შედეგები“) ქსეროასლს. განცალკევებულ ფოტოზე, აგრეთვე, საერთო სურათზე მარცხნიდან მესამე ამ წერილის ავტორია.

საქმე ისაა, რომ რადიოტექნიკური სპორტის ერთ-ერთი სახეობა, სახელწოდებით „მელაზე ნადირობა“, არის პირობითი მოწინააღმდეგის დამალული რადიოგადამცემის სწრაფი აღმოჩენის ხელოვნება. „მელაზე ნადირობისას“, როდესაც „მონადირის“ (სპორტსმენის) გარდა არაერთხელ ვყოფილვარ „მელა“ (რადიოგადამცემის ოპერატორი), ხშირად მიფიქრია, რადიოგადამცემის აღმოჩენის არსებული წესის (რადიოპელენგაციის) პირობებში როგორ შეიძლებოდა „მელა“ „მონადირისათვის“ უხილავი დარჩენილიყო, რასაც სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ „მონადირეს“ საშუალება ჰქონდა რადიომიმღებით თავისუფლად დაეფიქსირებინა „მელას“ რადიოგადაცემის სიხშირე და შემდეგ ჩაეტარებინა რადიოსიგნალის მიმართულების განმსაზღვრელი პროცედურები, აუცილებელი იყო რადიოგადაცემის ტექნოლოგიური პროცესის შეცვლა ისე, რომ „მონადირეს“ ვერ დაეფიქსირებინა „მელას“ რადიოგადაცემა.

ამ მიზნის მისაღწევად, დაახლოებით 39 წლის წინ, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების დაპროექტების სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში (სკბ „პროექტ-პრიბორი“). სადაც იმხანად ვმუშაობდი, გავაკეთე მარტივი, ერთკასკადიანი რადიოგადამცემი, რომლის რხევით კონტურში ჩართული, ცვლადი ტევადობის, ჰაერის დიელექტრიკიანი კონდენსატორის „როტორი“ მიკროელექტროამძრავის საშუალებით ბრუნავდა დაბალი სიჩქარით, რის შედეგად რადიოგადამცემის სიხშირე საშუალო ტალღის მთელ დიაპაზონში გამუდმებით იცვლებოდა მინიმუმიდან მაქსიმუმამდე და პირიქით.

რადიოგადამცემის სიგნალის მიღება ჩვეულებრივი რადიომიმღების საშუალებით უკვე შეუძლებელი იყო, რადგანაც ნებისმიერ სიხშირეს, რომელზედაც მომართული იქნებოდა რადიომიმღები, რადიოგადამცემის ცვლადი სიხშირული სპექტრი სწრაფად კვეთდა და ტოვებდა. ასეთი რადიოგადამცემის სიგნალის მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ სპეციალური რადიომიმღების საშუალებით, რომლის რხევით კონტურში დაიწყებოდა რადიოგადამცემის რხევით კონტურში მიმდინარე პროცესის ანალოგიური პროცესი, სიხშირეების ცვალებადობის სინქრონიზაციის გათვალისწინებით.

რადიოგადამცემისა და რადიომიმღების სიხშირეების ცვლილების ზემოთ განხილული მექანიზმის გარდა, პერსპექტიულად მიმაჩნდა გადაცემისა და მიღების სიხშირეების სინქრონული ცვლილება მომხდარიყო სპეციალური, მართვის ელექტრონული ბლოკების საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სიხშირის საფეხუროვან და ამავე დროს, ქაოსურ გადართვებს, წინასწარ განსაზღვრული წესის (კოდის) მეშვეობით. ამ იდეის რეალიზება მოქმედი მოდელის დონეზე არ განმიხორციელებია, რადგან ამის საშუალებას არ მაძლევდა ჩემი ძირითადი სამუშაო. მიუხედავად ამისა, სკბ „პროექტ-პრიბორმა“ ჩემი ავტორობით, სიხშირის ცვლილების ორივე იდეაზე, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტში წარადგინა განაცხადი გამოგონებაზე სახელწოდებით: „რადიოგადაცემა, რომელიც არ ექვემდებარება პელენგაციას“. კომიტეტიდან მიღებული პასუხის თანახმად, გამოგონებაზე საავტორო უფლების მოსაპოვებლად საკმარისი არ იყო მხოლოდ იდეის წარმოდგენა. საჭირო იყო დაწვრილებითი გაანგარიშებები, რომლებიც მაშინ მე არ გამაჩნდა. დღეს კი ახალ ტექნიკაში ხორცშესხმულია დაახლოებით 39 წლის წინ ჩემ მიერ განცხადებული იდეა, — დახურული რადიოკავშირის მისაღწევად რადიოგადამცემისა და რადიომიმღების სიხშირეების მუდმივი, სინქრონული ცვლილების შესახებ.

ჩემს ახალგაზრდობაში რადიომოყვარულთა მრავალათასიანი არმია ეწეოდა უანგარო შემოქმედებით საქმიანობას, — ქმნიდა მასობრივ წარმოებაში ჯერ კიდევ არარსებულ სპორტულ თუ საყოფაცხოვრებო რადიოაპარატურას; აპარატურას, რომლის გამოყენება პერსპექტიული იყო სამხედრო საქმეში, მაგალითად, თვითმფრინავებისა და გემების მოდელების რადიომართვის მოწყობილობებს, ტრანსივერულ მიმღებ-გადამცემ რადიოსადგურებს და მრავალ სხვას. ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, ბინიდან თუ საველე პირობებში, რადიომოყვარულები ორმხრივ რადიოკავშირს ამყარებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რადიომოყვარულებთან, მონაწილეობდნენ საქალაქო, რესპუბლიკურ, საკავშირო და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რადიომოყვარულთა შეჯიბრებებში, რომელთა შედეგების მიხედვით ხდებოდა რადიოსიგნალების გატარების რუკების შედგენა წლის დროისა და დღე-ღამის საათების მიხედვით, რაც აუცილებელი იყო ახალი სიხშირული დიაპაზონების მიზნობრივი ათვისებისათვის.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ კარგად მომზადებულ რადიომოყვარულს სამხედრო სამსახურში გამოცხადებისთანავე უპრობლემოდ შეეძლო რადიოსადგურზე მუშაობა, აპარატურის რემონტი და ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს განაპირობებდა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, რისთვისაც ქვეყანაში ფუნქციონირებდა შესაბამისი წრეები მოსწავლეთა სასახლეებში, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, „დოსააფის“ ორგანიზაციებში. ამავე დროს, წიგნებთან ერთად, ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა პოპულარული ტექნიკური ლიტერატურა ჟურნალებისა და ბროშურების სახით.

დღეს, როგორც არასდროს, ჩვენს ქვეყანაში აქტუალურია ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა, რაშიც სამხედრო-პატრიოტულმა აღზრდამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს.

*პატივისცემით,*
*დევი ვასაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო შრომა და ომია, იარაღი კი ორივე შემთხვევაში აუცილებელია

**საქართველოში მეიარაღეობას ისეთივე დიდი ისტორია აქვს, როგორიც თავად საქართველოს. იმ ქვეყნისათვის, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე არ შეუწყვეტია ბრძოლა გადარჩენისათვის და სიცოცხლეზე უფრო ძვირფასისათვის, — სარწმუნოებისათვის, ამ ხელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ალბათ, სწორედ ამიტომ იტყოდნენ ხოლმე ძველად, მღვდელი და მჭედელი ყველასიაო. საინტერესოა, დღეს რატომ აღარ ამბობენ ასე, რა, მტერი დაგველია თუ სარწმუნოებას აღარ ემუქრება საფრთხე? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ცივი იარაღის ოსტატებს ნაკლები ყურადღება ექცევათ. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ საუკუნეების წინ საქართველოს ყველა კუთხეს მისთვის დამახასიათებელი, თანაც კლასიკურად ჩამოყალიბებული ცივი იარაღი ჰქონდა. შეიძლება გამოვყოთ ხევსურული, სვანური, აჭარული, მეგრული და ქართლური დანები. თბილისური დანაც კი არსებობდა.**

**რა ვითარებაა ამ მხრივ დღეს საქართველოში, ამის შესახებ ცივი იარაღის ოსტატი, ზაზა ავალიანი გვესაუბრება:**

— ძველად ასეთი წესი იყო, როცა შეგირდი ოსტატი უნდა გამხდარიყო, უსტაბაშისათვის საჩვენებელ ნიმუშს გააკეთებდა, რომელსაც ოსტატი აუცილებლად გადაუტეხავდა. ამით მასწავლებელს შეგირდისათვის იმის თქმა სურდა, რომ საკუთარი თავით კმაყოფილი არასოდეს უნდა ყოფილიყო.

**— თქვენ ვინ მოგიწყოთ ასეთი გამოცდა?**

— ჩემი თავის უსტაბაში თავად ვიყავი, თვითნასწავლი ოსტატი ვარ. ცივი იარაღით დაახლოებით 20 წლის წინ დავინტერესდი და მას მერე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემი ძირითადი სპეციალობა არ გახლავთ, მეიარაღეობა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. რამდენიმე მეგობარი ვართ, რომლებიც არ ვღალატობთ ამ საქმეს. ჩემს მეგობარს სახლში აქვს სახელოსნო გახსნილი და როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავთ, ვცდილობთ, ამ საქმისთვის გამოვიყენოთ. მეიარაღეობა ქართველებს სისხლში გვაქვს გამჯდარი, ისტორიულად მოგვდგამს. ჩვენ მებრძოლი და ტრადიციების მიმდევარი ერი ვართ ოდითგან და შთამომავლობას არ უნდა დავუკარგოთ ის, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს.

**— საბჭოთა პერიოდში ეს საქმიანობა აკრძალული იყო, ახლა რა სიტუაციაა?**

— კომუნისტების დროს ცივ იარაღზე მუშაობას იმიტომ კრძალავდნენ, რომ ქართველ კაცს იარაღი არ გახსენებოდა და მებრძოლი სული არ გაღვიძებოდა. ახლა ჩვენი საქმიანობა აღარ იდევნება. თუმც 21 წლამდე ცივი იარაღის ტარება აკრძალულია. ჩემი აზრით, ვითარება აკრძალვით კი არა, აღზრდით უნდა გავაკონტროლოთ. იმან, ვინც კარგად იცის დანის დანიშნულება, მოხმარება და უყვარს იარაღი, მას ცუდი მიზნებისათვის არასდროს გამოიყენებს. საშიშია ის, ვინც არ იცის იარაღის ფასი. მაგალითად, სვანეთში დღესაც კი ვერ დაუნახავ ადამიანს იარაღს, თუნდაც ატარებდეს, რადგან ეს ცუდ ტონად ითვლება. რაც შეეხება მცირეწლოვნებს, ცოტა წარმოუდგენელია, ჩემი ნამუშევრები ბავშვს ჩაუვარდეს ხელში, რადგან ისინი საკმაოდ ძვირად ღირებულია და მფლობელები, ძირითადად, პირად კოლექციებში ინახავენ.

**— თავად თუ გაქვთ დანების კოლექცია?**

— რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, არა. სულ რამდენიმე დანა მაქვს, ძალიან სადა, რომლებსაც ყოველდღიურად ვიყენებ.

**— როგორც ვიცით, ძირითადად, ექსკლუზიურ შეკვეთებს ასრულებთ, რა მასალას იყენებთ და რა დრო სჭირდება თითო ნამუშევარს, სრულყოფილი სახე რომ მისცეთ?**

— გააჩნია დანას, თითოეულს დაახლოებით ერთი კვირიდან ერთ თვემდე ვანდომებ. დანაზე მუშაობა სამ ეტაპად იყოფა: მასალის გამოჭედვა ან მზა ფოლადის ფირფიტისგან დანის პირის გამოჭრა, დანის გაკეთება და ბოლოს შემკობა, ანუ სასაქონლო სახის მიცემა, მოჩუქურთმება, ვერცხლში გამოჭედვა. მარკირება სხვადასხვა სახისაა. არის საბჭოთა წარმოების ფოლადი ШХ-15, ე.წ. საკისრის მასალა, რომლისგანაც იჭედება დანის პირი, ასევე საბჭოთა წარმოების ფოლადის ნამზადები 8X6 НФТ და 65г, ანუ ზამბარის მასალა. ზემოთ ჩამოთვლილი ფოლადის მარკების გარდა, მსოფლიოში არსებობს უამრავი სხვადასხვა მარკირების ფოლადები, რომლებიც, სამწუხაროდ, ადგილობრივი ოსტატებისათვის ძნელად ხელმისაწვდომია. საერთოდ, დანის მასალა ცალკე აღებული არ არსებობს. ნებისმიერი რკინა შეგიძლია მიიყვანო იმ კონდიციამდე (ჭედვისა და წრთობის საშუალებით), რომ ამა თუ იმ დანიშნულების ცივი იარაღი გააკეთო. მარკირებას იმის მიხედვით ვითვალისწინებთ, თუ შემდგომში,



ეროვნული ბიბლიოთეკა

26028

რა მიზნით უნდა იქნეს ესა თუ ის იარაღი გამოყენებული. თუ დანა საბრძოლო ან სანადირო დანიშნულებისაა, შესაბამისად, დიდ დატვირთვასაც უნდა გაუძლოს, ამიტომ ხშირად ზამბარის მასალას ვიყენებთ. დანიშნულების მიხედვით ირჩევა ფორმაც და სიდიდეც. დანის ტარისათვის ვიყენებთ ლომვეშაპის ეშვს, სპილოს ძვალს, ირმის რქას, მაგარი ჯიშის ხის მერქანს და სხვა ბუნებრივ თუ ხელოვნურ მასალას. ძალიან კარგი მასალაა და თან ქართული ტრადიციის გადმონაშთია კამეჩის რქა. სწორედ მას იყენებდნენ ყველაზე ხშირად ჩვენი წინაპრები. სვანური, აჭარული, მეგრული ძველი დანები ხშირად სწორედ კამეჩის რქისგანაა დამზადებული. ქარქაშის დასამზადებლად გამოიყენება კამეჩის ტყავი.

— **თქვენი ნამუშევრები რა ნიშანთვისებებით გამოირჩევა?**

– ძირითადად, დასაკეც დანებზე ვმუშაობ, რომელიც მექანიზმს შეიცავს. დასაკეცი დანა ბევრად მეტ სიზუსტესა და შრომას მოითხოვს, ვიდრე დაუკეცავი დანის გაკეთება, მაგრამ ეს ხომ თავისებური აზარტია და გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, მასში არის ერთგვარი საიდუმლოც. შეიძლება ბავშვური ცნობისმოყვარეობაცაა, მაგრამ ჩემთვის ძალიან საინტერესოა. მსოფლიოში სულ რამდენიმე დასაკეცი სისტემა არსებობს და ერთ-ერთი, ბექლოკი, გავაუმჯობესე, შედარებით გავამარტივე. ბოლო ერთი წელია მხოლოდ ასეთ დანებზე ვმუშაობ. ჩემი ნამუშევრები, ძირითადად, სანადირო დანიშნულებისაა. ნადირობა ყველა დროში ძალიან პრესტიჟული იყო. მონადირის ატრიბუტი კი, ლამაზ თოფსა და კარგ ძაღლთან ერთად, კარგი დანაცაა.





— **ქართულ ტრადიციულ ელემენტებს თუ იყენებთ?**

– თითქმის ყველა ნიმუშში, რომლებსაც მე და ჩემი მეგობრები ვაკეთებთ, აუცილებლად არის ქართული ელემენტი. ერთ ნამუშევარზე რუსუდან ფეტვიაშვილის ნებართვით მისივე ნახატი გადმოვიტანე. თუ არ ვცდები, ახლა ეს დანა უკრაინის პრემიერ-მინისტრს აქვს.

— **ძვირფას ლითონს იყენებთ?**

– სამწუხაროდ, არა, რადგან ამას სპეციალური ლიცენზია სჭირდება.

— **ფოლადის წრთობა როგორ ხდება?**

– ფოლადი რკინისა (Fe) და ნახშირბადის (C) ერთობლიობაა. ქართულში ამ სიტყვის ჟღერადობაც იმის მანიშნებელია, თუ რამდენად ძველია ჩვენში ფოლადის გამოდნობის კულტურა და, საერთოდ, მეტალურგია. სხვადასხვა მარკის ფოლადს სხვადასხვა ჭედვისა და წრთობის ტემპერატურა აქვს. ფოლადის ნამზადს სამჭედლო ღუმელში ახურებენ განსაზღვრულ ტემპერატურამდე (920-1150C$^0$) და შემდეგ გადააქვთ საწრთობ გარემოში, ესენია: წყალი, ზეთი, გამდნარი ტყვია, ცივი ჰაერი, სისხლი და სხვა. ამ ნივთიერებებში ხდება გავარვარებული ფოლადის სწრაფი გაცივება. საწრთობი გარემო და მისი ტემპერატურა ფოლადის წარმოებაში ძალიან საპასუხისმგებლო პროცედურაა. ძველად (ზოგჯერ ამჟამადაც) ამ კომპონენტების შემადგენლობასა და ტემპერატურას ოსტატები საიდუმლოდ ინახავდნენ. მყისიერი გაცივების შემდეგ ფოლადი იმდენად მყიფე ხდება, რომ შეიძლება მსუბუქი დარტყმითაც დაიფშვნას. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად ხდება ნამზადის „მოშვება", ანუ ნორმალიზაცია. მოშვების ტემპერატურაც არაერთგვაროვანია სხვადასხვა ფოლადისათვის. ის მერყეობს 150C$^0$-დან 550C$^0$-მდე და განისაზღვრება როგორც ფოლადის მარკის, ასევე დეტალის დანიშნულების შესაბამისად, ანუ იარაღის რომელი რა ნაწილისთვის არის ეს ნაკეთობა განსაზღვრული, ხისტი უნდა იყოს თუ დრეკადი და ა.შ.

— **რა კონდიციამდე უნდა მივიდეს ფოლადი, რომ დანისპირად გამოდგეს?**

– დანის, ისევე როგორც სხვადასხვა სახეობის ცივი იარაღის წარმოებისათვის საჭიროა ფოლადი მაგარი, მტკიცე, ბასრი და კოროზიის მიმართ მეტ-ნაკლებად მდგრადი იყოს. სიმაგრე იმის მახასიათებელია, რომ საჭრელი წიბო დიდხანს შეინარჩუნებს ფხას. სიმტკიცე საჭიროა იმისათვის, რომ ადვილად არ გადატყდეს. რაც შეეხება ჭრის ხარისხს, იგი ფოლადის მარკასთან ერთად გალესვის კუთხესა და ფორმაზეა დამოკიდებული. დღეს დიდ ყურადღებას აქცევენ დანის კოროზიის მიმართ მედეგობას. ფოლადში, რომლის შემადგენლობაშიც არის 15% და მეტი ქრომი, (Cr) უჟანგავად ითვლება. ქრომი აუარესებს იარაღის ჭრის ხარისხს, მაგრამ სამაგიეროდ ადვილად მოსავლელია. არსებობს გამოთქმა, – ხშირად ლესვას ხშირად წმენდა ჯობიაო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე დანის მწარმოებლები სულ უფრო და უფრო ხშირად უჟანგავი ფოლადის მასალებს იყენებენ. აქვე აუცილებელია ერთი განმარტებაც, – გასული საუკუნის დასაწყისიდან ფოლადში სხვადასხვა ქიმიური ელემენტების შერევა დაიწყეს, ამ პროცესს ლეგირება ეწოდება. თითოეული ელემენტი ემატება იმდენი და ისეთი პროპორციით, რაც საბოლოოდ გვაძლევს მიღებული ნამზადის

შემდგომში მისი დანიშნულებისამებრ უკეთესად გამოყენების საშუალებას. ეს ელემენტები ანიჭებს ფოლადს უჟანგავობას, სიხისტეს, დრეკადობას, ელექტროგამტარობას, პლასტიკურობას და ა.შ.

ამ მხრივ დიდ წარმატებას მიაღწიეს იაპონელმა, ამერიკელმა და შვედმა მეტალურგებმა. იაპონიაში ფირმა HITACHI აწარმოებს ATS-34 და ATS-55 მარკის მაღალტექნოლოგიურ ლეგირებულ ფოლადს. მისი შვედური ანალოგია RWL-34, ხოლო ამერიკული CM-154. ეს ფოლადები შეიქმნა საკისრის საწარმოებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი დანისპირებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო მასალაა და, ძირითადად, ძვირად ღირებული დანების წარმოებაში იყენებენ. ფოლადის ძალიან კარგი მარკებია აგრეთვე BG-42, VG-10, ZDP-189. ცალკე აღსანიშნავია ე.წ. ფხვნილოვანი მეტალურგიის საშუალებით მიღებული ფოლადის მარკები CPM 440V და CPM S30V. შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანამედროვე მაღალი წნევისა და ვაკუუმური ტექნოლოგიის პრინციპით შექმნილი ფოლადებია და უმაღლესი ჭრადი მახასიათებლები აქვს.

— **რა შემადგენლობა აქვს დანისპირს, რამდენიმე სახის ფოლადის ერთმანეთთან შერწყმით მიიღება თუ ერთგვაროვანი მასალაა?**

— დანისპირები არსებობს როგორც ერთგვაროვანი, ასევე რამდენიმე სახის ფოლადის ერთმანეთთან შერწყმის შედეგად მიღებული. უმაღლესი ხარისხის საიარაღო ფოლადის მიღება ძველად, და ზოგჯერ ამჟამადაც, რკინის მადნის სპეციალურ ტიგელში გამოდნობით ხდება. ინდოელები მას ვუცს ეძახდნენ, ხოლო არაბები ფულადს, რაც სიტყვასიტყვით გაწმენდილს, გასუფთავებულს ნიშნავს. ამ ტექნოლოგიის ისტორია მეტალურგიის დაბადებიდან მოდის და ბევრი მითი თუ ლეგენდა ახლავს თან. ამ ტექნოლოგიის არსი ის არის, რომ რკინის მადანი გაჯერდეს ნახშირბადით და გამოიდევნოს ის მავნე მინარევები, რაც ბუნებაში არსებულ მადანს აქვს (გაიხსენეთ არაბული სიტყვის არსი).

ერის მაღალი კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, თუ როგორი ხარისხის ბრძოლისა და შრომის იარაღის გაკეთება იცოდა მან. ამ მხრივ კი საქართველო ოდითგანვე მოწინავეთა რიგებში იდგა და მტერი თუ მოყვარე ერთხმად აღნიშნავდა ქართული იარაღის მაღალ საბრძოლო თვისებებსა და სილამაზეს.

რაც შეეხება დამასკურ ფოლადს, იგი მიღებულია სხვადასხვაპროცენტიანი ნახშირბადის შემცველობის მქონე ფოლადების ერთმანეთთან მჭედლური შედუღებით. ფოლადის ფირფიტებს ან მსხვილ მავთულებს ღუმელში გაახურებენ და შემდეგ ჩაქუჩის ძლიერი დარტყმით ერთმანეთში შეადუღებენ. შედუღება რომ მტკიცე იყოს, საჭიროა ფლუსი, ანუ ისეთი ნივთიერება, რომელიც გახურების შედეგად ფოლადის ფირფიტებზე წარმოქმნილ ნამწვავს მოაცილებს და ხელს შეუწყობს მოლეკულურ დონეზე მათ შეერთებას. ასეთი შედუღების შედეგად მიღებულ მრავალშრიან დეტალს პაკეტი ეწოდება. შემდეგ პაკეტს სხვადასხვა მეთოდით გამოჭედავენ და თუ მისგან დამზადებულ იარაღის პირს რომელიმე სუსტ მჟავას წაუსვამთ, დავინახავთ, რომ ნაკეთობის ზედაპირი ზღაპრული პეიზაჟის მსგავსი ნახატებით დაიფარება. დამასკურის დანის პირი იმითიცაა გამორჩეული, რომ გალესვის შემდეგ მისი მჭრელი მხარე უწვრილესი ხერხისებური ნაწიბურებით დაიფარება, რაც ხელს უწყობს ჭრის ხარისხის ამაღლებას.

საზოგადოდ, იარაღის მაღალხარისხიანობას განსაზღვრავს არა მარტო მისი სხვადასხვა ტექნოლოგიით გამოჭედვა, არამედ გამკეთებლის ოსტატობაც.

— **მეიარაღეობა თქვენთვის ოჯახურ ტრადიციად ხომ არ იქცა? როგორც ვიცით, თქვენი შვილიც დაინტერესებულია ამ საქმით.**

— არ მეგულება მამაკაცი, მით უმეტეს, ქართველი, რომელსაც იარაღი არ უყვარდეს. ლაშა ჯერ 20 წლისაა, სტუდენტია, მაგრამ ამ საქმესაც დიდ დროს უთმობს. ვცდილობ, ყველაფერი ვასწავლო, რაც ვიცი, ზოგს ჩემი მეგობრებისგან სწავლობს. საკმაოდ კარგი ხელი აქვს. ვფიქრობ, მისგან კარგი ოსტატი დადგება.

— **ყველაზე უცნაური როგორი შეკვეთა შეგისრულებიათ?**

— რამდენიმე წლის წინ შემიკვეთეს დანა, რომელსაც გახსნილ მდგომარეობაში ერთი მეტრისათვის უნდა მიეღწია. შემკვეთმა მითხრა, ამერიკაში ვნახე ასეთი დანა და მინდა მეც მქონდესო. რა თქმა უნდა, თხოვნა შევუსრულე.

— **თქვენს ნამუშევარში ყველაზე დიდი, რა თანხა გადაუხდიათ?**

— როგორც ვიცი, ერთ-ერთი ჩემი დანა 1.500 ლარად გაიყიდა. ჩემგან გაცილებით ნაკლებად იყიდეს. მართლაც კარგი ნამუშევარი იყო, ორლესული, დასაკეცი, ქართული ორნამენტებით მოხატული. როგორც ვიცი, ჩრდილო კავკასიაში წაიღეს.

— **როგორც თქვით, თითო დანას კვირაობით ამუშავებთ, არ გენანებათ ნალოლიავები ნამუშევრის გაყიდვა-გასხვისება?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ყველაზე დიდი სიამოვნება მაინც მუშაობის პროცესია, როცა არ იცი, საბოლოოდ რა სახეს მიიღებს ის, რასაც აკეთებ. არც ერთი ჩემი ნამუშევარი ერთმანეთს არ ჰგავს. მუშაობის დროს იმდენჯერ ვიცვლი აზრს, რომ წინასწარ არ ვიცი, რა გამოვა. როცა დანა დასრულებულ სახეს იღებს, ის ჩემთვისაც ისეთივე საინტერესო და ახალია, როგორიც გარეშე თვალისათვის.

— **სერიულ წარმოებაზე არ გიფიქრიათ?**

— არა, რადგან ჩემთვის ყველა ნიმუში ძალიან ძვირფასი და ინდივიდუალურია. თუმცა მე და ჩემი მეგობრები დიდი სიამოვნებით გავაკეთებდით სერიულად ქართველი ჯარისკაცების პირადი შეიარაღებისთვის ცივ იარაღს. რატომ არ უნდა ატარებდეს ქართველი ჯარისკაცი ქართულ დანას? ცივი იარაღი დღესაც მნიშვნელოვანია თანამედროვე შეიარაღებაში. ყველაფერი შეცვალეს, მაგრამ დანა ვერაფრით შეცვალეს. დიდი სურვილი გვაქვს, ქართული ელემენტების გამოყენებით, ქართული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, შევქმნათ მედესანტეების დანები, რომლებიც გარდა იმისა, რომ დაეხმარება ჯარისკაცებს საბრძოლო ამოცანის შესრულებაში, ერთგვარი მცდელობაც იქნება იმისა, რომ ქართველების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია იარაღის კეთება-მოხმარებისა საბოლოოდ არ დასამარდეს.

— **თუ გაგიკეთებიათ სამხედრო დანიშნულების დანა და რით გამოირჩევა ის ჩვეულებრივი დანებისაგან?**

— როდესაც დანა სამხედრო დანიშნულებისაა, მას განსაზღვრული ფორმა უნდა ჰქონდეს. ვადაჯვრის ფორმა ისეთი უნდა იყოს, რომ ბიძგითი დარტყმისას ხელი არ გასრიალდეს წინ და თავად არ დაზიანდე. თუ დანას ასეთი ვადაჯვარი არ აქვს, ის არ ითვლება საბრძოლო დანიშნულებისად.

— **ცივი იარაღის რამდენი ოსტატია დღეს საქართველოში?**

— ზუსტად თქმა გამიჭირდება. რამდენიმე საუკეთესო ოსტატს ვიცნობ. სამწუხაროდ, შარშან გარდაიცვალა ცივი იარაღის მართლაც დიდოსტატი კ. ზარნაძე. მან დიდი როლი შეასრულა ამ საქმის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში.

— **რამდენად პოპულარულია თქვენი საქმიანობა დღეს საქართველოში?**

— რომ არა რამდენიმე კაცი, ეს საქმე დავიწყებას მიეცემოდა. კარგი იქნებოდა. მხოლოდ გამოფენიდან გამოფენამდე თუ არ გაახსენდებოდათ დანების ოსტატები. ინდივიდუალური დანების ბიზნესი საზღვარგარეთ ძალიან პოპულარული და მომგებიანია. სერიული დანების დიდოსტატია კრისრივი, რომელიც უშვებს სერიულ დანებს სახელწოდებით „სებენზა", რაც აფრიკულად შრომას ნიშნავს.

საქართველოში არიან ისეთი ოსტატები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან ამ დარგის მსოფლიოში ცნობილი ფირმების სპეციალისტებს. არ შეიძლება საქართველოში ამ ხელობის გაქრობა. სახელმწიფო არის შრომა და ომი, იარაღი კი, მით უმეტეს, ცივი, ორივე შემთხვევაში აუცილებელია.

ნინო მამუკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაღმმტყორცნელების წვრთნები







საარტილერიო ქვედანაყოფი საომარ ვითარებაში მოწინააღმდეგის საარტილერიო ქვედანაყოფებს ანადგურებს, შემდეგ კი მისი ფუნქცია სახმელეთო ძალების საცეცხლე მხარდაჭერაა. სამოქალაქო პირი, რომელსაც სურვილი აქვს, არტილერიაში იმსახუროს და გააფორმებს კონტრაქტს, ერთგვარ გამოცდას გადის. მოწმდება მისი მათემატიკური აზროვნება, სწრაფი ანგარიშისა

ეროვნული ბიბლიოთეკა











და გათვლის უნარი. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველ ეტაპზე ის გაიგზავნება კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში მოსამზადებლად. შემდეგ დაბრუნდება კონკრეტულ სამხედრო ნაწილში და პრაქტიკულ მომზადებას გაივლის. არტილერისტს განსაკუთრებული უნარ-ჩვევები სჭირდება. მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველა ქვეით ბრიგადას თავისი საარტილერიო ბატალიონი ჰყავს. საარტილერიო ბატარეაა ცალკეულ ჯავშანსატანკო ბატალიონშიც. ჩვენ სწორედ ამ ქვედანაყოფის ერთ-ერთ წვრთნის შესახებ მოგითხრობთ. ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონის საარტილერიო ბატარეის შემადგენლობაში არსებული 120-მილიმეტრიანი ყუმბარსატყორცნებით წვრთნებს ცეცხლის დახურულ საცეცხლე პოზიციაზე წარმოება ეწოდება. ამ დროს პირობითი მოწინააღმდეგე დაახლოებით ორი კილომეტრის მოშორებით, მთის გადაღმა იმყოფება. არტილერისტებს პირობითი მოწინააღმდეგის ზურგში ზუსტი ცეცხლის წარმოება ევალებათ. ამ დროს სრულად წარმოჩნდება ნაღმსატყორცნის სხვა იარაღთან შედარებით უპირატესობები, კერძოდ კი, ცეცხლის მტრის ზურგში გადატანა. ერთი ნაღმსატყორცნის გათვლა 4 კაცისგან შედგება. სროლის ეფექტიანობა დამოკიდებულია მეთაურის, მემიზნის, მემუხტისა და დამტენის შერწყმულ მოქმედებაზე. ნაღმსატყორცნის გათვლა ბა-



ეროვნული ბიბლიოთეკა









ტარეის მართვის პუნქტიდან იმართება. პუნქტი ცეცხლის წარმოების ადგილასაა. ბატარეის მართვის პუნქტი თითოეულ გათვლის ჯგუფს საჭირო კოორდინატებს გადასცემს. შემდეგ სამხედროები ცეცხლს ხსნიან. ასეთი ტიპის სწავლებები მუდმივი საბრძოლო მზადყოფნისთვისაა აუცილებელი.

არსებობს კიდევ ერთი განსაკუთრებული პუნქტი. მოწინააღმდეგესთან ყველაზე ახლოს სამეთაურო სათვალთვალო პუნქტია განთავსებული. ის საცეცხლე პოზიციასა და მოწინააღმდეგის დაზიანებებს აკვირდება. სათვალთვალო პუნქტი მონაცემებს ბატარეის მართვის პუნქტს უგზავნის. ასეთი საბრძოლო სწავლების დროს უსაფრთხოების წესების დაცვა აუცილებელია. პირად შემადგენლობას სპეციალური ინსტრუქტაჟი უტარდება. აუცილებელია, ასევე, სასროლეთის კონტროლი. ყოველი სწავლების დროს უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურადაა დაცული.

ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონის საარტილერიო ბატარეა გასულ წლებში სხვადასხვა მასშტაბურ წვრთნაში მონაწილეობდა. მაგალითად, ორფოლოში, ასევე სხვა სწავლებებშიც. ასეთი მცირემასშტაბიანი სწავლებები კი, რომელიც ბატარეის მუდმივი საბრძოლო მზადყოფნისთვის აუცილებელია, საჭიროების შემთხვევაში იგეგმება.

მიმდინარე წელს ეს საარტილერიო ბატარეა სახმელეთო ჯარების წვრთნებში კვლავაც მიიღებს მონაწილეობას.

გიორგი თუხარელი
ალექსანდრე გაბელია
ტელეკომპანია „საქართველო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეითთა შეუდარებელი დამხმარე

**ას წელიწადზე ოდნავ მეტს ითვლის ნაღმსატყორცნის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, – იგი მეოცე საუკუნის პირმშოა. დროის ამ შედარებით პატარა მონაკვეთში ნაღმსატყორცნი იმ მრისხანე იარაღად გადაიქცა, რომელმაც ორი მსოფლიო ომი გამოიარა და ყველა ქვეყნის შეიარაღებული ძალების არსენალში თვალსაჩინო და შეუცვლელი ადგილი დაიმკვიდრა.**

**ნაღმსატყორცნი ქვეითთა მძლავრი საცეცხლე საშუალებაა, ის არტილერიის დანამატია, ხშირად კი წარმატებითაც ცვლის.**

ნაღმსატყორცნს შეუდარებელი საბრძოლო თვისებები აქვს: მცირე მასა; მძლავრი საცეცხლე ძალა; ტრაექტორიის დიდი დამრეცობა; სწრაფად სროლის უნარი; მიუვალ და ძნელად სავალ ადგილებში გამოყენების საშუალება; პორტატიულობა და კონსტრუქციის სიმარტივე.

ნაღმსატყორცნების ცეცხლი, ძირითადად, ხევებში, საფრებსა და სანგრებში განლაგებული ცოცხალი ძალისა და საცეცხლე საშუალებების გასანადგურებლად გამოიყენება. ამ იარაღის უპირველესი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ისეთ მდგომარეობაში მოქცევა, რომლის დროსაც იგი მთლიანად კარგავს ბრძოლისუნარიანობას. გარდა ამისა, ნაღმსატყორცნები გამოიყენება მტრის მსუბუქი საველე ნაგებობების, სანგრების, მავთულხლართების, საველე საწყობებისა და ბლინდაჟების გასანადგურებლად.

ერთი მხრივ, ბრძოლებში ნაღმსატყორცნთა მაღალეფექტიანობამ, მეორე მხრივ, კონსტრუქციის სიმარტივემ და წარმოების სიიაფემ მათი სიმრავლე განაპირობა. ზოგიერთი მონაცემით, ცოცხალი ძალის დანაკარგის დაახლოებით 50% მეორე მსოფლიო ომში ნაღმსატყორცნთა ცეცხლით იყო გამოწვეული.

სამამულო ომში საბჭოთა ნაღმმტყორცნელები საომარ პოზიციებს აწყობდნენ ავიაბომბების ამოთხრილ ორმოებსა და ნანგრევებში, ხოლო მოთვალთვალეები და მზვერავები გადარჩენილი სახლების სახურავებსა და ხეებზე ადიოდნენ, რათა ნაღმსატყორცნთა ცეცხლის კორექტირება მოეხდინათ. მტრისთვის ძნელი იყო კარგად შენიღბული ნაღმმტყორცნელების პოზიციების აღმოჩენა, რადგან ამ იარაღის გასროლას სუსტი ხმა აქვს, არც ლულის ალი აქვს დიდი, არ ახასიათებს მტვრის ავარდნა (როგორც ქვემეხს), რადგან მისი ლულა ზემოთაა მიმართული.



ომის დასაწყისში წითელი არმია ნაღმსატყორცნებს მხოლოდ ქვეითთა მხარდამჭერ დამხმარე საშუალებად იყენებდა (ასეულში, ათასეულსა და პოლკში). 1941-1942 წლების თავდაცვით ბრძოლებში ისინი ინტენსიურად უჭერდნენ მხარს ჯარების უკან დასახევ ოპერაციებს. ხშირად ნაღმმტყორცნელები ყველაზე ბოლოს ტოვებდნენ პოზიციებს, ხოლო როცა საბჭოთა არმიამ მტერი შეაჩერა და კონტრშეტევებზე გადავიდა, ნაღმსატყორცნები საარტილერიო შეტევით იარაღად გადაიქცნენ.

ნაღმსატყორცნი გლუვლულიანი იარაღია, რომელიც ფრთიან ჭურვებს – ნაღმებს ისვრის. იგი 45-გრადუსიანი და მეტი კუთხით დაკიდებული სროლისთვისაა განკუთვნილი. ლულის არხიდან ამოტყორცნისას ჭურვის სიჩქარე დიდი არ არის, იგი წამში 300 მეტრს არ აღემატება. ამის გამოა, რომ სროლის სიშორეც მცირეა (5-6 კმ-მდე). დენთის აირების წნევა ლულის არხში ჩვეულებრივ 1000 კგ/კვსმ-ს არ აღემატება, რაც საშუალებას იძლევა ლულა თხელი და აქედან გამომდინარე, მსუბუქი დაამზადონ. გარდა ამისა, ნაღმსატყორცნებს უმრავლეს შემთხვევაში უკუსრიალის მოწყობილობის გარეშე ამზადებენ, რის გამოც ისინი ჩვეულებრივი ქვემეხებისაგან კონსტრუქციის სიმარტივითა და მცირე წონით გამოირჩევიან.

ნაღმსატყორცნის შემადგენელი ნაწილებია: ლულა, საყრდენი ფილა, დაზგა და მოძრავი ნაწილი. კალიბრისა და დანიშნულების მიხედვით, ნაღმსატყორცნის ჩამოთვლილ შემადგენელ ნაწილებს შესაძლოა სხვადასხვა კონსტრუქცია ჰქონდეთ. ლულა, რომელიც შიგნიდან გლუვ მილს წარმოადგენს, ნაღმის სასურველი მიმართულებით გატყორცნას ემსახურება. მცირე და საშუალო კალიბრის ნაღმსატყორცნთა ლულები სახსრით პირდაპირაა შეერთებული საყრდენ ფილასთან. ლულის საყრდენს წარმოადგენს აგრეთვე ორფეხა, ანუ კონკილა, რაც ნაღმსატყორცნის დამიზნებას აადვილებს. გასროლისათვის ნაღმს, რომლის ქვემო ნაწილიც გასატყორცნი დენთითაა დამუხტული, ლულის არხში უშვებენ, ნაღმის ბოლოზე მოთავსებული კაფსულა-ამაალებელი ეჯახება ლულის ფსკერზე მოთავსებულ ნემსს, ფეთქდება და ხდება გასროლა. ნაღმსატყორცნთა საბრძოლო ფუნქციები და ამოცანები მრავალნაირია. ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა კი მტრის ადგილზევე განადგურებაა. ამ ამოცანის შესრულებას ხელს უწყობდა ნაღმის ნამსხვრევების ეფექტიანობა და ფუგასური მოქმედება, როგორც შეტევითი ბრძოლებისას, ასევე თავდაცვისას.

1943 წელს ბრიანსკის ფრონტის ერთ-ერთ მონაკვეთზე ქვეით-მსროლელთა ასეულმა შეტევაზე გადასვლის ბრძანება მიიღო. ასეულს მხარს უჭერდა ნაღმმტყორცნელთა ოცეული, რომელსაც ლეიტენანტი გოგოლაძე ხელმძღვანელობდა. როცა ლეიტენანტმა ასეულის მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურისგან მტრის მონაცემები მოისმინა, გადაწყვიტა, დაეზუსტებინა და შეევსო. მისმა მზვერავებმა ხოხვით მოახერხეს მტრის პოზიციებთან მიახლოება და ზუსტად აღნიშნეს მათი საცეცხლე წერტილები. გარდა ამისა, ლეიტენანტმა ყურადღებით შეისწავლა ადგილმდებარეობის რელიეფი, დაცვის წინა ხაზთან მისასვლელები და მტრის მოსალოდნელი კონტრშეტევების საზღვრები, შემდეგ კი მოხერხებულად განალაგა თავისი ოცეულის საცეცხლე წერტილები. ქვეითთა შეტევის დაწყებისთანავე ნაღმმტყორცნელებმა სწრაფად დაიკავეს პოზიციები და ინტენსიური, მიზანმიმართული სროლა გააჩაღეს. მათი ნასროლი ნაღმები ანადგურებდა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილებს, ცვიოდა სანგრებში, სპობდა ცოცხალ ძალას, გადარჩენილებს კი შეტევის მოსაგერიებლად გონზე მოსვლას არ აცლიდა. ქვეითებმა ნაღმმტყორცნელთა დახმარებით წარმატებით შეასრულეს საბრძოლო ამოცანა.

საბატალიონო ნაღმსატყორცნების როლი განსაკუთრებით იმ კრიტიკულ მომენტში იზრდებოდა, როცა არტილერია და საპოლკო ნაღმმტყორცნელები იძულებულნი იყვნენ ცეცხლი წინ გადაეტანათ იერიშზე გადასულ ქვეითთათვის გზის გასათავისუფლებლად, რის შემდეგაც მტრის გადარჩენილი საცეცხლე წერტილები ისევ ცოცხლდებოდა. მათი ქვეითები საფრებიდან გამოდიოდნენ, სანგრებში სხდებოდნენ და წინააღმდეგობას აგრძელებდნენ. ასეთ დროს გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა 82-მილიმეტრიან საბატალიონო ნაღმსატყორცნებს, რადგან ტანკებისა და ქვეითების ერთობლივი მოქმედებაც კი არ იძლეოდა მტრის ყველა მეტყვიამფრქვევისა და მეავტომატის განადგურების საშუალებას, ნაღმმტყორცნელებს კი თავიანთი ცეცხლით შეეძლოთ გაენადგურებინათ სანგრებში თავშეფარებული, ხევებში და ჭურვების ორმოებში ჩამალული მტერი.

შეტევის დაწყების წინ ნაღმმტყორცნელთა ოცეული ცეცხლს ხსნიდა მოწინააღმდეგის პირველი სანგრიდან 250-300 მეტრის სიშორიდან. ასეთ სიტუაციაში მოიერიშე ქვეითებს შეეძლოთ სანგარს 75-85 მეტრ მანძილამდე მიახლოებოდნენ. ამავე დროს ნაღმმტყორცნელთა ოცეულის ცეცხლის მარაოს შეეძლო მიწაზე გაწოლილი ან სანგარში ჩამალული მტრის განადგურება მთელი ფრონტის 90 მეტრის რადიუსში. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაღმსატყორცნის ცეცხლს მაშინაც კი შეეძლო მოწინააღმდეგის განადგურება, როცა მიზანი 45 მეტრის შეცდომით იყო გათვლილი. ამ თვისებამ ნაღმსატყორცნი ახლო ბრძოლის ერთ-ერთ შეუცვლელ იარაღად აქცია. ამიტომაც ომის დროს უდავო აუცილებლობად იქცა შეტევისას ნაღმსატყორცნის უკანასკნელი გასროლის შემდეგ მოწინააღმდეგის სანგარში ხელყუმბარის ჩაგდება, რათა მტერი გონს არ მოსულიყო და თავი მანამ არ აეწია, სანამ მოიერიშე ქვეითები ხელჩართული ბრძოლის მანძილზე არ მიუახლოვდებოდნენ. ამ დროს ნაღმმტყორცნელებს ცეცხლი 50 მეტრით წინ გადაჰქონდათ, რის გამოც მოწინააღმდეგე საფრებს ვერ ტოვებდა და ორგანიზებულ თავდაცვას ვერ ახერხებდა.

ახლო ბრძოლისას ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაურს სწრაფად, გადამწყვეტად და ინიციატივით უნდა ემოქმედა, რადგან თითოეული წუთი ძვირფასი იყო. მტრის ღრმა ზურგში შეღწეული ნაღმმტყორცნელები შიშსა და პანიკას თესავდნენ. 82-მილიმეტრიანი საბატალიონო ნაღმსატყორცნები 52-56 კილოგრამს იწონიდა, მათი გადატანა ადვილი იყო სატანკო დესანტირების დროს. საბჭოთა მეომრები ქვეითებთან ერთად ტანკების კოშკურებზე სხდებოდნენ, მტრის ზურგში სწრაფად იკავებდნენ საცეცხლე პოზიციებს და ნაღმსატყორცნების ერთობლივი ცეცხლით ანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს, რათა გაეადვილებინათ დესანტის მოქმედება.





საბჭოთა ნაღმმტყორცნელთა და მეავტომატეთა საბრძოლო ერთობა, რომელსაც საფუძველი მეორე მსოფლიო ომში ჩაეყარა, მალე ახლო ბრძოლაში წარმატების საწინდარი გახდა. ხშირად საკმარისი იყო საბატალიონო ნაღმმტყორცნელთა ცეცხლის სიმძლავრე მტრისათვის დიდი ზიანის მისაყენებლად, შემდეგ კი მეავტომატე ქვეითებს ეხსნებოდათ გზა საიერიშოდ.

კარპატებში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა ერთ-ერთი სიმაღლის დასაკავებლად. ლოდებს შორის ჩასაფრებული გერმანელები ჯიუტად არ თმობდნენ მას. ასეთ სიტუაციაში არტილერიისა და ავტომატური იარაღის განფენილი ცეცხლი მათ წინააღმდეგ უძლური იყო, ხოლო როცა ლეიტენანტ გოგიტიძის ოცეულმა ნაღმსატყორცნები აამუშავა, გერმანელების ცეცხლი შეწყდა და საბჭოთა ჯარისკაცებმა იერიშით აიღეს სიმაღლე.

საბატალიონო ნაღმმტყორცნელების მოქმედება განსაკუთრებით გაძნელებული იყო მტრის თავდაცვის სიღრმეში ბრძოლებისას, როცა მოწინააღმდეგე წინ გაჭრილი შენაერთების ალყაში მოქცევას ცდილობდა. ასეთი სიტუაცია მოითხოვდა ნაღმმტყორცნელთა ენერგიულ მოქმედებას. საჭირო იყო საცეცხლე პოზიციების სწრაფი ცვლა და ნების-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერი მიმართულებით ფრონტის სწრაფად შებრუნება.

ერთხელ საბჭოთა ქვეითმა ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს და შემდეგ აიღეს ორი დასახლებული პუნქტი. მდგომარეობის აღსადგენად გერმანელებმა დიდი ძალების გადმოსროლა დაიწყეს. მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ შორიდან ტანკების გუგუნი ისმოდა. ქვეითების თავზე გერმანული ავიაცია გამოჩნდა. ნათელი იყო, რომ გერმანელები კონტრშეტევას ამზადებდნენ. საბჭოთა ნაღმმტყორცნელებმა სწრაფად გათხარეს სანგრები და თვალთვალი გააძლიერეს.

წინ გაიგზავნა ნაღმმტყორცნელთა ცეცხლის ორი მაკორექტირებელი. გერმანელებმა კონტრშეტევა სამი მხრიდან დაიწყეს. როცა ტანკები დაცვის ზღუდეს 400 მეტრზე მიუახლოვდნენ, არტილერიამ ცეცხლი გახსნა, სამაგიეროდ, გერმანელი ქვეითებიც მიიწევდნენ წინ. ამ დროს ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლი სამივე მიმართულებით გახსნეს, რამაც გერმანელთა ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა, გადარჩენილი ნაწილი დააბნია და უკან დასახევი გზა მოუჭრა.

ტყვიამფრქვევ-მეავტომატეებისა და ნაღმმტყორცნელების შეთანხმებულმა მოქმედებამ კონტრშეტევა ჩაშალა. გერმანელები კიდევ სამჯერ შეეცადნენ იერიშზე გადასვლას, მაგრამ ნაღმსატყორცნთა გამანადგურებელმა ცეცხლმა სამჯერვე უკუაქცია ისინი. ამ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი მაკორექტივებლებმა შეასრულეს, რომლებიც მიუხედავად ხიფათისა, მოწინააღმდეგის ახლოს მუშაობდნენ.

ნაღმმტყორცნელებს არა მარტო ცოცხალი ძალის განადგურება ევალებოდათ ე.წ. სამამულო ომში, – 120-მილიმეტრიანი საპოლკო ნაღმსატყორცნებით შეიარაღებული ბატარეებს არა მარტო მწყობრიდან გამოჰყავდათ მტერი, არამედ სპობდნენ მათ იარაღს, ანგრევდნენ საფრებს და სწრაფად არღვევდნენ მავთულხლართებს, რომლებშიც ქვეითთა გასასვლელებს აწყობდნენ.

უფრო მძლავრ შეტევით საცეცხლე საშუალებად ითვლებოდა 160 მილიმეტრი კალიბრის მქონე სადივიზიო 1943 წლის ნიმუშის MT-13 ნაღმსატყორცნი. მას იყენებდნენ დიდ ქალაქებში ბრძოლის დროსაც.

არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ვორონოვი წერს: „როცა ერთ-ერთ ფრონტზე პირველად გამოვიყენეთ MT-13 ნაღმსატყორცნი, მან მოწინააღმდეგეზე უდიდესი მორალური ზემოქმედება მოახდინა. ეს ნაღმსატყორცნი ყრუ ხმას გამოსცემს, ნაღმი



ძალიან მაღლა და ციცაბო ტრაექტორიით მიფრინავს, თითქმის დაკიდებული ეცემა მიწაზე. ჰიტლერელებმა ნაღმების პირველივე აფეთქებისას საჰაერო განგაში გამოაცხადეს, რადგან ეგონათ, რომ მათ ავიაცია ბომბავდა“.

ნაღმმტყორცნელთა წარმატებას უპირველეს ყოვლისა, ცეცხლის მაკორექტირებლების გმირობა განაპირობებდა, ისინი კი ზუსტი კოორდინატების მოსაპოვებლად სიცოცხლეს არ ზოგავდნენ. თავდაცვის დროს ნაღმმტყორცნელები არჩევდნენ რამდენიმე საცეცხლე პოზიციას, იმ შემთხვევისთვის, თუკი მოწინააღმდეგე ისეთ ადგილას გაარღვევდა ფრონტის ხაზს, სადაც მას ნაკლებად ელოდნენ. მიმართავდნენ მტრის მოსატყუებელ ხრიკებს, აწყობდნენ ცრუპოზიციებს, რომლებზეც იგზავნებოდა „მოხეტიალე“ ნაღმმტყორცნელი, რომელიც ხან ერთი ადგილიდან ისროდა, ხან მეორიდან. მოწინააღმდეგე იბნეოდა, მას უჭირდა ნამდვილი საცეცხლე წერტილების ყალბისაგან გამორჩევა. იერიშის მოგერიების შემდეგ ნაღმმტყორცნელებს სწრაფად უნდა შეეცვალათ საცეცხლე პოზიციები, რათა მტერს, რომელსაც უკვე დაფიქსირებული ჰქონდა მათი მდებარეობა, კონტრშეტევისას არ გაენადგურებინა ისინი. ერთხელ კარელიის ფრონტზე დაზვერვამ დაადგინა, რომ გერმანელთა შეიარაღებული ჯგუფი საბჭოთა ჯარების ზურგში გაღწევას ცდილობდა. მათი განადგურების ბრძანება თავდაცვის ნაღმმტყორცნელთა ოცეულმა მიიღო. ოცეული შეუმჩნევლად განლაგდა შერჩეულ პოზიციებზე და ელვისებური ცეცხლით რამდენიმე წუთში გაანადგურა მტერი.

როგორც საიერიშო, ასევე თავდაცვით ბრძოლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეთაურთა ინიციატივასა და საზრიანობას. 1942 წელს ლენინგრადის ფრონტზე ქვეით მსროლელთა ასეულის წინ მათთვის უხილავი (დაზვერვა არ ხერხდებოდა) მონაკვეთი აღმოჩნდა. სიტუაცია კარგად გამოიყენეს გერმანელებმა, ასეულის პოზიციებს მიუახლოვდნენ და მოულოდნელი თავდასხმით დააბნიეს, რადგან მეთაურმა მებრძოლთა სწრაფი მობილიზება ვერ შეძლო. ამ დროს გაჭირვების ტალკვესად მათ ნაღმმტყორცნელთა ცეცხლი მოევლინა, რომელიც ოცეულის მეთაურმა სარქისოვმა დაუკითხავად, თავისი ინიციატივით გახსნა. გერმანელებისთვის ეს მოულოდნელი აღმოჩნდა, – შეტევა შეაჩერეს და დიდი დანაკარგით დაიხიეს უკან.

თავდაცვისას ნაღმმტყორცნელთა სწრაფ მანევრებს არაერთხელ გადაუწყვეტია ბრძოლის ბედი. 1942 წლის სექტემბერში, სტალინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე, საბჭოთა ქვეითების ასეული ფართო მონაკვეთს იცავდა. მათ წინააღმდეგ შეტევა დაიწყო გერმანელთა ათასეულმა. თავდაცვის გასაძლიერებლად ასეულის მეთაურმა რეზერვში მყოფი ნაღმმტყორცნელები წინასწარ შერჩეულ პოზიციებზე გაგზავნა. ისინი კარგად იცნობდნენ ადგილმდებარეობას და ორიენტირებიც ზუსტად ჰქონდათ მონიშნული. პოზიციების დაკავებისთანავე ნაღმმტყორცნელებმა აამუშავეს თავიანთი იარაღი, – ნაღმების სეტყვა მოულოდნელი აღმოჩნდა გერმანელებისათვის და იერიში ჩაიფუშა, ხოლო მათი მცდელობა, არტილერიის ცეცხლით ჩაეხშოთ ნაღმსატყორცნები, ფუჭი გამოდგა, რადგან ძველ საფრებში უკვე აღარავინ იყო.

ნაღმმტყორცნელთა წარმატება ამ შემთხვევაში განაპირობა ადგილმდებარეობის წინასწარ კარგად შესწავლამ, სწრაფად სამოძრაო გზების შერჩევამ, სათადარიგო საფრების მოწყობამ და ქვეითებთან ერთად სწორი ორიენტირების შერჩევამ.

როგორც ამბობენ, ე.წ. სამამულო ომში, გერმანელების ცოცხალი ძალა განსაკუთრებით 1938 წლის ნიმუშმა, 120-მილიმეტრიანმა ყუმბარსატყორცნმა აზარალა.

1941 წლის ზაფხულის მიწურულს სოფელ მოროზოვთან გამართულ ბრძოლაში საბჭოთა ნაღმმტყორცნელთა ბატარეა გერმანელთა მოწინავე შენაერთებიდან 600 მეტრის მანძილზე ჩასაფრდა და მძლავრი ცეცხლი გაუხსნა მტერს (პოზიციების შეუცვლელად). ამ ბრძოლაში ბატარეამ 120 ნაღმი გაისროლა და გაანადგურა 60 მანქანისაგან შემდგარი ავტოკოლონა.

შედარებითი სიმშვიდის დროს ნაღმმტყორცნელები იკავებდნენ პოზიციებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ცეცხლის გაუხსნელად ისხდნენ მტრის გამოჩენამდე. 1943 წლის მაისში ბრიანსკის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე საბჭოთა ნაღმმტყორცნელებმა მოწინააღმდეგის არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ბატარეის წინააღმდეგ ცეცხლის ორგანიზების ბრძანება მიიღეს. ეს უკანასკნელი ხელს უშლიდა საბჭოთა ქვეითების წინსვლას. ოფიცრებმა სათვალთვალოდ მოწინავე (ქვეითთა განლაგების წინ) პუნქტი აირჩიეს, საიდანაც ოთხი დღის განმავლობაში ეძებდნენ სამიზნეს. მეხუთე დღეს მათ აღმოაჩინეს გერმანელთა ბატარეა და ბრძანების შესრულება დაიწყეს. პირველივე სროლებით მოსპეს ნაღმტყორცნელთა ბატარეა, ააფეთქეს ბლინდაჟი, ნაღმების საწყობი, შემდეგ კი დაწვეს სახლი, რომელშიც გერმანელი ქვეითები აფარებდნენ თავს. საქმე ამით არ დამთავრებულა. აღმოჩენილი და განადგურებული არ იყო რამდენიმე ბატარეა, რომლებიც კარგად იყვნენ შენიღბული. მათ აღმოსაჩენად საბჭოთა ჯარის შენაერთების მეთაურებმა ხერხს მიმართეს, — დაიწყეს 120-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნისთვის საფრის მოწყობა ისეთ ადგილას, მოწინააღმდეგეს მისი შემჩნევა რომ არ გასჭირვებოდა. ღამით ნაღმსატყორცნი დააყენეს და გათენებისას სროლა აუტეხეს გერმანული ბატალიონის შტაბს. ბატალიონის მეთაურმა თავის არტილერიას თავხედი ნაღმმტყორცნელის ჩაჩუმება უბრძანა. ამ დროს საბჭოთა მეომრებს ნაღმსატყორცნი უკვე გადატანილი ჰქონდათ სხვა, გაცილებით კარგად დაცულ პოზიციაზე და ისევ დაუშინეს ცეცხლი გერმანელთა შტაბს. ძველ პოზიციაზე კი ნაღმსატყორცნის ხის მაკეტი იწონებდა თავს. როგორც კი გერმანული შტაბის დაბომბვა განახლდა, მოწინააღმდეგის არტილერიამ და ნაღმმტყორცნელთა სამმა ბატარეამ ცეცხლის სეტყვა დაუშინეს იმ საცეცხლე პოზიციას, სადაც ხის მაკეტი იდგა. მოთვალთვალეებსაც მხოლოდ ეს უნდოდათ. მათ კარგად მონიშნეს ორიენტირები და იმავე ღამეს 62 ნაღმით გაანადგურეს ისინი.

დღეს განვითარებული ბირთვულ-რაკეტული იარაღის პირობებში, ნაღმსატყორცნს თავისი როლი და მნიშვნელობა არ დაუკარგავს, — თანამედროვე ნაღმსატყორცნებს ბევრი ისეთი ამოცანის გადაწყვეტა ევალება, რომლებსაც სხვა საცეცხლე საშუალებებზე უკეთესად ასრულებენ. ნაღმსატყორცნების საომარი შესაძლებლობები კვლავ ამოუწურავია.

P.S. ნაღმსატყორცნებით ბრძოლა რუსებმა გერმანელებისგან ისწავლეს.



# ნაღმსატყორცნი

## იდეალური იარაღი საქართველოს პირობებში

### დახურული პოზიციებიდან სროლისას 120 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნი 2Б11 საუკეთესო შედეგს იძლევა

**15 მარტს ქართული არტილერიის შექმნიდან მეთხუთმეტე წელი სრულდება.**

ქართველ არტილერისტებს უდიდესი როლი აქვთ შესრულებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე აფხაზეთში.

1993 წლის 15-16 მარტის სოხუმზე შეტევის ჩაშლაში სწორედ ქართველ არტილერისტებს მიუძღვით ყველაზე დიდი წვლილი. მათი ზუსტი სროლის შემდეგ მდინარე გუმისთის მარცხენა ნაპირზე მოწინააღმდეგე მებრძოლების ასეულობით ცხედარი დარჩა. ეს დღეები აფხაზ სეპარატისტებს გლოვის დღეებად აქვთ გამოცხადებული.

დღეს საქართველოს შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვანი საარტილერიო სისტემებით არის დაკომპლექტებული. მათი საერთო რიცხვი (იგულისხმება 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის) უახლოვდება იმ კვოტას, რაც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებით საქართველოსთვის არის გამოყოფილი, კერძოდ, 285 ერთეულს. ამ მაჩვენებლით ქართული არმია არტილერიით ყველაზე მეტი პროცენტითაა დაკომპლექტებული, ვიდრე ჯავშანტექნიკითა და საბრძოლო თვითმფრინავებით.

ქართული არტილერიის ერთ-ერთ ძირითად დამრტყმელ ძალას ნაღმსატყორცნები წარმოადგენს. საერთოდ, მთაგორიან რელიეფზე ნაღმსატყორცნების გამოყენება ბევრად

120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი 2БЛА



უფრო შედეგიანია, ვიდრე ჰაუბიცებისა და, მით უმეტეს, ქვემეხების.

დახურულ პოზიციაზე განთავსებული ნაღმსატყორცნიდან ნაღმის ჩაგდება მოწინააღმდეგის იმ პოზიციებზე შეიძლება, რომლებიც, მაგალითად, მთის უკანა კალთაზეა განთავსებული და მათ იარაღის სხვა სახეობით ვერ დააზიანებენ.

ქართული არმიის შეიარაღებაშია 60, 82 და 120 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნები.

ამჯერად ყურადღებას 120 მმ-იან ნაღმსატყორცნზე შევაჩერებთ. მათ ზუსტ რაოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა





**ჩვენი დოსიე:** 120 მმ-იანი კალიბრის ნაღმსატყორცნი კომპლექსის 2С12 Сани-ის შემადგენლობაში არსებული ნაღმსატყორცნი 2Б11-ი 16 კგ-იან მსხვრევად ნაღმს მაქსიმალურ 7200 მეტრზე ისვრის.





ნობას ქვეით ბრიგადებში ვერ დავაკონკრეტებთ, მხოლოდ ვიტყვით, რომ ქართულ არმიაში რამდენიმე ათეულს შეადგენს.

ქართული არმია სამი მოდიფიკაციის 120 მმ-იან ნაღმსატყორცნს იყენებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაშია წარმოებული (მათ შორის ყოფილ იუგოსლავიაში). ამ სტატიაში კი მხოლოდ ერთის, – 120 მმ-იანი კალიბრის ნაღმსატყორცნის კომპლექს 2С12 Сани-ს განვიხილავთ.

საქარებელი ნაღმსატყორცნის კომპლექსი 2ССани საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში 1981 წელს მიიღო. ის აერთიანებს 120 მმ-იან ნაღმსატყორცნ 2Б11-ს, ორთვლიან ურიკას 2А81 და სატრანსპორტო მანქანა 2Ф510.

სატრანსპორტო მანქანა 2Ф510 კარგად ნაცნობი ГАЗ-66 ტიპის ორხიდიანი მაღალი გამავლობის სატვირთო ავტომობილია. ბორბლებზე შემდგარი „სანის" ბუქსირების მაქსიმალური სიჩქარე 60 კმ/სთ-ითაა შეზღუდული (უგზოობაზე ეს სიჩქარე 20 კმ/სთ-მდე იზღუდება) და თანაც, „სანის" ბუქსირება 5-10 კმ-ზე მეტ მანძილზე რეკომენდებული არ არის.

როგორც წესი, „სანის" ტრანსპორტირება ავტომობილის ძარაზე შეყენების შემდეგ შეიძლება, ამისთვის ძარიდან ორი სპეციალური აპარელი ეშვება ბორბლებზე შემდგარი ნაღმსატყორცნის ძარაზე ასაგორებლად.

ქართულ არმიაში ГАЗ-66-ები თითქმის აღარ დარჩა, ამიტომაც 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნების ტრანსპორტირება, ძირითადად, „ურალისა" და „ზილის" ტიპის სატვირთო ავტომობლებით ხდება.

კომპლექს 2С12 Сани-ის მასა ტრანსპორტირების დროს 300 კგ-მდე აღწევს. თავად ნაღმსატყორცნის მასა საბრძოლო მდგომარეობაში გაშლის შემდეგ 210 კგ-ს შეადგენს.

სასროლ პოზიციაზე გაჩერებისთანავე, ხუთკაციანი საბრძოლო გათვლა სულ რამდენიმე წუთში ასწრებს ნაღმსატყორცნის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანასა და პირველ გასროლას.

ნაღმსატყორცნი 120 მმ კალიბრის საბჭოთა და საზღვარგარეთის ქვეყნების წარმოების ყველა ნაღმს ისვრის. ამ მხრივ 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი ერთგვარი უნივერსალური იარაღია, რადგან, როგორც წესი, საბჭოთა (შემდგომში რუსული) და უცხოური ქვეყნების ჭურვებისა და ნაღმების კალიბრები ერთმანეთისგან რამდენიმე მილიმეტრითაა განსხვავებული (მაგალითად, თუკი საბჭოთა არმიის შეიარაღებაში იყო 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნები, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არტილერისტები 81 მმ-იან ნაღმებს ისროდნენ).

120 მმ-იანი ნაღმის სროლისას მაქსიმალური მანძილი 7200 მეტრს აღწევს, მინიმალური კი – 480 მეტრს. სროლის მანძილის ცვლილება, ანუ ცეცხლით მანევრი, მიიღწევა როგორც დამიზნების მექანიზმის ცვლილებით, ისე ნაღმის სტაბილიზატორზე დამატებითი მუხტების დამაგრებით.

ნაღმსატყორცნის ლულის კუთხის ცვლილება 45-დან 80 გრადუსამდე შეიძლება. თუკი სამიზნის შესწორება არ ხდება, ერთმანეთის მიყოლებით, შეუჩერებლივ, წუთში 15 ნაღმის გასროლა შეიძლება. დამიზნებით სროლის ტემპი წუთში 10 გასროლამდე იკლებს.

2С12 Сани ტიპის ნაღმსატყორცნის კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება მეორე მსოფლიო ომის დროინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა











ნაღმსატყორცნის ლულის თავში დამონტაჟებული დამცველი გამორიცხავს ორი ნაღმის ლულაში ჩაშვებას



ანალოგიური კალიბრის ნაღმსატყორცნებისგან შემდეგშია: ნაღმსატყორცნის 2Б11-ის ლულის ბოლოში დამონტაჟებულია სპეციალური დამცველი, რომელიც გამორიცხავს ახალი ნაღმის ჩაგდებას ლულაში, თუკი იქ უკვე არის ერთი ნაღმი.

დაძაბული ბრძოლის დროს დამტენი ერთმანეთის მიყოლებით უშვებს ნაღმსატყორცნის ლულაში ნაღმებს. ამ დროს შეიძლება ნაღმის სტაბილიზატორის ძირში განთავსებულმა ინიციატორმა (იგი თოფის ვაზნის მსგავსია) არ იმოქმედოს ლულის ძირში განთავსებულ ნემსზე დაცემისას, შესაბამისად, არ დეტონირდება ნაღმის სტაბილიზატორზე ჩამოცმული მუხტები (მუხტი ტომარაში მოთავსებულ დენთს წარმოადგენს) და ნაღმი არ გავარდება.

სროლის ხმაურში ნაღმსატყორცნის გათვლამ შეიძლება ვერ შეამჩნიოს ეს, ჩათვალოს, რომ ნაღმი გავარდა და ლულაში მეორე ნაღმი ჩაუშვას, რომელიც იქ ჩარჩენილ ნაღმს ამფეთქში მოხვდება და შედეგი სავალალო იქნება...

ეს რომ არ მოხდეს, ნაღმსატყორცნის ლულის თავში სპეციალური დამცველია განთავსებული, რომელიც იკეტება ნაღმის ლულაში ჩაშვების შემდეგ. მეორე ნაღმს ლულაში ველარ ჩაუშვებ, თუკი იქ უკვე არის ნაღმი. გასროლისას დამცველი, ნაღმის ლულიდან გამოვარდნის შემდეგ, ავტომატურად იხსნება.

ნაღმსატყორცნების ეფექტიანობა ჩვენს პირობებში აფხაზეთის ომმა და ცხინვალის მოვლენებმა 2004 წელს ცხადყო. მიუხედავად იმისა, რომ ნაღმსატყორცნები არტილერიის ერთ-ერთ უძველეს სახეობად ითვლება, ისინი კვლავ დიდხანს დარჩება სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს არმიის შეიარაღებაში.

ირაკლი ალადაშვილი





თუკი ნაღმი არ გავარდა, ნაღმსატყორცნის ლულას აყირავებენ და ნაღმს ფრთხილად იღებენ




არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოვბოების კოდექსი

- ნურასოდეს ჩაერევი იმ საქმეში, რომელიც არ გეხება;
- ნებისმიერი კამათი პირადი საქმეა, მასში უცხო პირები არ დაიშვებიან.
- არ არსებობს გაუხედნავი ცხენი და არც კაცი, რომლის უნაგირიდან ჩამოგდება შეუძლებელია;
- კატის გამოსაცოცხლებლად, მისი კუდით დათრევაზე უკეთესი საშუალებაც არსებობს;
- არასოდეს ჰკითხო კაცს, რა სიმდიდრის პატრონია;
- ბარდისა და საქონლის ხორცის კერძის საქონლის ხორცითა და ბარდით შეცვლაც კი სასარგებლოა;
- არასოდეს მოჭრა ის ტოტი, რომელზეც ზიხარ;
- არ ღირს ახალი ნაკელის ცხელ ამინდში სროლა;
- როცა იაგუარი ხარს შეჭამს, მაძღარი მანამდე ბღავის, სანამ მონადირე არ მიაგნებს და არ მოკლავს. აქედან დასკვნა: როცა მაძღარი ხარ, სჯობია, ჩუმადაც იყო;
- ყვავის ჭამა მაშინ არის კარგი, როდესაც ჯერ კიდევ თბილია, შეგრილებასთან ერთად ძნელდება მისი მონელებაც;
- თუ ორმოში ჩავარდი, გირჩევ, თხრა შეწყვიტო;
- თუკი ფიქრობ, რომ თამაში არ ღირს, მიენდე საკუთარ აზრს;
- შეეცადე არასოდეს იწუწუნო;
- ცხვრის ფარაში თხა რომ გამოარჩიო, სულაც არ არის საჭირო გენიოსობა;
- ყველაზე დიდი მატყუარა, რომელსაც ოდესმე შეხვედრიხარ, ყოველ დილით სარკიდან შემოგცქერის;
- დაკარგული ხბოს საპოვნელად იქ უნდა წახვიდე, სადაც იმ შემთხვევაში წახვიდოდი, დაკარგული ხბო რომ ყოფილიყავი;
- არასოდეს ჰკითხოთ დალაქს: „როგორ ფიქრობთ, თმა ხომ არ შევიჭრაო“
- კარგ ვისკის არასოდეს მიაყოლო წყალი.
- თუკი თავი გავლენიან კაცად მიგაჩნია, სცადე ჯერ რაიმე სხვის ძაღლს უბრძანო;
- ნურასოდეს ილაპარაკებ ბევრს, თუკი ჯიბე ცარიელი გაქვს;
- ილაპარაკე ნელა, დაბალი ხმით, ნუ დახარჯავ ზედმეტ სიტყვას;



# პრერიების მბრძანებელი COWBOY



**თუკი ვინმეს ჰკითხავთ, როგორი წარმოუდგენია ნამდვილი კოვბოი, – ალბათ, მაშინვე გეტყვით, – ცხენზე ამხედრებული თეთრკანიანი რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღითა და ქამანდით ველურ მუსტანგებს მისდევსო. ნაწილობრივ ეს მართლაც ასეა. ველური დასავლეთის კოვბოის სახე უმეტესწილად ამ თემაზე შექმნილი ჰოლივუდის მრავალრიცხოვანი ფილმების გმირებთან ასოცირდება: ვინმე მოხერხებული „კარგი ბიჭი“ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხოცავს ათეულობით კაცს, მეორე კი – „ცუდი“ – ბებერ ცხენზე ამხედრებული ამერიკის პრერიებში სალ-სალამათი უჩინარდება. სინამდვილეში კი ასე სულაც არ ყოფილა:**

### მითი №1

მხატვრულ ფილმებსა და რეალობას შორის ყველაზე მთავარი წინააღმდეგობა რასობრივ ნიშანზე მოდის. თეთრკანიანი ამერიკელი კოვბოების ჯგუფს შავ და ყვითელკანიანი კოვბოები მნიშვნელოვანწილად სჭარბობდნენ, ინგლისური ენა კი ესპანურთან შედარებით უფრო იშვიათად ჟღერდა. თითქმის ყოველი მეშვიდე კოვბოი აფრიკის ღვიძლი შვილი იყო. მათ შორის იყვნენ ისეთი ცნობილებიც, როგორიცაა ნეტ ლავი და ჯონ უარი. ბევრი მათგანი კონტინენტის უძველეს მკვიდრთა ინდიელებისა და მექსიკელების შთამომავალიც იყო, მაგრამ კინოფილმების შემქმნელებს საკუთარი შეხედულებები ამოძრავებდათ. ვესტერნების პოპულარობის ეპოქაში ჰოლივუდში ფერადკანიანებისათვის ადგილი არ იყო. ამერიკელ დიასახლისებს სურდათ ეკრანზე მხოლოდ ევროპული რასის გმირი ენახათ, ხოლო მამები შვილებს კეთილშობილების მაგალითად ყოველთვის თეთრკანიანებს უსახელებდნენ. აი, ასე აღმოცენდა ერთი ყველაზე დიდი მითი თანამედროვე კულტურაში. ასევე, არ უნდა დავივი-



წყოთ, რომ ყველაზე „კოვბოურ“ შტატში – ტეხასში – დღესაც კოვბოებად ჯერ თეთრკანიანები ითვლებიან და მერე მექსიკელები.

## მითი №2

მეორე არანაკლებ გავრცელებული ლეგენდა კოვბოების გაუთავებელი ორმხრივი სროლების შესახებ ასევე ჰოლივუდის ფანტაზიის ნაყოფია. რა ეფექტური სანახაობაა კოვბოების დუელი! ორი კაცი, ქალაქის შუა ქუჩაში არკვევს ურთიერთობებს ცეცხლსასროლი იარაღის საშუალებით, ხოლო მოწინააღმდეგეების გარშემო ჯგროდ შემოკრებილი მოქალაქეები სეირს უყურებენ. რეალურ ცხოვრებაში კი ყველაფერი გაცილებით უფრო პროზაულად გამოიყურებოდა. კოვბოები თითქმის არასოდეს მართავდნენ მსგავს სანახაობებს. და საერთოდ, სიცოცხლის სასწორზე შეგდებას ერიდებოდნენ. უმიზეზოდ იარაღი ძალზე იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. რა თქმა უნდა, კოვბოის ცეცხლსასროლი იარაღი სჭირდებოდა, მაგრამ მხოლოდ ნახირს ჩამორჩენილი პირუტყვის დასაჩქარებლად, ან ჯოგის წინამძღოლი ხარისთვის, თუკი ის უფრო ჰუმანურ მეთოდებს არ დაემორჩილებოდა.



## მითი №3

ჰოლივუდისა და სხვა ფილმების უმრავლესობაში, რომელთა თემა ველური დასავლეთია, მთავარ გმირს, როგორც წესი, აქვს ძვირფასი იარაღის დიდი არსენალი. ხელის ერთი მოქმედებით სწრაფად და ოსტატურად ამოაქვს მზის სხივებზე მბრწყინავი ძვლის ან ხისტარიანი Smit&-Wesson-ი. სამწუხაროდ ესეც ლეგენდაა. ასეთი იარაღი კოვბოებს, ჩვეულებრივ, არ ჰქონდათ. ძვირფასი იარაღის ფასი ყოველთვის აღემატებოდა კოვბოის მატერიალურ შესაძლებლობებს. მათ, ძირითადად, იაფი და მოძველებული მოდელის იარაღი ჰქონდათ. პისტოლეტის ვირტუოზულად გამოყენება, რა თქმა უნდა, ძალზე შთამბეჭდავია, მაგრამ რეალურად ძალზე იშვიათად გამოიყენებოდა და უფრო მეტად ბუფალო ბი-



ლის საცირკო შოუს ელემენტს წარმოადგენდა. პისტოლეტის ეფექტურად „წარმოჩენა“ ყველას არ შეეძლო, ეს არც არასოდეს ყოფილა საჭირო. სწრაფი ორმხრივი სროლა, სასხლეტზე თითის დაჭერითა და მხოლოდ ჩახმახის გადაწევით – ესეც ზღაპარია. სინამდვილეში ასეთი ილეთი საკმაოდ სახიფათო იყო, რადგან იაფფასიან პისტოლეტზე გადახურებისაგან დოლურის გადახრა შეიძლებოდა მომხდარიყო და მსროლელი შესაძლოა თითების გარეშე დარჩენილიყო. ამასთან, პისტოლეტის სროლის სიზუსტე საკმაოდ შორს იყო სასურველი შედეგისაგან, ასეთ შემთხვევაში კი მიზანში მოხვედრის შანსი კიდევ 50%-ით იკლებდა.

პირველი კოლონიზატორები ჩრდილოეთ ამერიკაში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ჩავიდნენ. ისინი არ იყვნენ ის კოვბოები, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ. საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ისინი ატლანტიკის ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ, დააარსეს შეერთებული შტატები და სულაც არ ჩქარობდნენ ქვეყნის შორეულ მიწებზე შეღწევას. დასავლეთისაკენ კურსი მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში აიღეს. 1820 წელს საზღვარი მდ. მისისიპიზე გადიოდა, 25 წლის შემდეგ კი აშშ-მა ტეხასი შეიერთა, ხოლო 1853 წელს ქვეყანა უკვე იმ ფართობზე იყო გადაჭიმული, რომელსაც დღესდღეობითაც ფლობს. დაიწყო ათასობით ამერიკელის მიგრაცია დასავლეთისაკენ.

პირველი ბილიკები მონადირეებმა გაკვალეს. მათ ფერმერები მიჰყვნენ ოჯახე-



## კოვბოების კოდექსი

- ადამიანი, რომელიც სულ ნაძალადევად იღიმება, კუდის მოქნევე ძაღლს ჰგავს, — მას კი არ უხარია, — უბრალოდ, ნერვიულობს;
- არ ინაღვლო, თუკი იმაზე დიდი ლუკმა ჩაიდე პირში, ვიდრე დაღეჭვა შეგიძლია. შენი პირი იმაზე ტევადია, ვიდრე შენ გგონია;
- გამოცდილების მატებასთან ერთად, იზრდება სიტუაციის შეფასების სიზუსტეც. გამოცდილება კი მხოლოდ მცდარი შეფასებების შედეგად მოდის;
- არასოდეს დალიო წყალი იქ, სადაც ამას ნახირი აკეთებს;
- თუკი შენი ქვედა ყბა მუდამ მოძრაობს, ეს იმის ნიშანია, რომ ვერაფერს ისწავლი;
- უსურვო კაცს ეშმაკებთან გამგზავრება და მართლაც შეუსრულო ეს, ორი განსხვავებული რამაა;
- ცხოვრება ცხენის უნაგირს ჰგავს, რომლიდანაც ხშირად ვარდები, მაგრამ მთავარია, ყოველ ჯერზე უკან აძრომა მოახერხო;
- არასოდეს გაუშვა ხელიდან საშუალება, თუკი ცხენის შესვენების შესაძლებლობა გეძლევა;
- თუ ბებერი და ხრტილიანი ხორცის მომზადებას გადაწყვეტ, კეცზე მასთან ერთად ერთი-ორი ნალიც დადე. როდესაც ნალი დარბილდება, ჩათვალე, რომ ხორციც მზადაა;
- თუკი გამოგიჩნდა ფული, რომელსაც შეუძლია შეგაფერხოს, თავიდან მოიშორე;
- ძვირფასი ტიტულები და ლამის. პერანგები დროის უაზრო ხარჯვაა;
- არასოდეს გადადო იარაღი გვერდზე, თუკი დათვთან ხელჩართულ ბრძოლას გადაწყვეტ. ის გაცილებით ძლიერია;
- ბანქოს თამაშისას მიენდე მოთამაშეებს, მაგრამ დასტა თავად მოჭერი;
- ქალის გული კოცონს ჰგავს, თუ მუდმივად არ შეუკეთე, ჩაქრება;
- თუკი ნახირს წინ მიუყვები, დროდადრო უკან გამოიხედე ხოლმე, რომ დარწმუნდე — მარტო ხომ არ დარჩი;
- კარგად მოქცევა კაცს ან ცხენს ასწავლე და არ გაიკვირვო, თუკი გამოიყენებენ;

## კოვბოების კოდექსი

- არ აქვს მნიშვნელობა, სად მიდიხარ — შენ სწორედ რომ იქ ხარ;
- თუკი გადაწყვიტე გამგზავრება, გააჭენე როგორც შეგიძლია, თუ ჯერ ისევ ფიქრობ, თავი დაანებე ცხენს, მას ხომ არაფერი დაუშავებია;
- თუ ბართან დგახარ, ქუდს ნუ მოიხდი, თუ მაგიდასთან ზიხარ, — მისი თავზე გაჩერება უზრდელობაა;
- ზოგიერთი რამ სასაცილო სულაც არ არის;
- წარმატება, ისევე როგორც წარუმატებლობა, როგორც წესი, დაუმსახურებლად მოდის ხოლმე;
- არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ ხანს, მთავარია, როგორ აჭენებდი;
- თითქმის ყოველთვის იმაზე მეტის გადატანა შეგიძლია, ვიდრე გგონია;
- თუკი ჩხუბი საჭიროა, ნუ იქნები სიტყვაძუნწი, აქტიურად გამოიყენე საკუთარი ფილტვების შესაძლებლობები;
- კაცი, რომელიც დარში საწვიმარს გთავაზობს, სულაც არ ჰგავს შენს მოყვარეს;
- უნდა გეშინოდეს მხოლოდ ორი რამის: წესიერი ქალისა და უცხენობის;
- არსებობს სამი თეორია იმის თაობაზე, როგორ უნდა ეკამათო ქალს, მაგრამ, როგორც წესი, არც ერთი არ ამართლებს;
- თუკი ნახირის ქალაქის გავლით გადარეკვას გადაწყვეტ, უმჯობესი იქნება, ამისათვის კვირა დღე გამოიყენო — ქუჩები ცარიელია, ასეც რომ არ იყოს, ეკლესიაში მიმავალი მოქალაქეები ბილწსიტყვაობას ერიდებიან;
- თუკი საქონლის გადარეკვა შენი ძირითადი საქმიანობაა, გირჩევნია, ზამთარში გამოიძინო;
- ეცადე ყოველთვის იმაზე უფრო ზრდილობიანი იყო, ვიდრე მოგეთხოვება;
- თუ სამუშაოზე ხარ, დაივიწყე ჭამა და ძილი, ხოლო ცხენი ხშირად გამოიცვალე;
- თუკი ვინმეს ადევნებ, შეადგასე ყოველმხრივ;
- როდესაც ყავაში კვერცხის ნაჭუჭი დაცურავს, ის ისეთი მწარე უკვე აღარ გეჩვენება;
- გახსოვდეს, რომ შენს ცხენს უკეთესად ესმის და გრძნობს, ვიდრე თავად შენ;




ბით. დასავლეთში გადასასვლელად სამი გზა არსებობდა: სენტ-ლუისიდან, ნარტჩესიდან (შდ. მისისიპი) და ფორტ-სმიტიდან (შდ. არკანზასი). რა აიძულებდათ მამაკაცებსა და ზოგიერთ ქალს გამხდარიყვნენ კოვბოები? — ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გაჩაღებული სამოქალაქო ომი, რომელმაც თითქმის სამი მილიონი კაცი აიძულა, იარაღისათვის მოეკიდა ხელი. 1865 წელს, ჩრდილოეთის გამარჯვების შემდეგ, ხალხი უკან დაბრუნდა, მაგრამ არეულობის გამო ბევრი სამუშაოს გარეშე დარჩა. ამგვარად, გუშინდელი ჯარისკაცი-გმირები იძულებულნი გახდნენ, დაქირავებული მუშახელის სამუშაო შეესრულებინათ და კოვბოებად მიდიოდნენ. არ იქნება სწორი, თუკი ვიტყვით, რომ მხოლოდ ღატაკი ფენა ეტანებოდა ამ სამუშაოს. კოვბოებს შორის არაერთი მდიდარი ოჯახის შვილიც იყო, მაგრამ ეს ალბათ თავგადასავლების ძიების სურვილით უფრო იყო ნაკარნახები. კოვბოების ცხოვრება სულაც არ გახლდათ რომანტიკული, — ის ბინძური, ერთფეროვანი და მძიმე იყო.

მკვლელებსა და დამნაშავეებს პროპაგანდა არ სჭირდება. პირიქით, თუკი პლატონს ვერწმუნებით, ცუდი მაგალითი ახალგაზრდობაზე ცუდ ზეგავლენას ახდენს და შესაბამისად, ამგვარი ლიტერატურა უნდა აიკრძალოს. თუმცა ფილოსოფოსი იმასაც ამბობს, რომ მას მხოლოდ ყმაწვილკაცები ჰყავს მხედველობაში. ამგვარად, თუკი თქვენს ოჯახში მცირეწლოვანი „ვაჟკაცები" იზრდებიან, რომლებსაც ძალიან უყვართ თქვენი მამაცა („არსენალის" კითხვაშიც კი), შეეცადეთ ჟურნალის ეს ნომერი ხელში არ ჩაუვარდეთ; ვაი და, სწორედ ჯონ ვესლი მიიჩნიონ მისაბაძად.

როგორც ვთქვით, კოვბოები იშვიათად მართავდნენ ქუჩაში სანახაობებს, მაგრამ ასეთი შემთხვევებიც იყო. მაგალითად, კანონდამცველებსა და კოვბოებს შორის ქალაქ ტუმბსთოუნში შეტაკება მოხდა. ვერცხლითა და მადნის საბადოებით ცნობილი ეს პატარა დასახლება ბევრ თავგადასავლის მაძიებელს იზიდავდა.



ტუმბსთოუნი არიზონის შტატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. 1877 წლის ივნისში ედ შიფელინმა, ტუმბსტოუნის ფუძემდებელმა, აქ მიწის ნაკვეთები დაისაკუთრა, სადაც ვერცხლი და მადანი აღმოჩნდა. 1879 წლის დეკემბერში ტუმბსთოუნი დასახლებულ პუნქტად ოფიციალურად გამოცხადდა. ქალაქის პირველ მერად უილიამ ჰარვუდი დაინიშნა. 1880 წლის 20 მარტს დამთავრდა პირველი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა ამ რეგიონში, რომელიც ტრომბსთოუნს ტაკსონთან აკავშირებდა. ტომბსთოუნი თანდათან იზრდებოდა და ფართოვდებოდა. გაიხსნა მაღაზიები, სასტუმროები, რესტორნები, ჰქონდათ ორი აფთიაქი, საკონდიტრო, ფოტოგალერეა, სხვადასხვა სახელოსნო, ორი ბანკი.

1881 წლის იანვარში ამუშავდა პირველი ტელეგრაფი. ამ დროისათვის ქალაქის მოსახლეობა უკვე 6000-7000 კაცს შეადგენდა. 1881 წლის თებერვალში ტუმბსთოუნმა ოფიციალურად მიიღო ქალაქის სტატუსი. ამავე წლის 4 ივნისს ტუმბსთოუნის პოლიციის უფროსი ვერჯილ ერპი გახდა — წინამორბედი შერიფის, უაიტ ერპის ძმა. 1881 წლის 26 ოქტომბერს კანონდამცველებსა და კოვბოებს შორის სროლა ატყდა. ოცდაათწამიან სროლას სამი კოვბოი ემსხვერპლა (ბილი კლენტონი, ტომი და ფრენკ მაკლოურები), ვერჯილი და მორგან ერპები კი დაიჭრნენ. სროლა ქალაქის ფოტოსტუდიასთან წამოიწყეს ბილი კლენტონმა და ფრენკ მაკლოურიმ.

ერპების ოჯახი და „დოკ" ჰოლიდეი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ ისინი კანონიერად მოქმედებდნენ და გაამართლეს.

OK კორალის შეტაკება უამრავი ფილმისა და წიგნის სიუჟეტი გახდა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაზე საკმაოდ ძუნწი ცნობებაა შემორჩენილი, ამიტომ ჰოლივუდელი რეჟისორები ფანტაზიას იშველიებდნენ ხოლმე.

ორი თვის შემდეგ ვერჯილ ერპს დაუდგენელმა პირმა ზურგში ესროლა. 1882 მარტში მოკლეს მორგან ერპი, რამდენიმე დღის შემდეგ კი უაიტ ერპი და მისი მეგობარი „დოკ" ჰოლიდეი.



## კოვბოების კოდექსი

- დღისით სახლში არაფერია საქმე, — შეეცადე ბლუჟოლი არ აატალახო;
- თუ გინდა გააკეთო რაიმე ახალი, რაც უფრო ნაკლებ ადამიანს ეცოდინება ეს, მით უკეთესია;
- თუკი ვინმე წყალთან ფეხზე იხდის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოკეანის გადაცურვას აპირებს;
- მათხოვართან საქმის დაჭერისას გააკონტროლე საკუთარი ხელგაშლილობა;
- თქვი, რაც გინდა, მაგრამ ვალდებული ხარ, სწრაფად აჭენო;
- ნუ ჩაიცუცქები დეზების მოუხსნელად;
- როდესაც გუნდს აგროვებ, ნუ დაზოგავ დროს; ყურადღებით მოუსმინე ყბედებს და მხოლოდ სიტყვაძუნწები დაიახლოვე;
- არ იმუშაო ზარმაცთან ერთად — პატრონსება მისი საქმის გაკეთებასაც გაიძულებს;
- ქამანდის საუკეთესო მტყორცნელი ის არის, ვინც რიტმის გრძნობას, დროის გამოთვლისა და დისტანციის შეფასების უნარს ფლობს. ეს თვისებები ცეკვის დროსაც ძალიან სასარგებლოა;
- ისე გამოიყენე სასიცოცხლო შესაძლებლობები, თითქოს ეს ის რაღაცაა, რაც ქამანდის სწრაფად მოქნევის გარეშე გაგექცევა;
- მინაზე მუშაობისას მხოლოდ სხვა მსახურის უკანალს ხედავ, ცხენზე ჯდომისას კი ყველაფერს ჰორიზონტის გარშემო;
- არასოდეს გაექცე ტყვიას, — სჯობია, გული გაგიპონ, ვიდრე ზურგი;
- რეალობას ნუ მისცემ უფლებას, ცხოვრება დაგავიწყოს. ხანდახან ოცნებასაც მიეცი არსებობის უფლება;
- ყოველთვის იქონიე სათადარიგო თოკი, ვინ იცის, რაში გამოგადგება;
- თუ ფულის გაორმაგება გსურს, ორად გაყავი და სხვადასხვა ჯიბეში ჩაიწყვე ეს ყველაზე საუკეთესო ვარიანტია;
- არასოდეს გაუშვა ხელიდან შანსი, იყო ჩუმად;
- ორი მშრალი მორი ერთ ნედლ შეშას დაწვავს;
- ვითარებიდან გამომდინარე, ცხვრის ქურდობაზე შეიძლება დახუჭო თვალი, მაგრამ ცხენის მოპარვაზე — არასოდეს;

## ველური დასავლეთის ათი ყველაზე ცნობილი განფაიტერი (GUN — თოფი, FAITER — მებრძოლი)

1) **ჯონ ვესლი ჰარდინი.** ოფიციალური ცნობებით, ამ განფაიტერმა ოცი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს, ისე კი ვარაუდობენ, რომ ორმოცდაათი კაცი მაინც ჰყავს მოკლული;

2) **ჯეიმს ბატლერი, „ველური ბილი" ჰიჩკოკი.** „ველური ბილი" ჰარდინივით სასტიკი კი იყო, მაგრამ ამდენი კაცი არ მოუკლავს;

3) **ჰენრი მაკკარტი,** მეტსახელად ჰენრი ანტრიმი, უილიამ ბონი, უმცროსი ბილი. სხვადასხვა ცნობის მიხედვით, მოკლა ათიოდე კაცი. თავად ძალზე ახალგაზრდა გარდაიცვალა, რის გამოც სრულად ვერ გამოავლინა თავისი „პოტენციალი".

4) **პეტ გარეტი.** როგორც კანონის დამცველს, ძალადობის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ მისი განფაიტერთა რიგისთვის მიკუთვნება ძნელია. მიუხედავად ამისა, ის ყველაზე გამოცდილი განფაიტერი იყო ველურ დასავლეთში. არასოდეს დაუხევია უკან. სახელი მას „უმცროსი ბილის" მკვლელობამ გაუთქვა.

5) **დალას სტუდენმაიერი** ნამდვილი ფსიქოპათი და დუელების ფანატიკურად მოყვარული იყო. ბრძოლით ყოველთვის სამართლიანად და წესების დაცვით იბრძოდა: მოწინააღმდეგეს პირველ შანსს აძლევდა, შემდეგ კი კლავდა.

6) **უაიტ ერპი.** სკანდალური სახელი, ძირითადად, OK კორალიში მომხდარმა კოვბოების 30-წამიანმა შეტაკებამ მოუპოვა. გარდა ამისა, ველურ დასავლეთში საკმაოდ ბევრი ცნობილი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.

7) **ჯონ ჰენრი „დოკ" ჰოლიდეი.** OK კორალის შეტაკების ერთ-ერთი მონაწილე. შესაძლოა, მოკლა კიდეც რამდენიმე კაცი, მაგრამ მისი პოპულარობა ადამიანებისადმი თავისებური დამოკიდებულებით უფრო იყო გამოწვეული. ტუბერკულოზით დაავადებული ჰოლიდეი კაცთმოძულე იყო და „ვესტერნ-სიცოცხლე" მეტსახელით — „მოსიარულე ცხედრით" გაატარა.

8) **კლეი ელისონი.** მორიგი მკვლელობის შემდეგ სინდისი სულაც არ ქენჯნიდა. დროის უმეტეს ნაწილს თავის ფერმაში ატარებდა.

9) **ჯონ კინგ ფიშერი.** ამ ტეხასელს ერთი უჩვეულო „ნიჭი" ჰქონდა, — ყველა აყალმაყალში ის იყო ჩართული, მაგრამ ყოველ ჯერზე უვნებელი რჩებოდა. თუმცა 1884 წლის 11 მარტს ბედმა მაინც უმტყუნა.

10) **ჯიმ მილერი** ნამდვილი კილერი, განფაიტერი იყო. იგი მსხვერპლს ჯერ მიიტყუებდა და მერე დაუნდობლად კლავდა. მილერი ჩამოახრჩვეს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოვბოების კოდექსი

- პატრონსებთან არ თამაშობენ, მათთან ქორწინდებიან;
- როდესაც დანიშნულების ადგილს მიაღწევ, პირველ რიგში ცხენზე იზრუნე;
- არავის უყვარს გაწუწული ძაღლის მასპინძლობა;
- ერთსა და იმავე წყალში ორჯერ ვერ შეხვალ;
- სიმართლესთან ახლოს მდგარი ამბავი, როგორც ახლოს უნდა იყოს მასთან, მაინც არ არის სრული ჭეშმარიტება;
- ნუ განაწყენდები მათზე, ვინც შენზე მეტი იციან, მათ ამაში ბრალი არ მიუძღვით;
- შენს პრობლემებზე ყველასთან ნუ ილაპარაკებ, რადგან ადამიანების ერთი ნაწილი გულგრილად მიიღებს, მეორე ნაწილს კი გაუხარდება;
- ნუ მოსთხოვ მეგობრებს შესაძლებელზე მეტს;
- ძნელია ისეთი ცხენის პოვნა, რომელზეც ყველა იტყვის, რომ ის საუკეთესოა;
- სჯობია ცხენზე უსაქმოდ იჯდე, ვიდრე უაზრო ქმნებით გადაღალო;
- გაილვიძებ თუ არა, პირველ რიგში ქუდი დაიხურე;
- ნუ გაეხუმრები ხარებსა და მზარეულებს, მათ ხომ იუმორის გრძნობა არ აქვთ;
- უკბილო ხუმრობას ყველაზე დიდ ტყუილზე მეტად შეუძლია შეგილახოს რეპუტაცია;
- ხანგრძლივი საუბარი მხოლოდ ჭკუისა და განათლების ნიშანი არ არის;
- ნუ აჰყვები კამათში ნებისმიერს. ის მხოლოდ იმიტომ გითრევს საუბარში, რომ იცის ის, რაც არ იცი შენ;
- ცივსისხლიანი და ძლიერი ნერვები ყოველთვის სჯობია უბრალო სისწრაფეს. გამოთვალე და გამოჰკარი ჩახმახს ერთხელ — ეს საკმარისია;
- არასოდეს გახვიდე გარეთ საუზმის გარეშე, ხოლო თუ საქმე მოითხოვს, ჯერ შეჭამე და მხოლოდ ამის შემდეგ გაუდექი გზას;
- თუ გინდა უსიამოვნებები დაივიწყო — გაისეირნე;
- მჯროლელს ყოველთვის იცნობ სიარულის მანერით;
- ყველაზე დაუნდობელი არსებები ქალაქში ცხოვრობენ.

# როდეო

სპორტული ასპარეზობა როდეო ორიგინალური ექსტრემალური შოუა. ისევე როგორც სხვა ნებისმიერ სპორტულ მიმდინარეობას, როდეოსაც აქვს სლენგი და ტექნიკური ტერმინოლოგია. მათ გვერდს ვერ ავუვლით, ამიტომაც განმარტებებსაც დავურთავთ თან.



დღეს პროფესიონალ როდეოს გამორჩეული ადგილი აქვს დამკვიდრებული საცხენოსნო სპორტში. როდეო ამერიკის ველური დასავლეთის ყოველდღიურობიდან იღებს სათავეს. დღეს ეს ამერიკული ფენომენი უკვე გასცდა სამშობლოს საზღვრებს და საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. კანადაში, მექსიკაში, ბრაზილიაში, არგენტინასა და ავსტრალიაში ყოველ წელს იმართება როდეო-შოუები. როდეო შემოღობილ, ქვიშისგრუნტიან არენაზე ეწყობა. არენა შეიძლება იყოს ღია ცის ქვეშ ან შენობაში.



როდეოს ისტორია 1700 წლის იწყება. ესპანელი მესაქონლეების სამოსიდან, სამეტყველო ენიდან და ტრადიციებიდან ბევრი რამ გადაიღეს ამერიკელმა კოვბოებმა. სიტყვა „როდეო" ესპანური როდეარ-იდან მომდინარეობს, რაც „გარს შემორტყმას" ნიშნავს. მესაქონლეობის განვითარება მოითხოვდა ოსტატ მხედარ-მწყემსებს. მისიების უმრავლესობათა მეთაურები გამოცდილი მესაქონლეები იყვნენ, რომლებიც მარჯვედ ხმარობდნენ ქამანდს. კოვბოის (მაშინ მათ ესპანური წარმოშობის სიტყვა – ვაკერო ეწოდებოდათ) ქამანდის ხმარება, ცხენების გახედნა და, საერთოდ, საქონლის მოვლა უნდა სცოდნოდა.

გასაკვირი არ არის, რომ სწორედ რუტინული სამუშაო გახდა როდეოსა და ისეთი ასპარეზობების საფუძველი, როგორიცაა ხარის დაჭერა, ცხენის გახედნა და ა.შ.

### ვესტერნის დაბადება

XIX საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრები დასავლეთით კიდევ უფრო გაფართოვდა. ახლოსავლელები ესპანელებსა და მექსიკელებს დაუახლოვდნენ. ტეხასელმა კოვბოებმა ნახირის მოვლის დასავლური წესები გადმოიღეს. 1848 წელს მექსიკის საკმაოდ დიდი ტერიტორია ამერიკის ნაწილი გახდა და ბევრმა ვაკერომ ამერიკელ ფერმერებთან დაიწყო მუშაობა.

ახალი ტერიტორიების ათვისებამ ხელი შეუწყო მსხვილფეხა მესაქონლეობის განვითარებას. მეცხოველეობის ბუმმა ამერიკაში პიკს მიაღწია სამოქალაქო ომის შემდეგ.

ეს დრო კოვბოების ოქროს ხანად ითვლება.

მოცალეობის ჟამს კოვბოები შეჯიბრებებს აწყობდნენ, – ვინ იყო საუკეთესო მხედარი, ვინ უფრო ოსტატურად ისროდა ქამანდს ან უკეთესი მენახირე იყო. სწორედ ამგვარი თავშესაქცევიდან წარმოიშვა როდეო.

### ეკლიანი მავთული და ველური დასავლეთის შოუ

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს რკინიგზისა და ეკლიანი მავთულის ექსპანსიამ ნახირის ვრცელ ტერიტორიებზე გადარეკვისა და ტვირთდასაცლელ ბაზებზე მენახირების აუცილებლობა შეამცირა. მიწები დანაწილდა მის ბინადრებსა და კოლონიზატორებს შორის. შემცირდა კოვბოების სამუშაოც და ბევრი მათგანი ახალშექმნილი ველური დასავლეთის შოუს მონაწილე გახდა.

შოუები თეატრალური სანახაობისა და ასპარეზობების ნაზავი იყო. თანამედროვე როდეოს პოპულარობაც სწორედ ველური დასავლეთის სულისკვეთებით შექმნილი სანახაობებითაა ნაკარნახები.

### კოვბოების შერკინება

ამ დროს კოვბოები უკვე აწყობდნენ შეჯიბრებებს, რომლებზეც დასასწრებად მაყურებელს ფული უნდა გადაეხადა. პატარა ქალაქებში წელიწადში ერთხელ ცხენების ბაზრობა იმართებოდა. ამას როდეოს უწოდებდნენ, სადაც კოვბოები ხშირად მთავარ როლს ასრულებდნენ.

ორივე სახის სანახაობრივმა ღონისძიებამ კოვბოებს, როგორც კლასიკური ფორმაციის, ხელი შეუწყო და სიცოცხლე შეუნარჩუნა. გავიდოდა ხანი და ველური დასავლეთის შოუ სიძვირის გამო ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა, ამიტომ ბიზნესმენებმა იაფფასიანი კოვბოების ასპარეზობების მოწყობა დაიწყეს. სწორედ კოვბოების შეჯიბრებების ცხენების შოუსთან გაერთიანებამ წარმოქმნა RODEO.

რა თქმა უნდა, მაყურებელს სანახაობაზე დასასწრებად ფული უნდა გადაეხადა, კოვბოებსაც კი განსაზღვრული თანხა უნდა შეეტანათ მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. ამით გროვდებოდა საპრიზო ფონდი.

კოვბოები კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ახლა მათ შეეძლოთ ქალაქიდან ქალაქში არა მხოლოდ ახალი სამუშაოს საძებნელად გადასულიყვნენ, არამედ ეცხოვრათ მხოლოდ და მხოლოდ როდეოში მონაწილეობის ხარჯზე.

სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო იყო ახალი და საერთო წესების შემოღება, რაც კოვბოებისა და ცხოველების უსაფრთხოების უზრუნველყოფდა.

1929 წელს პოპულარული როდეოების ორგანიზატორებმა შეიმუშავეს ძირითადი წესები. შეიქმნა ამერიკული როდეოს ასოციაციაც. მისი წყალობით შესაძლებელი გახდა თითოეული გამარჯვებულის აღრიცხვა და დოკუმენტირება, მაგრამ ჰქონდათ პრობლემე-



















ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც, – უფრო ხშირად მსაჯების მოსყიდვა, საპრიზო თანხაც იმაზე გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე შეჯიბრებამდე ასახელებდნენ.

1936 წელს როდეოს ისტორიაში გადამწყვეტი მოვლენა მოხდა. დაახლოებით კოვბოები „ბოსტონ გარდენ როდეოს“ მსვლელობისას აუჯანყდნენ პრომოუტერს, რომელმაც უარი თქვა შოუს რეკლამირებასა და პირველი შესატანის საპრიზო ფონდში ჩარიცხვაზე. შეჯიბრება დაწყებული იყო, როცა კოვბოებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს როდეო.

მალე კოვბოებმა ჩამოაყალიბეს „კუ კოვბოების ასოციაცია“. ეს სახელწოდება ახირებად არ ჩათვალოთ, – კოვბოი თავს სწორედ კუს უწოდებდა ხოლმე. ორგანიზაციამ სახელწოდება 1945 წელს შეიცვალა და დაერქვა „როდეოს კოვბოების ასოციაცია“. ამ დროიდან ჩაისახა თანამედროვე როდეო-სპორტი.

როდეოში არსებობს კვალიფიკაციის სხვადასხვა დონე: the high school და college. არსებობს ასევე ბავშვთა და მოზარდთა საფეხურიც, – national little britches rodeo association.

1975 წელს „როდეოს კოვბოების ასოციაციამ“ კვლავ შეიცვალა სახელი, – მას „როდეოს კოვბოების პროფესიული ასოციაცია“, ანუ შემოკლებით PRCA უწოდეს. ის აშშ-სა და კანადაში სანქცირებულ ყველაზე მსხვილ ორგანიზაციად იქცა. როდეოს ნაციონალური ფინალური თამაშები, როგორც PRCA-ის საქმიანობის შემაჯამებელი მოვლენა, ჯერ ქალაქ ოკლაჰომა-სიტიში იმართებოდა, ახლა კი ლას-ვეგასში ეწყობა.

როდეო კოვბოებს არა მხოლოდ ოსტატობის გამოვლინების საშუალებას აძლევს, არამედ სთავაზობს ცხოვრების განსაზღვრულ სტილსაც. როდეო ნამდვილ სპორტულ ასპარეზობად იქცა.

საპრიზო ფულადი ფონდი გროვდება პირველადი შენატანებითა და სპონსორთა თანხებით, ჯილდო კი ხშირად ქამრის ბალთაა. ხშირად აწესებენ ისეთ პრიზებს, როგორიცაა: უნაგირი, ცხენების გადასაყვანი ტრაილერები და ავტომანქანები.

როდეო უნიკალური ღონისძიებაა, რომელიც შედგება სხვადასხვა სპორტული ასპარეზობისაგან, თითოეულს აქვს თავისი სტილი, წესები და მოთხოვნები. ქვემოთ ჩამოთვლილი შვიდი სახეობა პროფესიული როდეოსათვის სტანდარტს წარმოადგენს. ესენია:

* bareback riding – ცხენის გახედვნა უნაგირის გარეშე;
* steer wrestling – ახალგაზრდა ხარის დაჭერა;
* team roping – ქამანდით ჯგუფური მუშაობა;
* saddle bronc – კვიცის გახედნა;
* tie-down roping – ხარის ქამანდით დაჭერა;




* barrel racing – კასრების გარშემო ჭენება;
* bull riding – ხარის გახედნა.

შვიდი სახეობა იყოფა კიდევ ორ კატეგორიად: სჯადი (bareback, saddle bronc, bull riding) და ამოცანის შესასრულებლად დახარჯული დროის მიხედვით (steer wrestling, barrel racing, tie-down and team roping).

ერთი და იგივე ცხენები და ხარები, როგორც წესი, არენაზე დღეში მხოლოდ ერთხელ გამოდიან. სპორტსმენის თითოეულ გამოსვლას go-round ეწოდება. ზოგიერთი როდეო ასპარეზობებს რამდენიმე დღეზე ანაწილებს, ასე რომ, ღონისძიება შეიძლება ერთი კვირაც კი გაგრძელდეს. ასეთ შემთხვევაში მონაწილეებს საშუალება ეძლევათ არენაზე რამდენჯერმე გამოჩნდნენ და დაჯილდოვდნენ. მთავარ პრიზს კი ყველა გამოსვლის შედეგების შეჯამების შემდეგ გადასცემენ.

მსაჯები ასპარეზობებს ერთნაირად აფასებენ სამივე სახეობაში, მაგრამ არის რიგი თავისებურებებისა ცხოველთა ასპარეზობის შეფასებაში. შეჯიბრების მონაწილე ყველა კოვბოი ცხენს ერთი ხელით უნდა მართავდეს. თავისუფალი ხელით სხეულზე, სამოსზე ან ცხოველზე შეხება დისკვალიფიკაციითა და



ქულების ანულირებით ისჯება.

ცხენზე ამხედრებულმა კოვბოიმ ქულების დასაგროვებლად 8 წამის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს წონასწორობა. საყვირის ხმა მიანიშნებს, რომ დისკვალიფიკაცია აღარ ემუქრება მონაწილეს და მისი გამოსვლა შეფასდება. ასპარეზობას აფასებს ორიდან ოთხამდე ოფიციალური მსაჯი (მსაჯთა რაოდენობა როდეოს ტიპსა და დონეზეა დამოკიდებული). ქულებს უწერენ ცხოველსაც და მოჯირითესაც. თითოეული მსაჯი აფასებს კოვბოისა და პირუტყვს 1-დან 25 ქულამდე. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 100-ს შეადგენს (თუკი ოთხი მსაჯია, ქულათა ჯამი ორად იყოფა.)

## დროის ხანგრძლივობის კატეგორიის ასპარეზობები

ეს კატეგორია წამზომით ფასდება – საუკეთესო (ყველაზე მცირე დროში შესრულებული დავალება) მაჩვენებელი იმარჯვებს. ყველა ასპარეზობა, გარდა კასრების გარშემო ჭენებისა, ბარიერით – ბაგის გასასვლელთან დაჭიმული თოკით კონტროლდება. ბარიერის ხაზის დარღვევა ჯარიმით ისჯება.

ასპარეზობის დაწყების წინ ყოველი მონაწილე მონაწილეობს წილისყრაში. ამ დროს ანაწილებენ ცხოველებს, რომლითაც უნდა იასპარეზონ სპორტსმენებმა. თანხმდება გამოსვლათა თანმიმდევრობაც. წილისყრას შემოაქვს მოულოდნელობისა და შემთხვევითობის ელემენტი როდეოში.

როდეოს პოპულარობა დღეს ძალიან დიდია და კიდევ უფრო იზრდება. სპორტის ეს სახეობა იძლევა საშუალებას, 21-ე საუკუნეში ველური დასავლეთის უკვდავი ლეგენდის თანაზიარი გახდე, როდეო ცხოველების სიყვარულსაც ასწავლის, სურვილს აღძრავს, იასპარეზო და თავი გამოიჩინო გრანდიოზულ შოუში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციხესიმაგრეების

## აღების ხელოვნება XI–XII სს საქართველოში

სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ძირითადად, ციხესიმაგრეების დაკავების ორ ხერხს გამოყოფენ: შტურმსა და პასიურ ბლოკადას. ასეთი დიფერენციაცია ნაწილობრივ მისაღებია. საქართველოს ისტორიაში ამ ხერხებით ციხესიმაგრეების გარემოცვის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი მოგვეპოვება, თუმც შესაძლებელია ამ ორ ნიშანს კიდევ ერთი დავუმატოთ, რომელიც თავისი ფორმით არ თავსდება ზემოთ მოცემულ კლასიფიკაციაში. ეს არის რაიმე ხერხით, სამხედრო ხრიკით ან მუქარით ციხის აღება. ამგვარი დიფერენციაცია არ ნიშნავს იმას, რომ გამოკვეთილად ამ სამ სამხედრო ტაქტიკურ სქემასთან გვაქვს საქმე. ხშირად გარემოცვისას შერეულ ხერხებსაც იყენებდნენ, — ხანგრძლივ ალყასთან ერთად სიმაგრეზე პერმანენტულად მიჰქონდათ იერიში, ან სასროლი მანქანებით ქვებს უშენდნენ, რაც მოსახლეობის ნებისყოფის გატეხასა და საბრძოლო რესურსების განადგურებას ისახავდა მიზნად.

ციხე-ქალაქის იერიშით აღება უკიდურესი ზომა იყო და დიდ ადამიანურ რესურსს მოითხოვდა. ამასთან, საჭირო იყო შესაბამისი ტექნიკაც, — კედლის სანგრევი მანქანები, ფილაკავანები, ტარანები და აშ.. საგანგებოდ აგებდნენ კოშკურებს, რომლიდანაც მეომრებს გალავანზე გადასვლა შეეძლოთ. თუ ამის საშუალებას არ იძლეოდა გარემო, მაშინ მეომრები იყენებდნენ გრძელ კიბეებს, რომლებიც ქონგურებამდე სწვდებოდა. ციხე-ქალაქზე იერიში მიჰქონდათ როგორც რამდენიმე მიმართულებით, ასევე გალავნის ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე. ქართულ წყაროებში იერიშით ციხის აღების მრავალი ფაქტია აღწერილი. ყველა მათგანის განხილვას არ შევუდგებით, დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს.

1122 წელს დავით აღმაშენებელმა ქალაქი თბილისი სწორედ იერიშით აიღო. როგორ ჩატარდა შტურმი, უცნობია. არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს: „ალყა შემოარტყეს თბილისს, ისინი (ქართველები) ებრძოდნენ მათ, ვინც იყო მასში (ქალაქში); ძლიერ შეავიწროეს ისინი და მისი (თბილისის) მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში ჩააგდეს. ალყა გაგრძელდა ჰიჯრის 515 წლამდე (1121/1122), როცა მათ ძალით აიღეს იგი (თბილისი)“.

1161 წელს ქართველებმა იერიშით აიღეს ქალაქი ანისიც. სომეხი მემატიანე მათეუს ურჰაეცის ცნობით, საქართველოს მეფე გიორგი III ქალაქს მიადგა ორშაბათს და ერთი დღის ბრძოლის შემდეგ აიღო კიდეც. გიორგიმ ანისში თავისი გარნიზონი ჩააყენა.

ასევე იერიშით აიღო გიორგი III-მ ქალაქი დვინი. მათეუს ურჰაეცი ამ მოვლენასაც ვრცლად აღგვიწერს: „ამავ (1162-



1163) წელს სახელოვანი ქალაქი დვინი აღებულ იქნა ქართველთა მეფის გიორგის მიერ. იგი უცხო თესლთა უკუქცეულ ლაშქარს, რომელიც ქალაქიდან მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულიყო, კვალდაკვალ მიჰყვა, ლტოლვილნი დახოცა, ხოლო გადარჩენილებს, რომლებიც ქალაქისაკენ გაბრუნდნენ, უკან გაჰყვა და ჯარითურთ, ქალაქის კარის გავლით, ქალაქში შეიჭრა“. როგორც ვხედავთ, დვინელებს ქართველთათვის ბრძოლა ქალაქის გარეთ გაუმართავთ, მაგრამ დამარცხებულან. ამის შემდეგ, გარნიზონმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. მეომრებმა ვერ მოასწრეს ქალაქის კარის ჩაკეტვა. დამარცხებული დვინელები და ქართველები ერთმანეთში ისე იყვნენ არეული, რომ მეციხოვნეებმა უნებლიეთ უკუქცეული ჯარის ნაშთებთან ერთად გიორგი III-ს რაზმებიც შეუშვეს ქალაქში.



იერიშის დაწყებამდე, მოწინააღმდეგის თავდაცვისუნარიანობის დასასუსტებლად, სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. ძირითადი ობიექტი იყო ქალაქის გალავანი, რომლის დაზიანება ციხე-ქალაქს შემომდგარ ჯარს გაუადვილებდა იერიშს. ყველაზე გავრცელებული იყო სამი ხერხი: 1. ქვის სასროლი მანქანებით, ანუ ფილაკავანებით, გალავნის დაზიანება ან დანგრევა; 2. ზღუდის გახვრეტა; 3. ქალაქის კედლის ქვეშ გვირაბის გაყვანა, რაც საძირკველს არღვევდა და გალავნის კედელი ინგრეოდა.

ერთ-ერთი ამ ხერხით 1210 წელს აიღეს ქართველებმა ქალაქი ზანგარი. მემატიანე მოგვითხრობს, რომ ქალაქის გარემოცვის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ, სარდლობის გადაწყვეტილებით, გალავნის სხვადასხვა მონაკვეთზე ქართველმა მეომრებმა „იწყეს თხრად ზღუდეთა“. პირველად მარჯვენა მხარეს მდგარმა მესხებმა გახვრიტეს კედელი და ქალაქში შეცვივდნენ.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ციხესიმაგრის აღების ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ხანგრძლივი ალყა, გარე სამყაროსგან იზოლაციის გზით გარემოცულთა წინააღმდეგობის გატეხა. ალყის ამ ფორმას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. ხანგრძლივი ალყა ადამიანური რესურსების ნაკლებ დანაკარგს ითხოვდა, მაგრამ მეორე მხრივ, გარემოცვის გაჭიანურებისას დიდ ხარჯს მოითხოვდა. ერთიანი საქართველოს დროს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკის დონე მაღალი იყო, ციხესიმაგრეთა ხანგრძლივი ალყა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ქართული წყაროების ცნობით, ხანგრძლივი ალყა შეიძლებოდა 5-6 წელიწადსაც კი გაგრძელებულიყო.

თამარის მეფობისას ივანე ახალციხელმა 1202 წლამდე მოახერხა კარის/ყარსის სამეფოს შემომტკიცება-აღება, მაგრამ თავად ქალაქი ქართველებს არ დანებდა. ალყა 5 წელზე მეტი ხანს გაგრძელდა. თამარის ისტორიკოსი ერთგან მიუთითებს, სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი „მრავლით ჟამითგან ჰბრძოდეს“ კარის ციხე-ქალაქსო. არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი საინტერესო ცნობას იძლევა: ქართველებს „დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ ალყა შემორტყმული... ავიწროებდნენ ვინც მასში იყო და იღებდნენ ამ ვილაიეთის შემოსავალს მრავალი წელი“. როგორც ვხედავთ, ალყის დროს ქართველები ადგილობრივი შემოსავლით სარგებლობდნენ და ამიტომაც ეს გარემოცვა დიდ ტვირთად არ დააწვებოდა ქვეყნის ბიუჯეტს. 1206-1207 წლების მიჯნაზე (დეკემბერი-იანვარი) კარის/ყარსის მცხოვრებლებმა ციხე თამარ მეფეს ჩააბარეს და მას მიართვეს ქალაქის კლიტენი. შედარებით ხანმოკლე იყო თბილისის ალყა ბაგრატ IV-ს მეფობისას, 1038-1040 წლებში. ხანგრძლივი ალყის დროს, ძირითადად, იკეტებოდა ქალაქში შესასვლელი მთავარი გზები და ციხე-ქალაქი ეკონომიკურ ბლოკადაში ექცეოდა. ამ შემთხვევაში ქალაქის გარშემო არსებული მთელი პერიმეტრი არ იყო დაცული და ქალაქში შესვლა-გამოსვლას იშვიათად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ. ბაგრატ IV-ს დროს თბილისის გარემოცვისას ქალაქში ჩამოვარდნილმა საშინელმა შიმშილმა აიძულა ამირა ჯაფარი ქალაქიდან გაპარულიყო. „მატიანე ქართლისას“ მინიშნებით, ამირას თანმხლებ პირებს საგანგებოდ ტივები გაუკეთებიათ, რომ მტკვრის გაყოლებით ქალაქი დაეტოვებინათ. როგორც ჩანს, თბილისის გარემოცვისას მტკვრის მონაკვეთი არ იყო საგულდაგულოდ დაცული, რითაც თბილისიდან გაპარვის მსურველებს სურდათ ესარგებლათ.

ციხე-ქალაქის გარემოცვისას ხშირად საქართველოს ლაშქარი მთლიანად კეტავდა ქალაქის მისადგომებს. აკონტროლებდნენ არა მარტო გზებს, არამედ ყველა ბილიკსა და გალავანთან მისასვლელს. როგორც ზემოთ ვთქვით, ხანგრძლივი ალყისას მიღებული იყო ციხესიმაგრეზე პატარ-პატარა იერიშების მიტანა, ხოლო იქ, სადაც რელიეფი ამის საშუალებას იძლეოდა, სასროლი მანქანებით ციხის გალავანს ქვებს დაუშენდნენ ხოლმე. თუ დამცავ კედელს შეანგრევდნენ, უკვე ადვილი იყო ქალაქში შეღწევა.

XI-XIII საუკუნეებში ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი გვაქვს. 1011-1012 წლებში ბაგრატ III-მ განძის საამიროში ილაშქრა და ციხე-ქალაქ შამქორს მიადგა. მის აუღებლად განძამდე ჩასვლა შეუძლებელი იყო. მართალია, შამქორი სწორ რელიეფზე მდებარეობს, მაგრამ მას საკმაოდ ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული პოზიცია უკავია. ციხე-ქალაქის ერთ ნაწილს, გალავანთან ერთად, მდინარე შამქორის წყალი იცავს. ამდენად, ქალაქის მთლიანი გარემოცვა საკმაოდ ძნელი იყო. ბაგრატ III-მ მიიღო საკმაოდ გონივრული გადაწყვეტილება. ქალაქს სამი მხრიდან შემოეწყო, მერე ქვის სასროლი მანქანები მიაყენა და გალავნის დანგრევა დაიწყო. „მატიანე ქართლისას“ ავტორი ამ წერს: „მცირეთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შამქორისანი“. 1044 წელს საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ ალყა შემოარტყა ანაკოფიის ციხეს. ალყამ დიდხანს გასტანა. ამასობაში ბაგრატ IV-ს დეპუტაცია,

„თბილელნი ბერნი“, ეწვია. მეფე იძულებული გახდა, აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსულიყო. ანაკოფიასთან კი აფხაზეთის ლაშქარი დატოვა ქვაბულელ ჭაჭას ძე ოთაღოს სარდლობით. მართალია, ქართულ წყაროებში მითითებული არ არის, რა ფორმით წარიმართა ანაკოფიის ალყა, მაგრამ სხვა მონაცემებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართულ ლაშქარს პერმანენტული იერიშები და ქვის სასროლი მანქანებიც გამოუყენებია. ამას ადასტურებს ანაკოფიის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერები, რომელშიც მოთხრობილია, რომ 1046 წლის დასაწყისში ბიზანტიელებს საგანგებო სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებიათ ციხის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ხანგრძლივი ალყისას დანგრეული შენობანაგებობების აღსადგენად.

1045 წელს გარდაიცვალა თბილისის ამირა ჯაფარი. მოსახლეობის წარმომადგენლებმა, რომელსაც მემატიანე „ტფილელ ბერებს“ უწოდებს, გადაწყვიტეს ქალაქი ბაგრატ IV-სათვის გადაეცათ. საქართველოს მეფემ თბილისი აიღო. წინააღმდეგობა მხოლოდ ისნის ციხემ გაუწია. ბაგრატი იძულებული გახდა, ისანს შემოწყობოდა და ფილაკავანებით გალავნის შემუსვრა დაეწყო. საბოლოოდ, ბიზანტიელთა აგრესიის გამო ბაგრატ IV-მ თბილისის შენარჩუნება ვერ შეძლო.

შუა საუკუნეებში არც ისე იშვიათად მიმართავდნენ სამხედრო ეშმაკობით ან მუქარით ქალაქის აღებას. ზოგიერთი მკვლევარი ამ წესით ქალაქის დაუფლებას არ მიიჩნევს ცალკე აღნიშვნის ღირსად, მაგრამ თუ დაწვრილებით განვიხილავთ წყაროთა მონაცემებს, დავინახავთ, რომ ასეთ შემთხვევებში აქცენტი კეთდებოდა არა ხანგრძლივ ალყაზე ანდა იერიშზე, არამედ გამოიყენებოდა სხვა ტაქტიკური ჩანაფიქრი.

1110 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო სამშვილდის ციხე. დავითის ისტორიკოსი ამ მოვლენას საკმაოდ ლაკონიურად აღწერს: „მოიპარეს სამშვილდეო“. მოვლენები ასე განვითარებულა: თურქ-სელჩუკთა ყურადღების მოსადუნებლად დავით აღმაშენებელი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამ დროს გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, კლდეკარის ერისთავი თევდორე, აბულეთ და ივანე ორბელი ფარულად მივიდნენ სამშვილდის ციხესთან და აიღეს იგი. მემატიანის ზემომოყვანილი მოკლე ფრაზა შესანიშნავად ასახავს ამ მოვლენის არსს, — ქართველებს სამხედრო ეშმაკობის წყალობით აუღიათ ციხე, ანუ „მოუპარავთ.“ სამშვილდე ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, სამხედრო თვალსაზრისით ის აუღებელ ციხედ ითვლებოდა. დღესაც სამშვილდის ნანგრევებს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. სამი მხრიდან ქალაქი დაცული იყო დიდი გალავნითა და ღრმა ხევებით. მისასვლელი ჰქონდა მხოლოდ ერთი მხრიდან, სადაც რამდენიმე ზღუდე იცავდა. ამ ციხეს მართლაც თუ „მოიპარავდი,“ სხვაგვარად მისი აღება საკმაოდ ძნელი იყო.

თამარის მეფობის დასასრულს „არდაველის სულტანმა“ სამხედრო ეშმაკობით აიღო ანისის ციხე-ქალაქი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მოგვითხრობს, რომ ანისის დაცემის ჟამს დიდმარხვის დღეები ყოფილა და ზაქარია მხარგრძელი, რომელიც ანისს ფლობდა, გეგუთში იყო მეფე თამართან. ამით უსარგებლია „არდაველის სულტანს“ და ანისამდე ფარულად მისულა. გზად „არავის ავნოო“, — დასძენს ისტორიკოსი. დიდი შაბათის მწუხრი გასულიყო და აღდგომა თენდებოდა. მეციხოვნეებმა ქალაქის კარი გააღეს, გალავნის მახლობლად ჩასაფრებულმა მტერმა დრო იხელთა და ანისში შეიჭრა. ქართველი მემატიანის თქმით, მუსლიმთა ჯარებმა საშინელი ხოცვა-ჟლეტა გამართეს ქალაქში და დიდი ალაფით სასწრაფოდ გაბრუნდნენ უკან.

ამ ვერაგულ თავდასხმას ლაშქრობითვე უპასუხა საქართველომ. ერთი წლის შემდეგ ზაქარია მხარგრძელის სარდლობით ქართველებმა ქალაქ არდავზე/არდებილზე გაილაშქრეს, რომლის აღებისას ზუსტად იგივე ხერხი გამოიყენეს, რომელი ხერხითაც ცოტა ხნის წინ ქალაქი ანისი დაეცა. ახლოვდებოდა მუსლიმთა დღესასწაული აიდი. გამთენიისას, როდესაც ქალაქის მეჩეთებში საყოველთაო ლოცვა სრულდებოდა, ქართველებმა ქალაქ არდაველზე იერიში მიიტანეს და როგორც მემატიანე ამბობს: „უომრად ხელთ იგდეს ქალაქი“.

ციხესიმაგრის აღების ერთეული შემთხვევებია, როდესაც ციხეს შემომდგარი სამხედრო ნაწილები ქალაქს იღებდნენ არა შტურმით ან ხანგრძლივი ალყით, არამედ მუქარით, უფრო სწორად, სიკვდილის მუქარით. მუქარის ობიექტი კი ყოველთვის არის ტყვედ ჩავარდნილი ციხე-ქალაქის პატრონი. დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს: 1046 წელს, არყისციხესთან განცდილი მარცხის შემდეგ, ლიპარიტ ბაღვაშს ტყვედ ჩაუვარდა სულა კალმახის ერისთავი და გრიგოლ აბუსერის ძე, არტანუჯის ერისთავი. ლიპარიტი კალმახის და არტანუჯის აღებას მათი მფლობელების „მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა“ შეეცადა. 1055 წლისათვის იგივე ბედი ეწია თავად ლიპარიტ ბაღვაშსაც, როდესაც იგი და მისი ვაჟი ივანე, ბაგრატ IV-მ კლდეკარის ციხესთან ძელზე გასვა. ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი ანამორი იძულებული გახდა კლდეკარი საქართველოს მეფისათვის გადაეცა.

მოგვიანებით, ბაგრატ IV-მ ეს მეთოდი გამოიყენა სამშვილდის ციხის აღებისასაც, როდესაც ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე გაასმევინა ძელზე. სამი დღის შემდეგ სამშვილდის გარნიზონი დანებდა და ქალაქი ბაგრატს ჩააბარეს.

ამდენად, XI–XII საუკუნის საქართველოში ციხე-ქალაქების ასაღებად სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. ქართველებისთვის ცნობილი იყო ყველა ის სამხედრო საშუალება, რომელთაც იყენებდა ცივილიზებული მსოფლიო. ეს მიუთითებს საქართველოში სამხედრო ხელოვნების მაღალ დონეზე.

*ჯაბა სამუშია*



# ძველი დროის ყველაზე მამაცი მეზღვაურები

ხმელთაშუაზღვისპირეთში მცხოვრები ძველი ეგვიპტელების, ფინიკიელების, ბერძნების, რომაელებისა თუ სხვათა დამსახურებით ზღვაოსნობამ უზარმაზარი ნახტომი გააკეთა: უბრალო სამდინარო მცურავი საშუალება ნელ-ნელა გადაიქცა იმ ხომალდად, რომლითაც უძველეს დროში ადამიანები ოკეანეში ცურვასაც კი არ ეპუებოდნენ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინ ხმელთაშუა ზღვაში ბატონობა თანდათან ფინიკიელთა ხელში გადავიდა, რითაც დასრულდა ძველი ეგვიპტისა და კრეტის საზღვაო ძლიერების ხანა.

ფინიკიას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დაახლოებით 200-კილომეტრიანი ვიწრო ზოლი ეკავა, რომელიც ახლანდელი სირიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და ლიბანს მოიცავს.

ერთიანი ფინიკიური სახელმწიფო არასოდეს შექმნილა, მაგრამ იყო ქალაქი-სახელმწიფოები, რომლებიც ხან მოკავშირეობდნენ, ხანაც მტრობდნენ ერთმანეთს. დაწინაურებულ ქალაქებად ითვლებოდა: არადოსი, კიტიონი, ბიბლოსი, სიდონი, ტვიროსი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე X საუკუნიდან პირველობა სიძლიერითა და სიმდიდრით განთქმული ტვიროსის ხელში გადავიდა.

ნაყოფიერი მიწების სიმცირისა და გემთმშენებლობისათვის ხელსაყრელი პირობების გამო, ფინიკიელებმა ზღვაოსნობით გაითქვეს სახელი. ზღვის სანაპიროს ახლოს, ლიბანის მთებში, იზრდებოდა კედარი და მუხა, რომელიც გემებისათვის შესანიშნავ მასალას იძლეოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 1500 წლამდე ფინიკიელებმა გემის კლასიკური კონსტრუქცია შექმნეს, რომლის ყველაზე ადრეული გამოსახულება ფივას აკლდამებზეა შემორჩენილი. ის ძალიან წააგავს ეგვიპტელთა გემებს ცხვირსა და კიჩოზე ფართო ჩარდახით, აჟურული ფალშბორტით, პატარა წყალჯდომით. ფორშტევენი მაღლაა აწეული, წყალზეა გადმოკიდებული და ცხენის თავის სტილიზებული გამოსახულებით მთავრდება, ახტერშტევენს კი თევზის კუდი აბოლოებს.



ძალიან დიდხანს ხმელთაშუა ზღვაში ფინიკიელ ვაჭრებს ვერავინ ეცილებოდა

ფინიკიელმა გემთმშენებლებმა ზღვაოსნობაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს, — ისეთ გემებს აგებდნენ, რომელთაც შორ მანძილებზე ცურვა და ბევრი ტვირთის გადატანა შეეძლო.

ასეთი გემი უკვე აღარ იყო ბრტყელძირა, როგორიც ძველ ეგვიპტეში შენდებოდა, და მას სიმტკიცის მოსამატებლად კილი (ხერხემალი) და გარდიგარდმო მრუდი ძელები — შპანჰოუტები ჰქონდა. ამ უკანასკნელზე კორპუსის გარსამოსის სქელი ფიცრები მაგრდებოდა.

ატარებდა ერთ ოთხკუთხა სწორ აფრას ორი რეათი და მისი დაშვება-აკეცვისათვის კანაფისაგან დაგრეხილი თოკები და მარტივი ბლოკები გამოიყენებოდა.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ფინიკიელებს ეკუთვნის, — წინმაყურებლისათვის ანძაზე მოწყობილი კალათა იყო. გემისათვის საჭირო მიმართულების მიცემას კიჩოზე დამაგრებული დიდი ნიჩაბი უზრუნველყოფდა, ხოლო ღუზის მოვალეობას ხის სოლები, გახვრეტილი ქვა ან ტყვიის მოზრდილი ნაჭერი ასრულებდა.

ფინიკიური სავაჭრო გემის კორპუსი ფორმით ძალიან ჩამოჰგავდა კვერცხის ნაჭუჭს და ამიტომ ასეთ გემს „მრგვალს" ეძახდნენ. იყო მსუბუქი, მოხერხებული და დიდი ტვირთამწეობით გამოირჩეოდა.

ტვირთის გადასაზიდად ტრიუმები გამოიყენებოდა, სადაც ხორბლით, ღვინით ან ზეთით გავსებული თიხის ამფორები თუ ტყავის ტიკები თავსდებოდა. ზოგჯერ თაკარა სიცხისაგან ტვირთის გადასარჩენად ტრიუმებში ზღვის წყალი ისხმებოდა. უფრო ღირებულ ტვირთს გემბანზე აწყობდნენ და მას ხის ცხაურით გამოყოფდნენ. გემის ცხვირზე იდგა დიდი ჭურჭელი სასმელი წყლით.

ფინიკიური სავაჭრო გემების კონსტრუქცია თანდათან იხვეწებოდა და ბოლოს მისმა სიგრძემ 25-30 მეტრს, სიგანემ კი 8-10 მეტრს მიაღწია, ეკიპაჟი 20-30 კაცს ითვლიდა. ძვირად ღირებული ტვირთის დასაცავად ეკიპაჟს დამატებით კიდევ 25-მდე დაქირავებული მეომარი-მეისრე ემატებოდა.

ზღვაოსნობისა და ფლოტის განვითარებისათვის ფინიკიას დიდ სტიმულს ხელოსნობა აძლევდა.

ფინიკიის ქალაქებში დამზადებული ქსოვილები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, იარაღი, ბრინჯაოსა და სპილენძის, მინის ჭურჭელი და სამკაულები მრავალ ქვეყანაში იგზავნებოდა. ფინიკიელებმა პირველებმა დაიწყეს მინისაგან სამკაულების, ჭურჭლისა და სარკეების დამზადება.

თურქეთში, ბოდრუმის წყალქვეშა არქეოლოგიის მუზეუმში, დაცულია თურქეთის სანაპიროსთან ნაპოვნი ფინიკიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო გემის ნაშთები, რომლის ბორტზეც ნაპოვნი იქნა 8 ქვის ლუზა, წონით 300-დან 400 კილოგრამი, 150 სპილენძის ლუგვი საერთო წონით 6 ტონა, ამფორები, ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ნივთები, მოცისფრო კობალტის მინის ნაწარმი, კალის ლუგვები და ა.შ.

ვაჭრობასთან ერთად ფინიკიელები ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებს შორის სავაჭრო შუამავლების როლსაც ითავსებდნენ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეში ფინიკიელებმა ზღვაოსნობასა და გემთმშენებლობაში დიდ წარმატებას მიაღწიეს, ხოლო ფლოტს ოთხას წელზე მეტხანს ხმელთაშუა ზღვაში ვერავინ ეცილებოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნის ბოლოს ფინიკია ასირიის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. ასირია სახმელეთო ქვეყანა იყო და ზღვაზე ფინიკიელთა ბატონობისათვის ხელის შეშლის ძალა არ შესწევდა.

მეზობელი ქვეყნების შემოჭრის მუდმივი საშიშროება და ჭარბი მოსახლეობა ფინიკიელებს შორეული ქვეყნებისაკენ ცურვას აიძულებდა. დაცურავდნენ ხმელთაშუა, წითელ და შავ ზღვებში.



ფინიკიელთა სამხედრო ხომალდი ტარანით მრისხანე ძალას წარმოადგენდა

პირველნი იყვნენ, ვინც გიბრალტარის სრუტის გავლით ატლანტის ოკეანეში გასვლა შეძლეს. ჩავიდნენ ბრიტანეთში, საიდანაც კალა, ხოლო ბალტიის ზღვის სანაპიროდან ქარვა წამოიღეს. შემოუარეს აფრიკას და ინდოეთს მიაღწიეს.

შორეულ ნაოსნობებს, რომლებიც ზოგჯერ წლობით გრძელდებოდა, თან ახლდა სხვადასხვა ადგილას კოლონიების შექმნა. კოლონიები ერთგვარი საყრდენი პუნქტების მოვალეობასაც ითავსებდნენ, რომლის გარეშე შორეული მოგზაურობები შეუძლებელი იქნებოდა. ასე გაჩნდა ფინიკიელთა კოლონიები ესპანეთში, იტალიაში, ჩრდილო აფრიკაში, სიცილიაში, კორსიკაზე, მალტაზე და სხვაგან.

იმდროინდელი გემები დღეში 24-30 მილის დაფარვას ახერხებდნენ. გიბრალტარამდე მიღწევას თითქმის მთელი ზაფხული სჭირდებოდა. შემდეგ იწყებოდა გამოზამთრება, გემების გასარემონტებლად ნაპირზე ამოწევა. გაზაფხულის დადგომასთან ერთად მოგზაურობის ახალი ეტაპი იწყებოდა.

ნაოსნობის დროს ფინიკიელები ვაჭრობას მეკობრეობასაც უთავსებდნენ და სხვა ქვეყნების გემებს არ ინდობდნენ, ხოლო დატყვევებულ ეკიპაჟსა და მგზავრებს მონობა ელოდა. ცნობილია, რომ ფინიკიელები შავ ზღვაშიც დაცურავდნენ და კავკასიიდან მონები მიჰყავდათ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე X საუკუნის შემდეგ ფინიკიელთა ფლოტში სპეციალური საბრძოლო ხომალდი გამოჩნდა. ის სავაჭრო გემზე უფრო გრძელი და მსუბუქი იყო. სამხედრო ხომალდს ქარის მიმართულებისაგან დამოუკიდებლად, ნებისმიერ ამინდში ცურვა უნდა შესძლებოდა, ამიტომ მთავარ მამოძრავებელ ძალას მენიჩბეები წარმოადგენდნენ. ნიჩბების გარეშე შეუძლებელი იყო პორტებსა და მდინარეების შესართავებში ცურვა, თუმცა ზურგის ქარში აფრით სარგებლობდნენ.

ხომალდის ბორტების გასწვრივ ერთრიგად მენიჩბეები ისხდნენ. კიჩოსა და ცხვირზე დიდი ნიჩბები მაგრდებოდა, სწრაფად მოსაბრუნებლად და სასურველი მიმართულებით ცურვისათვის.

ხომალდის სიჩქარე მენიჩბეთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ მენიჩბეების რაოდენობის უსასრულოდ გაზრდაც არ შეიძლებოდა და მაშინ დაიწყო ორიარუსიანი ხომალდების მშენებლობა, სადაც მენიჩბეები უკვე ერთმანეთის ზევით, ჭადრაკისებურად ისხდნენ.

ასეთი ხომალდის გამოსახულება შემორჩენილია ასურეთის მეფე სინახერიბის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნე) სასახლეში, სადაც ქვედა რიგის მენიჩბეები გემბანს ქვევით, ხოლო ზედა რიგისანი კი – გემბანზე სხედან.

მენიჩბეთა მერხის ზევით მოწყობილი სპეციალური ვიწრო ფიცარნაგი მესაჭეებსა და მეომრებს ჰქონდათ დათმობილი. ფიცარნაგის ფალშბორტის გასწვრივ გარეთა მხრიდან მეომართა დაწნული ფარები მაგრდებოდა, როგორც ეს შემდგომში ვიკინგებს ჰქონდათ. ფარებს ამოფარებული მეომრები მოწინააღმდეგეს ისრებსა და ხელშუბებს ესროდნენ.

ხომალდებს მდგრადობის გასაზრდელად უკეთდებოდა კრინოლინი – მენიჩბეებისათვის განკუთვნილი ერთგვარი მოედანი, რომელიც ძირითადი კორპუსის ორივე ბორტიდან წყლის დონემდე ეშვებოდა.

ფინიკიელთა საბრძოლო ხომალდის სიგრძე 30 მეტრს, სიგანე 10 მეტრსა და წყალჯდომი კი 2 მეტრს აღწევდა.

ხომალდის გუნდი დაახლოებით 100 კაცს ითვლიდა და მასში მეომრები, ეკიპაჟი და მენიჩბეები შედიოდნენ. მეომრებად სპარსელებს, ლიბიელებსა და ლიდიელებს ქირაობდნენ. მენიჩბეებად მეტწილად მონები მსახურობდნენ, ხოლო ხომალდის მართვას ფინიკიელები სხვას არავის ანდობდნენ.

გემთმშენებლობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა ფლოტის გამოყენების ფორმები.

არის მოსაზრება, რომ პირველი საზღვაო ბრძოლების დროს დაპირისპირებული მხარეები გემის ბორტთან მიდგომას ცდილობდნენ და ამის შემდეგ საქმეში მძიმედ შეიარაღებული მეომრები ერთვებოდნენ. საზღვაო ბრძოლა უფრო ზედახორას ემსგავსებოდა, სადაც ბედს აბორდაჟული შეტაკებები წყვეტდა.

ფინიკიელთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ საზღვაო ბრძოლის გარკვეულ წესებში

ფინიკიური სავაჭრო ხომალდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქცევა მოახერხეს და ხომალდებისათვის მოიგონეს საფრონტო და ორმაგი საფრონტო, ანუ ნახევარმთვარისებური წყობები. გარკვეული წესით დაწყობილი ხომალდები უკეთესი მართვისა და გამოყენების პირობებს იძლეოდა და, რაც მთავარია, ეკიპაჟებს ტარანით დარტყმის შესრულების საშუალება მიეცათ.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ტარანული დარტყმის ტაქტიკა პირველად ფინიკიელებმა მოიგონეს. სინახერიბის სასახლის კედელზე შემორჩენილ გამოსახულებაზე ფინიკიური ხომალდი ფორშტევენითა და ბასრი ტარანით წყალხაზის დონეზე კარგად ჩანს.

მაგარი ხის ჯიშებისაგან დამზადებული მასიური და სპილენძით ან ბრინჯაოთი მოჭედილი, რქასავით წინ გამოშვერილი ტარანი მოწინააღმდეგეთა ხომალდების წყალქვეშა ბორტს იოლად ამსხვრევდა, თუმცა სიმაგრის მიუხედავად, ზოგჯერ დარტყმისას ტყდებოდა.

ფინიკიელთა ხელში ტარანი მრისხანე, შემტევ იარაღად გადაიქცა და მისი გამოყენება ეკიპაჟისაგან კარგ მომზადებას მოითხოვდა. როგორც ჩანს, ამ მიზნით მომზადება ერთგვარ საზღვაო სასწავლებლებში მიმდინარეობდა.

ფინიკიელთა საზღვაო ომების შესახებ ცნობები შემორჩენილი არ არის. ცნობილია, რომ ფინიკიელთა ფლოტი ემსახურებოდა ასირიას, ბაბილონს, სპარსეთს. მონაწილეობდა ასირიისა და სპარსეთის ომებში და სპარსეთის მეფის ქსერქსეს ფლოტის ძირითად ნაწილს შეადგენდა.

ძლიერი სამხედრო ფლოტი სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებასაც ხელს უწყობდა, ამიტომაც ფინიკიელი ზღვაოსნები ახალ-ახლი ბაზრების მოსაძიებლად შორეულ, გაუკვალავი მიმართულებებით ცურვასაც არ ერიდებოდნენ.

ფინიკიელებმა დიდი წვლილი შეიტანეს საზღვაო მეცნიერებაში. მათი დამსახურება არის, რომ ჰორიზონტის გარშემოწერილობა 360 გრადუსადაა დაყოფილი.

ზღვაში ცურვის დროს ხელმძღვანელობდნენ სანაპიროს დამახასიათებელი ნიშნებით, ზღვის წყლის ფერით, ფრინველების ფრენის ხასიათით, ციური სხეულების განლაგებით. მათგან არის წამოსული სახელწოდებები „ევროპა“ და „აზია“, მოიგონეს სიტყვა „გალერა“ და ა.შ.

ლიბანის კედრის ტყეების შემცირებასთან ერთად ფინიკიელ ზღვაოსანთა მნიშვნელობა ბევრად დასუსტდა და ხმელთაშუა ზღვაში პირველობა სხვა ქვეყნების ხელში გადავიდა.

*თემურ ჩაჩანიძე*

# კრეისერები და საკრეისერო ოპერაციები

ძველი დროის ფლოტებში კრეისერის კლასის საბრძოლო ხომალდები არ არსებობდა, მაგრამ იყო ტერმინი „კრეისირება“, რაც ოკეანის შორეულ რაიონებში საბრძოლო დავალების შესასრულებლად ხომალდის გაგზავნას ნიშნავდა. ასეთი ხომალდის ფუნქციებში შედიოდა დაზვერვა, ინფორმაციის გადაცემა, მოწინააღმდეგის კომუნიკაციების მოშლა და სავაჭრო გემებზე თავდასხმები.

კრეისირება, როგორც საზღვაო მოქმედებათა ერთ-ერთ სახე, სამხედრო ფლოტებმა პირველად XVII საუკუნეში გამოიყენეს და მას შემდეგ ის საკმაოდ გავრცელდა.

მაშინდელი ფლოტების მთავარი ძალა სახაზო ხომალდები იყო, მაგრამ ხანგრძლივ ლაშქრობაში საკრეისეროდ ძალიან დიდი, მოუქნელი და ამასთან, ძვირად ღირებული ხომალდების გაგზავნა გამართლებული არ იყო, ამიტომ არჩევანი უფრო პატარა და სწრაფ ფრეგატებზე, კორვეტებსა და შლუპებზე კეთდებოდა.

კრეისერის კლასის პირველი საბრძოლო ხომალდი XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა და როგორც ეფექტიანმა საშუალებამ რაღაც ათ წელიწადში ყველა წამყვანი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტში თავისი ადგილი დაიკავა.

ამერიკის სამოქალაქო ომში (1861-65 წლები) საზღვაო კომუნიკაციებზე ბრძოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რისთვისაც დაპირისპირებული მხარეები საზღვაო ბლოკადასა და სავაჭრო გემების დაკავებებს მიმართავდნენ.

ჩრდილოელებმა ამ გზით დიდ წარმატებას მიაღწიეს და სამხრეთელებს ბრიტანეთთან საზღვაო-სავაჭრო კომუნიკაციები მთლიანად გადაუკეტეს.

ცნობილი გერმანელი საზღვაო ისტორიკოსი, გადამდგარი პირველი რანგის კაპიტანი ალფრედ შტენცელი წერდა: „საზღვაო ბლოკადამ სამხრეთელთა წინააღმდეგობა იმდენად დაასუსტა, რომ ჩრდილოელთა არმიამ გამარჯვების მიღწევა იოლად შეძლო“.

თავის მხრივ, არც სამხრეთელები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი და ჩრდილოელთა საზღვაო კომუნიკაციებზე კრეისირებისათვის ხომალდი ინგლისს შეუკვეთეს.

1862 წლის 24 აგვისტოს 1040 ტონა წყალწყვის ბარკენტინა „ალაბამაზე“ სამხრეთის კონფედერაციის შტატების დროშა აღიმართა. ორთქლის ძრავითა და იალქნებით აღჭურვილი ხომალდის შეიარაღებაში შედიოდა: ერთი 152 მმ-იანი კუთხვილიანი და ექვსი 32-გირვანქიანი გლუვლულიანი ქვემეხი, ერთი 204 მმ-იანი გლუვლულიანი ბომბსატყორცნი. ეკიპაჟი 120-137 კაცს ითვლიდა.

„ალაბამას“ სამოქმედო არეალი საკმაოდ ვრცელი გამოდგა, რომელმაც მოიცვა ჩრდილო ატლანტიკა, კარიბის ზღვა, მექსიკის ყურე, სამხრეთ ატლანტიკა, ინდოეთის ოკეანე, ინდოეთისა და აფრიკის სანაპიროები.

„ალაბამამ“ ჩრდილოელთა სავაჭრო კავშირებს იმდენად დიდი პრობლემები შეუქმნა, რომ მას 15-ზე მეტი სამხედრო ხომალდი დაეძებდა.

შერბურში სარემონტოდ შესულ „ალაბამას“ 1864 წლის 19 ივნისს, პორტიდან გამოსვლისას, ჩრდილოელთა 1550 ტონა წყალწყვის შლუპი „კირსარჯი“ (ორი 279 მმ-იანი დალიგრენისა და ოთხი 32-გირვანქიანი გლუვლულიანი, ერთი 30-გირვანქიანი კუთხვილიანი ქვემეხი) დახვდა. საათნახევარიან ბრძოლაში „კირსარჯმა“ უფრო სწრაფმსროლელი არტილერიით მოწინააღმდეგის ჩაძირვა შეძლო და სამხრეთელთა სახელგანთქმულ ხომალდზე გამარჯვებას მიაღწია.

თითქმის ორწლიან კრეისირებაში „ალაბამამ“ 68 სავაჭრო გემის დაკავება მოახერხა და 53 ჩაძირა. სამხრეთელთა მეორე კრეისერმა „სემტერმა“ მხოლოდ 18 გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის განადგურება შეძლო.

„ალაბამა“ სავაჭრო გემად შენიღბული მოქმედებდა, ამიტომ ჟენევაში საერთაშორისო სასამართლომ ინგლისი დამნაშავედ ცნო და ამერიკის მთავრობის სასარგებლოდ 15,5 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

სამხრეთელთა ორი ხომალდის კრეისირებამ ზღვაზე ომის საერთაშორისოსამართლებრივ ასპექტებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა, ხელი შეუწყო საკრეისერო ოპერაციებზე შეხედულებათა ჩამოყალიბებას და სპეციალური საკრეისერო ძალების შექმნას.

გაჩნდა ერთმნიშვნელოვანი მოსაზრება, რომ კრეისირება სავაჭრო ნაოსნობის მოშლის ეფექტიანი საშუალება გახდებოდა, ხოლო ალკვეთას რაოდენობრივად ბევრად მეტი და თანაც მსხვილი ძალები დასჭირდებოდა.

ამრიგად, კრეისერების გამოჩენის მთავარი მიზეზი საზღვაო კომუნიკაციებზე ბრძოლა გახდა. ამ შეხედულებამ ხელი შეუწყო კრეისირების დოქტრინის ჩამოყალიბებას, რომლითაც გერმანიის ფლოტი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში ხელმძღვანელობდა.

რკინისაგან აგებული პირველი კრეისერი „ინკონსტენტი“ ინგლისელებმა მწყობრში 1868 წელს ჩააყენეს. 5800 ტონა წყალწყვის ხომალდის შეიარაღებაში ათი 229 მმ-იანი და ექვსი 176 მმ-იანი ქვემეხი შევიდა. სიჩქარე 16 კვანძს აღწევდა. ხომალდზე 7360 ცხენის ძალის მქონე ორთქლის მანქანასთან ერთად, ჯერ ისევ რჩებოდა იალქნიანი აღჭურვილობა, რომელიც სამოქმედო რადიუსის გაზრდის მიზნით დარჩა. მალე „ინკონსტენტს“ კიდევ ორი მსგავსი ხომალდი „რელეი“ და „შაჰი“ დაემატა.



ამერიკის სამოქალაქო ომის სამხრეთელთა ყველაზე სახელგანთქმული კრეისერი „ალაბამა“

ახალაგებულ კრეისერებში ყურადღება სიჩქარისა და საცეცხლე ძალის გაზრდაზე იყო გამახვილებული, რომელსაც სავაჭრო გემებთან ბრძოლაში წარმატება უნდა მოეტანა.

ბრიტანეთი ორი სახის კრეისერებს აგებდა: პირველი რანგის, ანუ საოკეანო კრეისერების წყალწყვა 5000-7000 ტონა და სიჩქარე 14-16 კვანძი იყო, ხოლო არტილერიას 165 მმ-დან 254 მმ-მდე კალიბრის ქვემეხები წარმოადგენდა. ასეთი კრეისერების დანიშნულება მოწინააღმდეგის საზღვაო კომუნიკაციების მოშლა და საკუთარის დაცვა იყო.

მეორე რანგის კრეისერების წყალწყვა 2000-3500 ტონა და სიჩქარე 15-17 კვანძი იყო. შეიარაღებაში 152 მმ-დან 178 მმ-მდე კალიბრის ქვემეხები შედიოდა. დანიშნულება დაზვერვა და საპატრულო სამსახური იყო.

კრეისერების სრულიად განსხვავებული კლასიფიკაცია ჰქონდა საფრანგეთის ფლოტს. პირველი კლასის კრეისერები ფრეგატებს, მეორე – კორვეტებს და მესამე – ავიზოებს მოიცავდა. მოგვიანებით მეოთხე კლასში სანაღმო კრეისერები გაერთიანდა.

პირველი კრეისერები ჯავშნის გარეშე იგებოდა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ნაწილები: საბრძოლო მასალების საცავი, ორთქლის ქვაბები და მანქანა ყველაზე საიმედო ადგილზე, – წყალხაზის ქვევით თავსდებოდა, გვერდებიდან ქვანახშირის ორმოები ფარავდა.

ერთმა საზღვაო ბრძოლამ კი ამ შეხედულების გადახედვა და სათანადო კონსტრუქციული ცვლილებების აუცილებლობა მოიტანა. 1877 წლის 29 მაისს, ჩილეს ქალაქ ილოს მახლობლად, ბრიტანულმა კრეისერმა „შაჰმა“ და კორვეტმა „ამეთისტმა“ პერუელთა მონიტორ „გუასკარს“ 70 ჭურვი მოარტყეს, მაგრამ მისი ჩაძირვა მაინც ვერ შეძლეს. პატარა და წყალში ღრმად ჩამჯდარი „გუასკარი“ დალუპვისაგან დაჯავშნულმა გემბანმა იხსნა.

მშვიდობიან სავაჭრო გემებთან ბრძოლა დაჯავშნულ ხომალდებს არ მოითხოვდა, მაგრამ საზღვაო ბრძოლა ასეთ ხომალდს გადარჩენის შანსს არ უტოვებდა.



ბრიტანული სახაზო კრეისერი „თაიგერი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრეისერების დაჯავშნის იდეა რუსეთში დაიბადა და ის ვიცე-ადმირალ ანდრეი პოპოვს ეკუთვნის. დაჯავშნული კრეისერები შორეული აღმოსავლეთისათვის იყო საჭირო, სადაც იაპონიის ფლოტი ძალას იკრებდა და რუსეთთან მომავალი ბატალიებისათვის ემზადებოდა.

პოპოვის პროექტით, კორვეტებს „გენერალ-ადმირალსა" და „ალექსანდრ ნევსკის" წყალხაზის დონეზე 152 მმ-იანი ჯავშნის სარტყელი და გემბანს 13 მმ-იანი ჯავშანი გაუკეთდა.

ბრიტანელებმა პირველი დაჯავშნული კრეისერი „ქომუსი" მწყობრში 1878 წელს ჩააყენეს. ხომალდს წყალხაზის ქვევით 38 მმ-იანი ჯავშნის სარტყელი გაუკეთდა. 2380 ტონა წყალწყვის ხომალდის შეიარაღებაში ოთხი 152 მმ-იანი და რვა 64-გირვანქიანი ქვემეხი შევიდა. სამეფო ფლოტისათვის 1878-81 წლებში „ქომიუსის" სერიის 11 ხომალდი აიგო.

ამგვარი დაჯავშნა საკმარის დაცვას არ უზრუნველყოფდა და 1880 წელს, ბრიტანეთის საადმირალოს მოთხოვნით, საფუძველი ჩაეყარა „არეტუზას" სერიის ოთხ ჯავშანგემბანიან კრეისერს.

კრეისერის გემბანს 37 მმ-იანი ჯავშანი მხოლოდ შუა ნაწილამდე ფარავდა, რაც საკმარისი არ იყო. სამაგიეროდ, „არეტუზა" თავის 4300 ტონა წყალწყვასთან შედარებით ძლიერ და მრავალფეროვან შეიარაღებას ფლობდა: ათი 152 მმ-იანი, 4 სწრაფმსროლელი და 2 მსუბუქი ქვემეხი, 12 მიტრალიეზი და 4 სანაღმო აპარატი.

ორთქლის მანქანის სრულყოფასთან ერთად, სამხედრო ხომალდების იალქნებით აღჭურვამ აზრი დაკარგა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ფრანგებმა ხმელთაშუა ზღვის კრეისერების იალქნებით აღჭურვაზე უარი თქვეს და ეს ტენდენცია ნელ-ნელა საოკეანო კრეისერებზეც გავრცელდა.

გაჩნდა ზომიერი წყალწყვის, დაჯავშნული, სწრაფი და კარგად შეიარაღებული ხომალდების აგების პირობები.

პირველ ასეთ ხომალდად ბრიტანეთში 1882-83 წლებში ჩილეს ფლოტისათვის აგებული კრეისერი „ესმერალდა" ითვლება. 2880 ტონა წყალწყვის ხომალდი ორ 254 მმ-იან და ექვს 152 მმ-იან ქვემეხს ატარებდა, ხოლო გემბანს 12,,7-25,,4 მმ-იანი ჯავშანი იცავდა.

XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ინგლისელ ადმირალებს დაებადათ იდეა, რომ მომავალ ომში ჯავშნოსან კრეისერებს საზღვაო კომუნიკაციებზე მოქმედებასთან ერთად მონაწილეობა საზღვაო ბრძოლებშიც უნდა მიეღოთ.

ამ მოსაზრების შესაბამისად, 1898 წლიდან ბრიტანეთი გაზრდილი წყალწყვისა და გაძლიერებული შეიარაღების მქონე კრეისერების მშენებლობაზე გადავიდა. 1899 წელს წყალში ჩაშვებულ „ბლეიკზე" მთავარი კალიბრის ორ 234 მმ-იან ქვემეხთან ერთად გამოჩნდა სიახლე — დაჯავშნულ კაზემატებში საშუალო კალიბრის ათი 152 მმ-იანი ქვემეხი განთავსდა.

ბრიტანელების მომავალი მოწინააღმდეგე ზღვაზე ომში გერმანია, კრეისერებს განსხვავებული მიდგომით აშენებდა. გერმანელები ტრადიციულად ნაკლები წყალწყვის, სამოქმედო რადიუსისა და სიჩქარის მქონე ხომალდებს აგებდნენ. შესაბამისად, მთავარი არტილერიის კალიბრიც ნაკლები იყო. სამაგიეროდ, გერმანულ ხომალდებს ჩაუძირაობის სრულყოფილი სისტემა და უკეთესი დაჯავშნა ჰქონდა.

ჯერ კიდევ იალქნიანი ხომალდების დროს საკრეისერო სამსახური ორად იყო დაყოფილი: ერთი მოითხოვდა მოწინააღმდეგის სავაჭრო გემების განადგურებას და საკუთარის დაცვას, ხოლო მეორე — უშუალოდ ესკადრაში სამსახურს, რომელსაც ჩვეულებრივ სახაზო ხომალდებზე რანგით ქვევით მყოფი ფრეგატები ასრულებდნენ.

სახაზო ხომალდებთან შედარებით ფრეგატებს ნაკლები წყალწყვა და ზარბაზნები ჰქონდა, მაგრამ ამის კომპენსირებას მანევრულობა და სისწრაფე აკეთებდა.

ბრიტანეთის ფლოტში ახალი სახაზო ხომალდის „დრედნოუტის" გამოჩენით თანმხლები საესკადრო კრეისერის აუცილებლობა გაჩნდა, რომლის ტექნიკურ-ტაქტიკური პარამეტრები მშენებარე ჯავშნოსან კრეისერებზე ბევრად მაღალი უნდა ყოფილიყო.

1905 წელს მასაჩუსეტსის გემთმშენებელი სკოლის პროფესორმა უილიამ ჰოვგარდმა ჩამოაყალიბა „საესკადრო კრეისერის სამომავლო ამოცანები: მოწინააღმდეგისათვის ბრძოლის თავს მოხვევა, საცეცხლე კონტაქტის შენარჩუნება მთავარი ძალების მისვლამდე, უკან დახეული მოწინააღმდეგის დევნა, შორეულ რაიონებში ოპერაციების დამოუკიდებლად ჩატარება, დაზვერვა ბრძოლით, მსუბუქი კრეისერების მხარდაჭერა და ა.შ.

1911 წლის სამხედრო ხომალდების კლასიფიკაციით. დასახელება „საესკადრო კრეისერი" სახაზო კრეისერმა შეცვალა.

1912 წელს ბრიტანეთის ფლოტის შემადგენლობაში შევიდა 26350 ტონა წყალწყვის სახაზო კრეისერი „ლაიონი". ხომალდის კორპუსს 229 მმ-იანი ჯავშანსარტყელი იცავდა, ხოლო მთავარი კალიბრის არტილერიაში რვა 343 მმ-იანი ქვემეხი იყო. ასეთი მონსტრი საცეცხლე ძალით იმდროინდელ სახაზო ხომალდებს ოდნავ თუ ჩამოუვარდებოდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე კრეისერებში კიდევ ერთი — მსუბუქ კრეისერთა კლასი გამოჩნდა. ბრიტანელები მსუბუქ კრეისერებს სახაზო ხომალდების ესკადრების მომსახურებისათვის, საესკადრო ნაღმოსნების შეტევაზე გადასაყვანად და მოწინააღმდეგის ნაღმოსნებისაგან დასაცავად იყენებდნენ. პრაქტიკულმა გერმანელმა ადმირალებმა ასეთ ხომალდებს დაზვერვა, მოწინააღმდეგის მსუბუქ ძალებთან ბრძოლა, საზღვაო ვაჭრობის მოშლა, საესკადრო ნაღმოსნების ფლოტილიის ლიდერობა, მშვიდობიან დროს სხვა ქვეყნის წყლებში სტაციონარობა და სხვა მსგავსი ამოცანების შესრულება დააკისრეს.

1904-07 წლებში გერმანიის ფლოტმა „ჰამბურგის" სერიის 7 მსუბუქი კრეისერი მიიღო. ერთ-ერთი მათგანი — „ლიუბეკი" ორთქლის ტურბინის დანადგარით იყო აღჭურვილი და ბევრად მეტი სიმძლავრე და სიჩქარე ჰქონდა.

ამ სერიის ხომალდებზე მხოლოდ გემბანი დაიჯავშნა, ხოლო მომდევნო



გერმანული ჯავშნოსანი კრეისერი „გნეიზენაუ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბრესლაუს“ სერიიდან კი კრეისერებს 60 მმ-იანი ჯავშანსარტყელი უკეთდებოდა.

პირველი მსოფლიო ომმა კრეისერების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა შეხედულებას პრაქტიკული გამოცდები მოუწყო.

ომის დაწყებას გერმანელთა ჯავშნოსანი კრეისერები: „შარნჰორსტი“ და „გნეიზენაუ“, მსუბუქი კრეისერების: „ნიურნბერგის“, „ემდენისა“ და „ლეიფციგის“ თანხლებით შორეულ აღმოსავლეთში შეხვდნენ. მსუბუქი კრეისერი „კენიგსბერგი“ აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროსთან, ხოლო მსუბუქი კრეისერები: „კარლსრუე“ და „დრეზდენი“ ატლანტიკის ოკეანეში იმყოფებოდნენ. ჯავშნოსანი კრეისერი „გებენი“ და მსუბუქი კრეისერი „ბრესლაუ“ ხმელთაშუა ზღვაში დაცურავდნენ.

კრეისერების ამგვარი დისლოკაციით გერმანელი ადმირალები საზღვაო კომუნიკაციებზე მოქმედებასა და სავაჭრო გემების დაკავებას გეგმავდნენ. კრეისირების ალკვეთას ბრიტანეთის ფლოტის მნიშვნელოვანი ძალების მოზიდვა უნდა გამოეწვია, რითაც გერმანელთა გათვლით ჩრდილოეთის ზღვაში ბრიტანელთა შესაძლებლობები შემცირდებოდა.

ადმირალ მაქსიმილიან ფონ შპეეს სარდლობით გერმანულმა ესკადრამ: ჯავშნოსანი კრეისერები – „შარნჰორსტი“, „გნეიზენაუ“; მსუბუქი კრეისრები – „ნიურნბერგი“, „ლაიფციგი“ და „დრეზდენი“ – პირველ წარმატებას 1914 წლის 1-ელ ნოემბერს მიაღწია, როცა ჩილეს სანაპიროსთან, პორტ კორონელის მახლობლად, ბრიტანელთა ორი ჯავშნოსანი კრეისერი „გუდ ჰოუპი“ და „მონმუტი“ ჩაძირა.

ამის შემდეგ გერმანელებს შავი დღეები დაუდგათ. ბრიტანელებმა 1914 წლის 8 დეკემბერს ფოლკლენდის კუნძულებთან ჯერ „შარნჰორსტი“ და „გნეიზენაუ“ ჩაძირეს და იმავე დღეს ფსკერისკენ „ლაიფციგიც“ გაუშვეს. შემდეგ იმ ადგილიდან ოდნავ აღმოსავლეთით იგივე ბედი „ნიურნბერგმა“ გაიზიარა.

„დრეზდენმა“ თავის დაღწევა შეძლო და რამდენიმე თვე ჩილეს სანაპიროსთან იმალებოდა. 1915 წლის 14 მარტს ბრიტანულმა ხომალდებმა „დრეზდენი“ შენიშნეს და იმ დროს დაცხრილეს, როცა ეკიპაჟის დიდი ნაწილი ნაპირზე იმყოფებოდა.

„ემდენის“ კრეისირება სამ თვეს გაგრძელდა და 16 ბრიტანული გემის განადგურებითა და 6-ის დატყვევებით აღინიშნა. 1914 წლის 9 ნოემბერს „ემდენი“ ბრიტანელებს ტყვედ ჩაჰბარდა.

არც „კარლსრუეს“ კრეისირება გაგრძელდა დიდხანს. 1914 წლის 6 ნოემბერს



გერმანულთა ერთ-ერთი საუკეთესო მსუბუქი კრეისერი „კენინსბერგი“

საარტილერიო საცავის აფეთქებამ კრეისერი ფსკერისკენ გაისტუმრა, თუმცა მანამდე გერმანელმა მეზღვაურებმა 14 გემის ჩაძირვა და 3-ის დატყვევება შეძლეს.

ჯავშნოსანი კრეისერი „გებენი“ და მსუბუქი კრეისერი „ბრესლაუ“ კი შავ ზღვაში შემოვიდნენ და თურქეთის ფლოტის შემადგენლობაში შევიდნენ.

მთავარი მოსაზრება, რისთვისაც კრეისერები შენდებოდა, რომ საზღვაო კომუნიკაციებზე კრეისირებით მოწინააღმდეგე ბლოკადაში მოექცეოდა, არ გამართლდა.

პირველი მსოფლიო ომის გამოცდილების გათვალისწინებით გაჩნდა კრეისერების სულ სხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობები, მაგრამ ამისათვის ჯერ კრეისერების კლასიფიკაციის მოწესრიგება იყო საჭირო.

ამის პირველი მცდელობა ვაშინგტონის 1922 წლის საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებაში აისახა. მაშინ ინგლისი, აშშ, საფრანგეთი, იტალია და იაპონია შეთანხმდნენ, რომ კრეისერებს 10 ათას ტონაზე მეტი წყალწყვითა და 203 მმ-ზე მეტი კალიბრის არტილერიით არ ააგებდნენ. ასეთი ხომალდები „ვაშინგტონის“ კრეისერების სახელით არის ცნობილი.

1930 წლის ლონდონის საზღვაო შეთანხმებამ კრეისერების მთავარი არტილერიის კალიბრის მიხედვით დაყოფა ოფიციალურად აღიარა. კატეგორია A-ს მიეკუთვნა მძიმე კრეისერები, მთავარი არტილერიის კალიბრით 203 მმ. ასეთი ხომალდების რაოდენობა ქვეყნებს ზუსტად მიეთითა, ხოლო B-ს კი წარმოადგენდა მსუბუქი კრეისერები 10 ათას ტონამდე წყალწყვითა და მაქსიმალური 155 მმ-მდე კალიბრის არტილერიით. მსუბუქი კრეისერების რაოდენობა შეზღუდული არ იყო.

*თემურ ჩაჩანიძე*

*(დასასრული მომდევნო ნომერში)*



რუსეთის ფლოტის გმირულად დაღუპული ჯავშანგემბანიანი კრეისერი „ვარიაგი“

ეროვნული ბიბლიოთეკა



„არსენალი" ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება. (დასაწყისი იხ. „არსენალი" №11)

# ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში



ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

## ასწლიანი ომის ტაქტიკური მანევრები

ბანოკბერნთან განცდილი მარცხის შემდეგ ინგლისელები ინტენსიურად ხვეწდნენ მშვილდოსნების ეფექტიანად გამოყენების ტაქტიკას. ბანოკბერნის ბრძოლამ ცხადყო, რომ მოწინააღმდეგის ძლიერი შეტევისას ძნელდება მხედრებთან ერთად მებრძოლი დისტანციური ბრძოლის იარაღით აღჭურვილი ქვეითების ქმედებათა კოორდინირება. XIV საუკუნეში მშვილდოსნები ქვეით მხედრებთან ერთად იბრძოდნენ. შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე შეტაკება, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რა შედეგიანი იყო ეს ტანდემი. პირველი მაგალითი (1332წ.) კვლავ შოტლანდიელებთან არის დაკავშირებული. შოტლანდიის სამეფო ტახტის პრეტენდენტი ედუარდ დე ბალიოლი, რამდენიმე ასეული თანამზრახველის თანხლებით, პეტრას მახლობლად დაბანაკდა და შოტლანდიელთა საკმაოდ დიდ არმიასთან მოუწია შეტაკებამ. ბალიოლმა ახლომდებარე ხევი ზურგის ბუნებრივ თავდაცვით საშუალებად გამოიყენა, ცენტრში განალაგა ქვეითად მებრძოლი მეომრები, ხოლო ფლანგებზე — მშვილდოსნები, მცირერიცხოვანი კავალერია კი სათადარიგოდ შემოინახა. მოწინააღმდეგეთა სიმცირით მოტყუებულმა შოტლანდიელებმა ქვეითად შეუტიეს ინგლისელებს და ძალთა უპირატესობის გამო თავდაპირველად წარმატებასაც მიაღწიეს, თუმც მოულოდნელად მტერმა ისინი ალყაში მოაქცია და ისრები დაუშინა. ბრძოლა სასტიკი ხოცვა-ჟლეტით დასრულდა. შოტლანდიელები დამარცხდნენ.



შეტევა ედუარდ ბალიოლის მეთაურობით

1333 წელს ჰეილიდონ ჰილთან ბრძოლაშიც ინგლისელებმა იმავე ხერხს მიმართეს. ედუარდ მესამემ რამდენიმე ასეული მძიმედ შეიარაღებული მეომარი და რამდენიმე ათასი მშვილდოსანი ქალაქ ბერკიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებით მდებარე ფერდობზე განალაგა. რაოდენობრივი უპირატესობა კვლავ შოტლანდიელებს ჰქონდათ, მაგრამ როგორც ჩანს, წინა წლის გამოცდილება მათთვის გაკვეთილი არ აღმოჩნდა. შოტლანდიელებმა იგივე შეცდომა დაუშვეს, — ქვეითად მებრძოლი მეომრებით მასიური შეტევა დაიწყეს. ინგლისელები რაზმებად დაყოფილი მოქმედებდნენ. ფლანგებზე მდგარი მშვილდოსნები ამავდროულად კავალერიასაც იცავდნენ. ფერდობი საკმაოდ შემაღლებული და ჭაობიანი იყო, რამაც შეტევაზე გადასული შოტლანდიელების სისწრაფე საგრძნობლად შეამცირა. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი ბუნებრივ წინ-



ალობათა გადალახვას ცდილობდნენ, ინგლისელთა ისრები მათ რიგებს ათხელებდა. შოტლანდიელებმა მიაღწიეს ინგლისელების პოზიციებს, მაგრამ ისინი ცუდად იყვნენ აღჭურვილნი, რაც მოწინააღმდეგეს არ გამოჰპარვია. ინგლისელები აგრძელებდნენ მშვილდოსნებით შეტევას. შოტლანდიელებმა ვეღარ გაუძლეს ძლიერ დარტყმებს და უკუიქცნენ, გზადაგზა კი თავისიანებს თელავდნენ. მათ არც ინგლისელები ჩამორჩნენ, რომლებიც ლტოლვილებს დაედევნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ.

საფრანგეთთან ასწლიანი ომის დასაწყისი (1338-1453წწ.) ე.წ. „ინგლისური სისტემის" კონტინენტზე ექსპორტირების მიზეზი გახდა. ომის საწყის ეტაპზე ფრანგებს არ სურდათ საომარ მოქმედებაში ჩაბმა და ამიტომაც ედუარდ III-ს კამპანია ფლანდრიაში შეჩერდა. პარალელურად, ედუარდს აფერხებდა ბრიტანელებს შორის დაწყებული ძმათამკვლელი ომი. შეტაკებამ მორლესთან (1342წ.) საბოლოოდ გადაწყვიტა ედუარდის ბედი, — მას გამარჯვება მოუტანა. მან ნორთჰემპტონის მეთაურობით მცირე ექსპედიციური კორპუსი გაგზავნა, რომელმაც ხევსა და ტყეს შორის თავდაცვითი პოზიციის დაკავებით მტრების შეჯავშნული მხედრობის იერიში იოლად მოიგერია.

მორლესთან შეძენილი გამოცდილება ედუარდმა 1346 წლის ზაფხულში, ნორმანდიში შეჭრისას გამოიყენა. მან პარიზამდეც მიაღწია, მაგრამ ქალაქში შეჭრა ვერ მოახერხა, რადგან ფრანგები საკმაოდ დიდი ჯარით ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ. ინგლისის მეფე იძულებული გახდა, მიმართულება შეეცვალა. მას შემდეგ, რაც მისმა არმიამ, რომელიც 3000 მძიმედ შეიარაღებულ მხედარსა და 10000 მშვილდოსანს ითვლიდა, მდინარე სომა გადალახა, კრესისთან ფილიპე VI-ს დაგებულ ხაფანგში მოექცა. ფრანგთა არმია 12000 მხედარს, 6000 არბალეტით მებრძოლსა და უამრავ შუბოსანს ითვლიდა. ნორთჰემპტონის რჩევით, ედუარდმა თავისი ძალები შემაღლებულ ადგილზე განალაგა, სადაც ზურგს ტყე და ეტლების კოლონა უმაგრებდათ. ქვეითი მძიმედ შეიარაღებული მხედრები სამ დივიზიონად დაყო. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ედუარდს თავიანთი პოზიციის წინ ხაფანგების დაგებაც უბრძანებია.

ფრანგების გეგმით არბალეტით შეიარაღებულ დაქირავებულ მეომრებს ინგლისელი მშვილდოსნები უნდა გაენეიტრალებინათ, მაგრამ ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეთა პირისპირ მდგარი გენუელები უძლურნი აღმოჩნდნენ. „შემდეგ ინგლისელმა მშვილდოსნებმა კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწიეს წინ და ისეთი ძალითა და სიჩქარით დაიწყეს ისრების სროლა, მათ მიერ ციდან მოვლენილი სასიკვდილო იარაღი თოვლის ფანტელებივით ეფინებოდა მოწინააღმდეგეთა რიგებს... ისრები მხედრებამდეც კი აღწევდა და მიუხედავად სრულყოფილი აღჭურვილობისა, სასიკვდილო ჭრილობებს აყენებდნენ როგორც ადამიანებს, ასევე ცხენებს. გენუელთა რიგებში დაცემულ მეომრებს და პირუტყვს არეულობა შეჰქონდა ფრანგების არმიაში, რითაც პირველთა (არბალეტით მებრძოლი მეომრების) შეტევას კიდევ უფრო ასუსტებდნენ (ფრუასარი, „ქრონიკა")".

ფაქტობრივად, ფრანგმა რაინდებმა, რომლებიც გენუელების ზიზღს არც მალავდნენ და მოწინააღმდეგესთან შებმის დიდი სურვილით იყვნენ აღტყინებული, არბალეტით მებრძოლებს საშუალება არ მისცეს, თავიანთი საქმე შეესრულებინათ. ისინი დაწინაურდნენ, მაგრამ ვერც მათ მოახერხეს ინგლისელების რიგების გარღვევა. მშვილდოსნები ისე გაცხარებით უტევდნენ, რომ ფრანგი მხედრები უზარმაზარ დანაკარგს განიცდიდნენ, შეშინებული ცხენები კი ადგილიდან არ იძროდნენ. ამ საბედისწერო ბრძოლაში საფრანგეთის მეფეც კი დაიჭრა.

მხედართა დანაკარგმა 1500 კაცს მიაღწია, ინგლისელების გამარჯვებას კი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა, — ედუარდმა დაიკავა კალე, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე ინგლისელთათვის მთავარ პლაცდარმად აქცია.

კრესის ბრძოლა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრანგი კავალერია ბრძოლაში



ედუარდი — შავი პრინცი

1356 წელს უელსის მთავარი ედუარდი (შავი პრინცი), სამხრეთ საფრანგეთში საალაფოდ გადავიდა, სადაც მას მეფე ჯონ II-ის დიდი არმია შეხვდა. ედუარდს თან ახლდა 3000 მძიმედ შეიარაღებული მხედარი, 3000 მშვილდოსანი და 1000 გასკონელი ბიდო, რომლებიც ტყის ტევრსა და ჭაობებს შორის განალაგა. ფრანგები, რომელთა არმია, სავარაუდოდ, სამჯერ აღემატებოდა მომხდურთა ჯარს, ძირითადად, კარგად აღჭურვილი მხედრობის იმედზე იყვნენ, მაგრამ ახალი ტაქტიკის გამოყენებაც სცადეს.

რჩეული რაინდები ინგლისელების პოზიციებისკენ ორი პარალელური მიმართულებით დაიძრნენ, მაგრამ ზურგში გასვლა მაინც ვერ მოახერხეს. მათ უკან მიჰყვა ათასი ჩამოქვეითებული და მძიმედ შეიარაღებული მხედარი, შემდეგ კი სხვა მეომრები მეფის ხელმძღვანელობით. მიუხედავად მოწინააღმდეგეების მძვინვარე შეტევისა, ინგლისელებმა მაინც მოიგერიეს იერიში. ბუნებრივმა საფარმა ედუარდს საშუალება მისცა, რაინდების ნაწილი კვლავ აემხედრებინა და გასკონელი ვასალის, ჟან III დე გრაის სარდლობით მტრის ზურგში გადაისროლა. ორ ფრონტს შუა მოქცეული ფრანგთა მეფე იძულებული გახდა, დანებებულიყო და საკუთარი და რაინდების გამოსასყიდი გადაეხადა.

ინგლისის მეფე ჰენრი V



„ინგლისელთა სისტემამ" კვლავ გამარჯვება მოიტანა, რომლის მსგავსი 1415 წლამდე, აზენკურის ბრძოლამდე, არ განმეორებულა. ორი თაობის განმავლობაში (1356 და 1415წწ.) ინგლისელთა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა, რაც უპირველეს ყოვლისა, ფრანგების ტაქტიკის დამსახურება იყო. სამხრეთელმა მეზობელმა, რომელიც შეძლებისდაგვარად გაურბოდა დიდ ბრძოლებს, ყურადღება მცირე შეტაკებებსა და ციხესიმაგრეებზე გადაიტანა.

ტაქტიკის განვითარების თვალსაზრისით, საინტერესოა ამ პერიოდში მომხდარი ორი სხვა ბრძოლის გათვალისწინება.

1385 წელს პორტუგალიის ჩრდილოეთით, ალჟუბაროტოსთან ბრძოლაში, ინგლისელთა ექსპედიციურმა კორპუსმა ფრანგების მოკავშირე კასტილიელები დაამარცხა (აქვე საჭიროა დავაზუსტოთ ორი რამ: პირველი – სინამდვილეში ხსენებული ბრძოლა პორტუგალიის ჩრდილოეთით კი არა, არამედ ცენტრში, უფრო დასავლეთით მოხდა; და მეორე, ამ ქვეყანაში ის ხუან I პორტუგალიელსა და ხუან I კასტილიელს შორის მომხდარ შეტაკებად მიიჩნევა. ბრძოლის შედეგად პირველმა, რომელსაც ინგლისელების მშვილდოსანთა მცირე რაზმი ეხმარებოდა, შეძლო საკუთარი უფლებებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება). მოგვიანებით, არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ამ ბრძოლაში უამრავი თავდაცვითი ნაგებობა ჰქონიათ კავალერიის შეტევების მოსაგერიებლად.

მარცხენა ფლანგზე თავდაცვით ცენტრს წარმოადგენდა ეკლესია, საიდანაც საგანგებოდ გათხრილი თხრილი ბრძოლის ველზე დაგებული უამრავი ხაფანგისაკენ მიემართებოდა. მათი ფართობი 0,09 კვმეტრს შეადგენდა და V ფორმის მიწის ნაკვეთზე, რომლის სიგანე 182 მ, ხოლო სიღრმე 91 მ იყო, ერთმანეთისაგან 0,9 მეტრის დაშორებით მდებარეობდნენ. ამგვარი დისპოზიცია მშვილდოსნებს საშუალებას აძლევდა, ხაფანგების უკან ან მათ შორის მომგებიანი პოზიცია დაეკავებინათ. გათვლილმა ტაქტიკამ გაამართლა. გარდა იმისა, რომ ხაფანგები აფერხებდა მოწინააღმდეგეებს იერიშის დროს, მათი საშაულებით დანაწევრებული მძიმედ შეიარაღებული მხედართა ფორმირება ქვეითებმა და მცირერიცხოვანმა კავალერიამ თითქმის უმტკივნეულოდ მოიგერია.

მეორე შეტაკება 1396 წელს მოხდა. უმეტესწილად ფრანგებისა და ბურგუნდიელებისაგან შემდგარი ჯვაროსანთა არმია ნიკოპოლისთან ოსმანთა ჯარს შეხვდა (თანამედროვე ბულგარეთში). მოკავშირე უნგრელების რჩევის მიუხედავად, ჯვაროსანმა ცხენოსნებმა იერიში თურქთა მსუბუქ მხედრობაზე მიიტანეს. ეს უკანასკნელი კი თურმე ფარს წარმოადგენდა, რომელიც მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევე გაიფანტა და ჯვაროსნების წინ სოლებით მოფენილი ველი გადაიშალა, რომელთა უკან მშვილდოსანი იანიჩარები იდგნენ. წინალობამ კავალერიის სვლა შეაფერხა, ამას დაერთო მოწინააღმდეგეების ისრების წვიმაც. ჯვაროსნები იძულებულნი გახდნენ, ჩამოქვეითებულიყვნენ. მართალია, მათ მოახერხეს მსუბუქად შეიარაღებული იანჩრების შეტევის მოგერიება, მაგრამ სანამ სოლების მწკრივს მიუყვებოდნენ, რომელიც მთის მწვერვალზე წყდებოდა, გვარიანად დაიღალნენ. სწორედ ამ დროს ჯვაროსნები ალყაში მოაქცია თურქთა სულთნის მხედრობამ. ტყვეებს დიდი გამოსასყიდის ფასად ათავისუფლებდნენ. ერთ-ერთ ტყვედყოფილს, ფრანგ დიდგვაროვანსა და მარშალ ბუსიკოს ბედის ირონიით კიდევ ერთხელ მოუწია სოლების წინალობის გადალახვამ, ოღონდ აჯერად აზენკურთან.

## ინგლისელთა სისტემა

1420 წლისათვის „ინგლისელთა სისტემა“ სხვა არმიებმაც აითვისეს. პირველები ბურგუნდიელები იყვნენ, რომლებიც ინგლისის მოკავშირეები 1436 წლამდე იყვნენ. XV საუკუნის 40-იანი წლებიდან ფრანგებმა მშვილდოსნების სამეფო კონტინგენტი შექმნეს. გადმოღებულ გამოცდილებასთან ერთად საველე არტილერიის განვითარებამ მათ საშუალება მისცა, ინგლისელებისათვის მათივე იარაღი დაეპირისპირებინათ. XV საუკუნის შუახანებში საფრანგეთმა და ბურგუნდიამ მოქნილი სამხედრო ფორმირება ჩამოაყალიბეს, რომელმაც ინგლისელებისა და შვეიცარიელების ტრადიციებისაგან ყველაფერი საუკეთესო შეისისხლხორცა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული მეომრების, მშვილდოსნებისა და შუბოსნების დანაყოფებისაგან შედგებოდა. ინგლისი კი, რომელიც წითელი და თეთრი ვარდების სახელით ცნობილ ხანგრძლივ სამოქალაქო ომში ჩაება (1455-1487წწ.), მეზობლებისაგან განსხვავებით, ტაქტიკის მოდერნიზაციის თვალსაზრისით, წინ არ წასულა.

დიდმა შეტაკებამ ტაუტონთან (1461წ.) ედუარდ IV-ს პარტიას გამარჯვება და სამეფო ტახტი მოუტანა. იგი ქვეითთა რაზმების, — ქვეითად მეომარ მძიმედ შეიარაღებულ მხედრებისა და ალებარდელების ერთგვარ შეჯიბრებას წარმოადგენდა. ერთადერთი ტაქტიკური მიგნება გახდა იორკელთა პარტიის მშვილდოსნებისგან ზურგის ქარის გამოყენება: ლანკასტერების ისრების წვიმაში ისინი რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევდნენ და მერე საპასუხო იერიში მიჰქონდათ.

1485 წელს, ბოსუორტ-ფილდთან ბრძოლაში, რომლის დროსაც ტახტის პრეტენდენტმა ჰენრი ტიუდორმა რიჩარდ მესამეს სძლია, ძირითადი დარტყმა ჰენრის არმიის ფრანგთა ნაწილზე მოდიოდა. მათი შუბოსნების ძლიერი და მობილური ფორმირებები ხაზს ამაგრებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, ჰენრიმ გამარჯვება უფრო იმიტომ მოიპოვა, რომ უილიამ სტენლიმ მეფე რიჩარდს უღალატა და თავის ძალებთან ერთად მიატოვა ბრძოლის ველი.

ინგლისელებს კონტინენტური ტაქტიკა „ისროლე და ჩეხე“ XVI საუკუნეზე ადრე არ შეუმუშავებიათ, რაც კონსერვატორული ბუნების მიზეზი სულაც არ გახლავთ. 1513 წელს, კალესთან მომხდარ ბრძოლაში, ჰენრი VIII-მ ფლანგებზე მშვილდოსნები განალაგა, რაც ფრანგი ფრანცისკ I-ის დამარცხების მიზეზი გახდა. „ინგლისურ სისტემას“ დიდხანს არ უარსებია, რისი მიზეზიც ეფექტიანობის დაქვეითება კი არა, არამედ მრავალფეროვანი, იაფი და იოლად მოსახმარი ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენა იყო. მაგალითად, მშვილდოსნების მომზადება და გაწვრთნა გაცილებით უფრო მეტ დროს, ხოლო მშვილდის ტყორცნა უფრო დიდ ოსტატობასა და ფიზიკურ ძალას მოითხოვდა, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღის ათვისება. სამხედრო შეიარაღების სფეროში ევოლუციამ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად შეცვალა ბრძოლის წარმოების ტაქტიკაც.

**გაგრძელება იქნება**



ინგლისელების მიერ დატყვევებული ფრანგები

# ინდიელების სიამაყისა და კონკისტადორების პროფესიონალიზმის საოცარი ნაზავი

**ჩილეს სპეცრაზმს დიდი გამოცდილება საუკუნეების განმავლობაში აქვს შეძენილი. მისი მეომრები გამოირჩევიან საოცარი სიამაყითა და ღირსების შეგრძნებით, სხვადასხვა ვითარებასთან მყისიერი შეგუებითა და შეთანხმებული მოქმედებით. მიუხედავად ამისა, მათი მომზადების მეთოდიკა მუდმივად სრულყოფის პროცესშია.**



ჩილეს არმიას აქვს უნიკალური თავისებურებები, რომლებიც მის ისტორიას განუმეორებელს ხდის. როგორც ითვლება, ის ოთხი საუკუნის წინ ჩამოყალიბდა – XVII საუკუნეში, მაშინ, როდესაც ლათინური ამერიკის ომებში გამოწრთობილი ესპანელთა პოლკები მოვიდნენ ამ მიწაზე და აბორიგენების სულის გატეხა სცადეს. დროთა განმავლობაში დამპყრობლები თანდათან შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რასათა გაერთიანებამ კი შედეგად შესანიშნავი ,,ნაყოფი" გამოიღო. 1810 წელს ახალმა მცხოვრებლებმა გაარღვიეს კონტინენტის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის კოლონიური მარწუხები და ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყეს, რომელსაც დღეს მსოფლიო ჩილეს სახელით იცნობს.

თავიანთი მიწის აბორიგენების სიყვარული საოცრად შეერწყა მომხდურთა მეომარ სულს.

გავიდა ხანი და კონკისტადორებისათვის, რომლებიც სიმამაცითა და მომზადების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ, ეს მიწა მშობლიურად იქცა.

მამაც წინაპართა სისხლის ყივილი თანამედროვე ჩილელ სპეცრაზმელებშიც კი იჩენს თავს. დაახლოებით ორმოცი წლის წინ ჩილეში შეიქმნა საპარაშუტისტო და კომანდოს-დანაყოფები, ხოლო ოთხი წლის წინ ჩამოყალიბდა საგანგებო დანიშნულების ძალოვანთა ჯგუფი, რომელიც უმნიშვნელოვანესსა და სტრატეგიულ ამოცანებს ასრულებს. ჯგუფი გამოირჩევა მობილურობით, ახალ ტაქტიკურ მეთოდებთან იოლი ადაპტირებითა და ბრძოლის წარმოებით.

1962 წელს გადაწყდა, შექმნილიყო საგანგებო დანიშნულების ნაწილი. ამ იდეას ხორცი კაპიტან ხოსე კინტეროს მასდეის ძალისხმევით შეესხა. პროექტმა ჩილეს შეიარაღებული ძალების მეთაურის დიდი მოწონება დაიმსახურა. 1962 წლის 16 ივლისი იქცა კომანდოსის პირველი კურსის შექმნის ოფიციალურ თარიღად. ინსტრუქტორებმა დაიწყეს სწავლების მეთოდიკის შემუშავება, საწვრთნელი ბაზებისა და სასწავლო დაწესებულებების განსალაგებლად საჭირო ტერიტორიების შესწავლა. 1-ელი ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე გამოცხადდა კურსებზე ჩარიცხვის მსურველთა მიღება. სასწავლო კურსის პირველ ნაკადში მონაწილეობის სურვილი ცხრამეტმა სამხედრო პირმა გამოთქვა. ჩილეში სპეცრაზმის ქვედანაყოფის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ და კონსულტაციებს იძლეოდნენ ამერიკელი სპეციალისტები Rangers -ებიდან და Special Forces დანაყოფებიდან. შემდეგ წელს კურსანტთა რიცხვი ოცდაჩვიდმეტამდე გაიზარ-





ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ამავე პერიოდში დაიწყო პარაშუტის-თა და საგანგებო დანიშნულების სკოლის დარსებაც, რომელიც ამჟამად ჩილეს არმიის შემადგენლობაშია. სტრუქტურა 1965 წლის 20 აგვისტოს ჩამოყალიბდა და ამავე წელს შესრულდა პირველი ნახტომი პარაშუტით C-47 ტიპის თვითმფრინავიდან. სწორედ ეს თარიღი იქცა ჩილელი პარაშუტისტის დღედ.

ამჟამად სასწავლებელში ისწავლება პარაშუტით ხტომის ტექნიკა, ადგილზე ორიენტირება, საგანგებო საომარი მოქმედებების წარმოება, თავისუფალი ფრენის ტექნიკა და ა.შ. სამხედრო სასწავლებელში კურსანტებთან მუშაობენ როგორც ჩილელი ინსტრუქტორები, ასევე უცხოელი სპეციალისტები. გამოცდილების გაცვლის მიზნით კურსანტებს საშუალება ეძლევათ სწავლების ერთი მონაკვეთი სხვა ქვეყნებში გაიარონ.

1965 წლიდან პარაშუტისტთა დანაყოფმა დაახლოებით ორასი ათასი ნახტომი შეასრულა და რაც მთავარია, დალუპულთა არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

კურსის საბაზო ეტაპზე მიღება ნებაყოფლობითია. კანდიდატებს შორის, როგორც წესი, არიან ოფიცრები, უმცროსი მეთაურები და სამხედრო ვალდებულებამოხდილი ახალგაზრდებიც. სწავლების ხანგრძლივობა ოთხ კვირას მოიცავს, რომელთაგან სამი ხმელეთზე, ერთი კი ჰაერში მიმდინარეობს. სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსანტებს ეძლევათ განმასხვავებელი ნიშნები. პარაშუტისტა ქვედანაყოფი გამორჩეული ნაწილის სახელით სარგებლობს. მათი მნიშვნელობა შესასრულებელ ამოცანათა სირთულითაა განპირობებული, რომლებიც შემდგომში მდგომარეობს: მოწინააღმდეგის პოზიციების სიღრმეში მოულოდნელობის ეფექტის შექმნა და სახმელეთო ოპერაციების წარმატებით ჩასატარებლად საჭირო სტრატეგიული ტერიტორიების დაკავება.

აქტიურად ისწავლება საგანგებო ბრძოლის ტექნიკაც, რათა ოფიცრებიი თუ უმცროსი მეთაურები ფლობდნენ ხელჩართული ბრძოლის ხელოვნებას. ეს კურსი თავდაპირველად ჩილეს შეიარაღებული ძალების ქვეითთა სკოლაში შემოიღეს, 1976-1984 წლებში. ამის შემდეგ ხელჩართული ბრძოლის ტექნიკის შემსწავლელი კურსი სპეცდანიშნულების რაზმელთა საერთო კურსის შემადგენელ ნაწილად იქცა. იგი მოიცავს ტაიკვანდოს ბრძოლის ხელოვნების ელემენტებს და შესწავლის ხანგრძლივობა ოთხ თვეს შეადგენს, რომლის დასრულების შემდეგ წარჩინებული კურსანტები გამორჩეული ტექნიკით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემებით ხასიათდებიან. გასაკვირი არ არის, რომ შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფი საზეიმოდ აღნიშნული გამოსაშვები საღამოს შემდეგ ნამდვილ „ნადირობას“ იწყებს კურსდამთავრებულებზე, ყველას სურვილია, თანამშრომლობა სწორედ მათთან გააგრძელოს.

კომანდოსის კურსიც თავდაპირველად ჩილეს შეიარაღებული ძალების ქვეითთა სკოლის შემადგენლობაში შედიოდა და მხოლოდ 60-იანი წლების დასაწყისში გადაიყვანეს პარაშუტისტთა და საგანგებო დანიშნულების სკოლაში. აქ სწავლება ხუთი თვის მანძილზე გრძელდება. მისი დასრულებისთანავე კურსანტი მზადაა შეასრულოს ნებისმიერი ამოცანა ნებისმიერ ადგილმდებარეობაზე, ყველაზე რთულ ატმოსფერულ პირობებშიც კი (შეგახსენებთ, რომ ჩილეს მნიშვნელოვანი ტერიტორია ანდების მთათა სისტემას უკავია).

პარაშუტისტთა და საგანგებო დანიშნულების ძალების სკოლას მოგვიანებით საპატიო წოდება – „კომანდოსი“ მიენიჭა. უმცროსი რგოლის ოფიცრებმა და მეთაურებმა სამსახური სხვადასხვა სახის ჯარებში, მათ შორის კარაბინერების ქვედანაყოფშიც გააგრძელეს. მათი განმასხვავებელი ნიშანი შავი ბერეტია, რომელსაც ატარებენ როგორც წარმატებული კურსდამთავრებულები, ასევე სკოლის ინსტრუქტორები. ყველანი ერთად კი ლეგიონს ქმნიან და ნაციონალური გმირის სულის მატარებელთა საპატიო სახელს ინარჩუნებენ. ისინი ჩილეს შეიარაღებული ძალების ელიტად იქცნენ, რომელიც მზად არის სიცოცხლე სამშობლოს მიუძღვნას, საჭიროების შემთხვევაში კი მსხვერპლადაც კი შეეწიროს.

როგორც ვთქვით, ჩილეს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 80%, ანდების მთათა სისტემას უკავია. ეს კი ზეგავლენას ახდენს როგორც ჩილელი სპეცრაზმელების მომზადების სისტემაზე, ასევე საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფის თავისთავად ხასიათზე. აქვე უნდა ვახსენოთ სამხედრო-სამთო სკოლაც, რომელშიც სპეცრაზმელებს უმძიმეს ლანდშაფტურ პირობებში მოქმედებებს ასწავლიან. სამთო სკოლა 1954 წლის 6 ივლისს შეიქმნა. მას სათავეში ხუან ბანკალარ საპეტინი ჩაუდგა, – გამოცდილი ოფიცერი, იტალიური სამხედრო ალპური სკოლის აოსტას კურსდამთავრებული, რომელსაც ჩილეს სამთო სკოლის ანალოგიური ამოცანები ჰქონდა.

1955 წელს გამოცხადდა პირველი მიღება სამხედრო-სამთო სკოლაში. მრავალწლიანი წვრთნების შედეგად კურსანტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ანალოგიურ სტრუქტურათა შორის. მრავალ საერთაშორისო სამხედრო შეჯიბრებაში, რომლებშიც მონაწილობდნენ არგენტინა, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი და იტალია, ჩილელი სპეცრაზმელები თითქმის ყოველთვის ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებდნენ ხოლმე. სამთო სკოლის კურსანტები პროდუქტიულად იყენებდნენ თავიანთ შესაძლებლობებს ბუნებრივი კატასტროფების დროს.

სკოლაში ახალი ნაკადის მიღება ყოველწლიურად ცხადდება, სასწავლო კურსი კი შვიდთვიანია, რომლის დროსაც კურსანტმა უნდა შეასრულოს ამოცანების მთელი რიგი, რომელთა მოქმედების ეპიცენტრი მთებშია. შედეგების მიხედვით ფასდება კურსანტის ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და, რა თქმა უნდა, ფიზიკური მზადყოფნა. კურსის დასასრულს ინიშნება გამოცდები ფსიქოლოგიაში, მედიცინასა და სამთო სკოლის ყველა მნიშვნელოვან დისციპლინაში. ამასთან, კურსანტი ვალდებულია ჩააბაროს ნორმატივები ფიზკულტურაში, გაწონასწორებულობასა და თვითდაჯერებაშიც კი.

სამთო სკოლას აქვს თავისი დროშა, ემბლემა და ჰიმნიც კი. ემბლემაზე გამოსახულია კონდორი – სამხრეთ ამერიკის სიმბოლო, მის გაშლილ ფრთებზე კი დატანილია ჩილეს ნაციონალური ნიშანი – ვარსკვლავი.

არ შეიძლება არ ვახსენოთ ჩილეს საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფების წვრთნის საერთო მიმართულებები. 1986 წლიდან გადაწყდა, გაფართოებულიყო სპეცრაზმელთა მომზადების პროგრამა და სწავლებაში ჩართულ იქნა სამხედრო-საზღ-







ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედებებიც, რამაც კიდევ უფრ გააფართოვა სპეცრაზმელთა მომზადების არეალი. ეს ცვლილებები უპირველეს ყოვლისა, დროის მოთხოვნითა და გამოცდილების შეძენით იყო განპირობებული. ჩილეს საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფებში სამხედრო ხელოვნების შესწავლისა და ტექნოლოგიების მაღალმა დონემ ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა დააინტერესა.

საგანგებო დანიშნულების ძალები ყველასაგან გამოირჩეოდნენ მძიმე და განსხვავებულ პირობებში ამოცანათა შესრულების მეყსეულობითა და ხარისხით. სახელმწიფო სტრუქტურამ გამოცდილების გაზიარებისა და ინსტრუქტორ-სპეციალისტების ნაციონალურ არმიაში მოზიდვის მიზნით მათ თანამშრომლობა შესთავაზა. XXI საუკუნის დამდეგს გატარდა რეფორმა, დაიწყო წვრთნის მეთოდიკისა და თავად ჩილეს საგანგებო დანიშნულების ძალების გარდაქმნა. გადაწყვიტეს, გაეძლიერებინათ შეიარაღებული ძალების ელიტა იმისათვის, რომ სპეცრაზმელებს უფრო ნაკლები დრო დაეხარჯათ ამოცანათა შესრულებაში.

სტრატეგიული ამოცანის შესრულება, – ინფორმაციის მოპოვება მტრის ზურგში, – ერთ-ერთი მთავარი მიზანია ნებისმიერი სპეცრაზმელისათვის და ჩილეც გამონაკლისი არ ყოფილა. მუდმივად სრულყოფის პროცესშია საბრძოლო მოქმედებების განვითარების ტექნიკა. დიდი ყურადღება ექცევა სპეცრაზმელების აღჭურვილობას, რომელიც რეგულარულად მოდერნიზდება. 2001-2003 წლებში ჩატარდა ანალიზი, რომელმაც გამოავლინა წვრთნის პრობლემური მომენტები. შემუშავდა სამომავლო რეორგანიზაციის გეგმა. ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა შორეულ ტერიტორიაზე გაშლის უნარი და ხანგრძლივი დროით იქ გაჩერება.

ჩილეს საგანგებო დანიშნულების ძალების რეგულარულ რეორგანიზაციაზე საუბრისას არ შეიძლება არ დაისვას ერთი კითხვა: რა სახის საომარი მოქმედებებისათვის, რომელი კონფლიქტებისათვის უნდა მოამზადოს სპეცრაზმელები დღეს სამხედრო მეთაურობამ? ბუნებრივია, პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნეს თავად ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ადგილის თავისებურება, რომელიც მოქმედებების ეპიცენტრი ხდება.

დოკუმენტში „ტექნოლოგია-ორგანიზაცია-დოქტრინა“, რომლითაც ჩილეს საგანგებო დანიშნულების სტრუქტურა ხელმძღვანელობს, გარკვევით არის მითითებული ჩილელი სპეცრაზმელის წინაშე დღეს დასმული ამოცანები:

– ნებისმიერი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გაშლის მეყსეული უნარი;

– სპეცრაზმელს უნდა შეეძლოს კვალიფიციურად მოქმედება ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში, ასევე საინფორმაციო სივრცეში;

– უზრუნველყოფილი უნდა იყოს მჭიდრო კავშირი შეიარაღებული ძალების ყველა სამსახურს შორის;

– ურბანულ პირობებში იდეალურად მოქმედების უნარი;

– ინფორმაციული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

რამდენიმე სიტყვით შევეხოთ თავად ჩილეს შეიარაღებულ ძალებსაც, რომლის შემადგენლობაშიც დღეს შედის საგანგებო დანიშნულების რაზმი. სამხედრო სამსახური ნებისმიერი ჯანმრთელი ჩილელი მოქალაქისათვის, რომელსაც 19 წელი შეუსრულდება, სავალდებულოა. მსახურობის ვადა სახმელეთო ძალებში ერთ წელს, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებში კი ორ წელს შეადგენს. ჩილეს ტერიტორია იყოფა ოთხ სამხედრო ოლქად. თითოეულს მობილიზაციის შემთხვევაში გამოჰყავს მთლიანად დაკომპლექტებული დივიზია. ჩილეს არმია ითვლის 24 ქვეით და 8 საკავალერიო ლეგიონს, ასევე 10 საარტილერიო დივიზიონს.

1997 წელს ჩილეს შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობამ დაახლოებით 91,8 ათასი კაცი შეადგინა, მათგან 51 ათასი არმიაში, 29,8 ათასი სამხედრო-საზღვაო, ხოლო 13,5 ათასი სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობს. რეზერვისტთა რიცხვმა კი 50 ათასი კაცი შეადგინა. 90-იანი წლების შუახანებში ბიუჯეტიდან ქვეყნის თავდაცვის უწყებას წელიწადში ერთ მილიონ დოლარამდე ერიცხებოდა, მაგრამ როგორც ვხედავთ, ის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მაღალკვალიფიციური, კარგად მომზადებული და აღჭურვილი, საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადმყოფი საგანგებო დანიშნულების დანაყოფისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 6. საბჭოთა მხედართმთავარი მარშალი, II მსოფლიო ომის ორგზის გმირი; 7. აშშ-ის სამხედრო ბაზა კუბაში; 8. კორეული ავტომობილი; 10. ამერიკული ავიამზიდი, რომელიც მონაწილეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში; 13. ფეთქებადი ნივთიერება; 15. გზა ფრონტის ხაზის გასწვრივ; 16. არგენტინული პისტოლეტი; 17. ბელგიური პისტოლეტი; 18. ფრანგული პისტოლეტი; 20. ბულგარეთის დედაქალაქი; 23. ბუნების დამანგრეველი მოვლენა; 25. ირლანდიის სამხედრო-საზღვაო ბაზა; 26. ესპანური პისტოლეტი „გრან ... “; 29. ჯუჯა კამეჩი; 30. ცალკეული ციხესიმაგრე საბრძოლო გამაგრებათა სისტემაში; 32. საქართველოს კალათბურთის გუნდი; 33. სახელმწიფოში შესვლის ან მის ტერიტორიაზე გავლის ნებართვა; 34. ძველებური ორანძიანი მსუბუქი ხომალდი.

**შვეულად:** 1. საჯარისო შენაერთი; 2. ბელგიური რევოლვერი; 3. ქულა ძიუდოში; 4. კენედის მკვლელი; 5. დურბინდი; 9. დაზღვევის მოწმობა; 10. მექსიკური პისტოლეტი; 11. კაზაკთა ბანდის მეთაური; 12. ბრაზილიური ტანკი; 14. აშშ-ის საჰაერო-სამხედრო ძალების ავიაბაზა მენის შტატში; 18. საგუშაგო, სადარაჯო პუნქტი; 19. მოძრავი ჯარების ან პარტიზანული რაზმების შეჭრა მტრის ზურგში საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად; 21. რუსული თვითსატენი შაშხანა; 22. ავიაბომბების მწარმოებელი ქარხანა აშშ-ში; 24. წამლის ფორმა; 26. იტალიური პისტოლეტი; 27. ტანკის მომსახურე პერსონალი; 28. არგენტინული პისტოლეტი; 31. ფრანგული საავიაციო რაკეტა „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 6. სოკოლოვსკი; 7. რაინმეტალი; 8. იჩიტა; 9. არმი; 10. ბადრაგი; 14. ფრანკო; 16. გატორი; 17. ყუა; 18. ძე; 19. ასპიდე; 21. ფიესტა; 23. იერიში; 25. გერბი; 26. ნინძა; 28. ფოთი; 29. ბარონი; 30. კოკი; 32. კონგსბერგი; 33. ბილი; 34. რინგი. **შვეულად:** 1. კომანჩი; 2. კორნეტი; 3. როდეო; 4. ესკადრონი; 5. ჯირითი; 10. ბაგრატიონი; 11. რიონი; 12. გლისერი; 13. ბრაუნინგი; 15. ოპერაცია; 20. პარინკო; 22. სური; 24. შტაბი; 27. ფრომერი; 28. ფინდიხი; 30. კროლი; 31. კეგლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# LLAMA Comanche III

## ესპანური ექვსვაზნიანი რევოლვერი





.357Magnum-ის რევოლვერის ვაზნები

რევოლვერები „არსენალის“ იარაღის მაღაზიის რუბრიკის იშვიათი სტუმრები არიან. აქამდე ამ რუბრიკაში მხოლოდ რუსულ „ნაგანზე“, ბრაზილიურ „ანაკონდაზე“ და აფხაზურ თვითნაკეთ რევოლვერებზე თუ ვწერდით. ამჯერად კი გთავაზობთ ესპანური წარმოების რევოლვერ Llama Comanche III-ს.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ეს ესპანური რევოლვერი ძალიან ჰგავს ამერიკულ Smith & Wesson-ის რევოლვერებს. რაც უფრო იმაზე მიუთითებს, რომ ესპანელებმა ამერიკელ კონსტრუქტორებს მიჰბაძეს. ესპანური „ლამა“ გამოირჩევა დეტალების დამუშავების მაღალი ხარისხით. რევოლვერის ტარი მცირედ დახრილია და ბევრი პისტოლეტის ტარზე კარგად ზის ხელში.

რევოლვერი ორმაგი მოქმედებისაა, ანუ სასხლეტის გამოწევით შეყენდება ჩახმახი. ჩახმახშეყენებული რევოლვერის გასროლა უფრო მოსახერხებელია, რადგან სასხლეტზე თითის დაწოლა ნაკლები ძალითაა საჭირო. ჩახმახდაშვებული რევოლვერის გასროლისას კი სასხლეტზე ბევრად უფრო მეტი ძალითაა საჭირო თითის გამოწევა, რაც უარყოფითად მოქმედებს სროლის სიზუსტეზე.

**„ლამასთვის“ განკუთვნილმა ვაზნებმა თავი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში, „მშრალი კანონის“ დროს გამოიჩინეს**

რევოლვერის დოლურაში ექვსი ვაზნა თავსდება. ყოველი გასროლის შემდეგ დოლურა ერთ ბრუნვას ასრულებს და ლულის გასწვრივ ახალი დოლურა ჩერდება.

მასრების ექსტრაქტირება დოლის გვერდზე, მარცხენა მხარეს გადაწევის შემდეგ ერთდროულად ხდება, რაც აჩქარებს რევოლვერის ახალი ვაზნებით დატენვის პროცედურას.

„ლამას“ სასროლად გამოიყენება რევოლვერის ძლიერი ვაზნა .357Magnum-ი. ამ ვაზნას საინტერესო ისტორია აქვს. ის აშშ-ის საიარაღო ბაზარზე ჯერ კიდევ 1935 წელს გამოჩნდა ცნობილი ამერიკული ფირმის Smith&Wesson-ის წყალობით. ახალი ვაზნის გამოშვების მთავარი იდეა იყო, გაეძლიერებინათ ამერიკელი პოლიციელების საცეცხლე ძალა.

საქმე ისაა, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში „მშრალი კანონი“ მოქმედებდა, რამაც ხელი შეუწყო ამერიკელი განგსტერების გაძლიერებას. „ტომპსონის“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული განგსტერები პოლიციას შავ დღეს აყრიდნენ და პოლიციამ გადაწყვიტა, მის შეიარაღებაში არსებული შედარებით სუსტი ძალის .38 Special-ის ტიპის ვაზნები უფრო ძლიერით შეეცვალა.

ასე გამოჩნდა .357Magnum-ი ამერიკელი პოლიციელების განკარგულებაში. ახალი ვაზნის კალიბრი (9,02 მმ) ემთხვეოდა ძველისას, მაგრამ ვაზნის ჰილზა 3,43 მმ-ით გრძელი იყო და, შესაბამისად, მასში უფრო მეტი დენთი იყო მოთავსებული. გასროლისას 10,7 გ-ს მასის ტყვიის საწყისი სიჩქარე 380 მ/წმ-მდე ადიოდა.

ახალი ვაზნებით ამერიკელი პოლიციელები ცხრილავდნენ განგსტერების მანქანების კარებს, რის ამსახველ ფოტო და კინოკა-



„ლამას“ 6 ვაზნიანი დოლურა მარცხენა მხარეს გამოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა





დრებს მაშინ ხშირად აჩვენებდნენ. ეს ახალი ვაზნის ერთგვარი რეკლამა გახლდათ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ .357Magnum-ი სტანდარტული გახდა ამერიკელი პოლიციელების შეიარაღებაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყეს ამ ვაზნაზე გათვლილი რევოლვერების კონსტრუირება.

ესპანური „ლამაც“ ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ესპანურენოვანი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების პოლიციელები პისტოლეტებს დღესაც რევოლვერებს ამჯობინებენ და „ლამას“ მათ ხელში ხშირად დაინახავთ.

სამხრეთ ამერიკაში ვერ გეტყვით, მაგრამ თბილისის ერთ-ერთ ცნობილ საიარაღო მაღაზიაში Llama Comanche III ორი ათასი ლარი ღირს.

*ირაკლი ალადაშვილი*



„ლამა“ „ნაგანისგან“ განსხვავებით გამოირჩევა უფრო დახვეწილი ფორმებითა და მაღალი ტექნოლოგიური დამუშავებით, სამაგიეროდ „ნაგანში“ ერთი ვაზნით მეტი ეტევა






ISSN 1987-5061